ალეფბეი

5 2023

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459

ჭოროხი

გამოცემის 65-ე წელი | სექტემბერი-ოქტომბერი | №5 | 2023 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
იაშა თანდილავა
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჟარაძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
ვახტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღავა

ოპერატორი

მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2023

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80. E-mail: chorokhi.mag@gmail.com

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
სტამბა „კოლორ პრესში“.
ქ. თბილისი, ა. ენუქიძის ქ., 5

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

პოეზია, პროზა

თეიმურაზ ლანჩავა – ლექსები 3
გიორგი ტულუში – ირინეოსი (რომანი. დასაწყისი) 10
ჯემალ სურმანიძე – ლექსები 43
მზია სალვარიძე – ლექსები 50
ციური მესხიშვილი – ლექსები 64
ნატალია ბეიტრიშვილი – ლექსები 73
რამაზ ხმალაძე – ლექსები 77
ზურა ინასარიძე – ლექსები 79

თარგმანი

ჯონ მილტონი – „განათლების შესახებ“ (ინგლისურიდან თარგმნა **ნინო კვიწინაძემ**) 81

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ნინო დარბაისელი – ოპუსები 91
ვარსკვლავებით მოჭედილი ცა აფხაზეთის თავზე 107

რეცენზია

მალხაზ ჩოხარაძე – თავმდაბლობითა და გულწრფელობით გამორჩეული პოეტი 115

თეიმურაზ ლანჩავა

საქართველოს მწერალთა კავშირმა და ხელოვნების ოქროს ფონდმა თეიმურაზ ლანჩავა ილია ჭავჭავაძის ოქროს მედლით დააჯილდოვა.

ვულოცავთ მეგობარ მწერალს, კიდევ ერთ წარმატებას და ვბეჭდავთ პოეტის ახალ ლექსებს.

მიიპარება ცისკენ სიზმარი

სანდრო ბერიძეს

ვნახე ბათუმი და მერამდენედ
ვთქვი, ვინც მიყვარს, ზეცაში სახლობს
რაც ხდება ხშირად თვალს ვერ ვადევნებ,
ვცხოვრობ ოცნების და ფიქრის ახლოს.
სხვა ბათუმია თვალი რომ ხედავს,
თვალი რომ ხარობს, წარსულს ანედლებს
და შენ წარსულის დღევანდელ მხედარს,
გაჩვევს მომავლის სიგრძე-განედებს.
და ეგუება სიმაღლე სივრცეს,
ღმერთი ზეცისკენ მიითრევს ბადეს,
დრო სამომავლო ოცნებებს იცმევს
და წარსულს ისევ ხელახლა ბადებს.
და შესამჩნევი ხდება თანდათან,
როგორ ყვავილობს სიცოცხლის არსი,
მარადიული ხდება ცხოვრება,
გამოგონებულ სიცოცხლის მსგავსი.
მიიპარება ცისკენ სიზმარი,
უნდა წარსული ცაში დაკრძალოს,
რაც განვიცადე, ლექსად გიგზავნი,
რომ წააკითხო ფიქრი სამყაროს.

* * *

ქალები ღიმილს გესრიან ხურდად
და ქუჩებს იკლებს კისკისი მათი,
ქალებს სითბო და ალერსი უნდათ
და ნეტარების სურთ მისამართი.
შენ კი ქუჩაში თავჩაქინდრული
მიდიხარ, როგორც წარსულის მოწმე,
რაც გაგახსენდა, გული გატკინა,
მოგონებები ცრემლებით მორწყე.
წავიდნენ, გაქრნენ, თითქოს ლანდები
და მიჩუმათდნენ შენში ვნებები,
ხელაწეული წარსულს ბარდები,
დროს ძველებურად ვერ ეგებები.
საით ბატონო, არ მიგვატოვო!
გეძახის ვიღაც, მოგსდევს და კვნესის
და მიგაცილებს დასასრულამდე,
იმედი შენი ღარიბი ლექსის.

* * *

გასიზმრდა თითქოს წუთიერება,
გამოღვიძებას აგვიანდება
და სიგარეტის ნამწვავის ბოლში,
წუთისოფელი ნაგვიანდება.
და მაინც ისევ არსებობს ფიქრი,
რომ წვიმა წაშლის ყველა ნაკვალევს,
ადამიანურ მოუთმენლობას,
სიკვდილის შიში ვერ შეაკავებს.
იმსხვრევა ფიქრის ვულკანი ცეცხლად
და ემუქრება დელგმა სამყაროს,
რომ ქალის კოცნა და სურნელება,
თავდავიწყებად გადამაყაროს.
ცოცხლობს სიცოცხლე,
სიკვდილთან ვერ ძლებს
და ვარსკვლავებად იმსხვრევა ზეცა
და ავიწყდება კაცობრიობას,
რომ ღმერთი ისევ თავისთავს ძერწავს.

* * *

გარეთ თოვლია, სითეთრე მოსავს
ყველაფერს, რასაც თვალით უცქერი
და ელავს თოვლი, როგორც ულექსოდ,
შემორჩენილი თეთრი ფურცელი.
მოვა ვიღაცა, ფეხებით დაწერს
თოვლზე სტრიქონებს,
დაკეტილ კართან,
შეგვეხარბება, რადგანაც ამ წელს
თოვლში მიგვასწრო საყვარელ ქალთან.
შეგვეხარბება, რომ უჩვენობით
დღე აცახცახდა, გაფითრდა თრთოლვით,
რომ ჩვენზე ადრე დრომ იზეიმა,
ყოფნა იმედით, ქალით და თოვლით.

* * *

ტყუილში ვეძებდი სიმართლეს ხშირად,
გაუგებრობით ამაოდ დავშვრი,
სიმართლისაგან ვიყავი მშივრად,
ვით ძუძუ გამშრალ დედისგან ბავშვი.
ვერ ამოვძვერი ზღაპრის გუდიდან,
ვერ შევაგუე სიზმრებს გონება
ვერ გადავშალე მახსოვრობიდან
ეს უცნაური გამოგონება.
ტყუილში ვცვლი მართალს, ტყუილი გაძვირდა
და სანანებლად შემრჩა მართალი,
ვარ ლოთობისგან გამრუდებული,
ლექსის სტრიქონი გაუმართავი.

* * *

წავიდა დაგვემშვიდობა, ღია დატოვა იარა,
მგონი არსად არ წასულა, გაიარ-გამოიარა.
მგონი თვითონვე ისურვა
თავის დაღწევა წამიდან,
მგონი არსად არ მისულა,
არც არსაიდან წასულა.

მხოლოდ სულელის ნატვრაა,
ამქვეყნად ყოფნა მუდმივად,
კრძალვა ისწავლეთ სიკვდილის,
მარადისობა თუ გინდათ.

* * *

ხატავდა, გვჩუქნიდა, უხაროდა,
მღეროდა, სევდაში გვპატიჟებდა,
სამშობლოს ტკივილით მწუხარობდა,
ტკივილის მოთმენით გვაგიჟებდა.
თან ახლდა სიწრფელე არნახული,
სინათლეს ტოვებდა გაცინებით,
მის სულში ჭარბობდა გაზაფხული,
საკუთარ ტკივილთან დამცირებით.
და როცა ზამთარი ჩაუსახლდა,
არჩია გაძლება მდუმარებით,
და როცა სიკვდილი ჩაუსაფრდა,
მოიხმო ღვთიური მკურნალები,
ვიგრძენით ტკივილის მომატება,
წავიდა, და ჩვენთან გვეგულება,
წავიდა, დატოვა მონატრება,
წავიდა, დატოვა ერთგულება.
ხატავდა, გვჩუქნიდა, უხაროდა,
მღეროდა, სევდაში გვპატიჟებდა,
სამშობლოს ტკივილით მწუხარობდა,
ტკივილის მოთმენით გვაგიჟებდა.

* * *

საოცარია თვისება ყურის,
ესმის ჩურჩული, ყვირილს ვერ იტანს,
სულ მართალია, არასდროს ტყუის,
გამორჩეულად უსმენს ელიტას.
ართობს გონებას და აიძულებს
დაიმახსოვროს ტყუილი, მართალი,
განსაკუთრებით არ ავიწყდება
სიტყვა ბრძენი და ტკბობით გამთბარი.
არსიამოვნებს, როცა ტირიან
და ხმოვანდება ცრემლით ვარამი,

ხვდება ტკივილი რა მარტივია,
შეუცნობელი და შემზარავი.
საოცარია თვისება ყურის,
ბევრ საიდუმლოს ისმენს, ინახავს,
არ უყვარს ენა თუ ტირის, ყმუის,
როცა ტირილი არდაგინახავს.

* * *

ცხოვრება გახდა ურცხვი და რთული,
გაყიდულია სინდისი, წვალობს,
ახლა ყველაფერს ყიდულობს ფული,
შეძლებ ცხოვრებას თუ ღმერთი გწყალობს.
ახლა გადარჩე არის მთავარი,
გამოსავალი მხოლოდ ერთია,
ინარჩუნებდე, გაძლების უნარს,
სურვილს გამჩენს, რომ არწაერთმია
ყოველდღიური ცხოვრება ჩვენი,
ბრძოლაა დროსთან და დრო რინგია,
საოცარია გაუგებრობა,
რისთვის არსებობ ვერ გაგვიგია.
გერგო პატივი და ყულფი შეგხსნეს,
შენს მხსნელს გაუჩნდა სურვილი იყო,
შენ კი არ გიხსნეს, ცდას ატარებენ
გიცქირონ როგორ არსებობ, ბრიყვო.
ძეგლებს ამსხვრევენ და ამასხრებენ,
გაუფასურდა დროით დიდება,
მოკლეს წარსული, არ აფასებენ,
არდაფასების ხანა მკვიდრდება.
და უნებურად შეგიპყრობს შიში,
გაოგნებული ვეღარ ცნობ შენს თავს,
ღამით ურჩხულებს ნახულობ ძილში
და უმწეობის შეგრძნება გთენთავს.
ვაშენებთ ხიდებს, მაგრამ რატომღაც
საეგებიოდ ვტოვებთ იმედებს,
ასე გვგონია დრო გვაპატიებს,
დასავიწყებლად არ გაგვიმეტებს.
დრო კი იცვლება, ვინ ხარ და რა ხარ,
ვისი იყავი, მისთვის ერთია,
შენთვის იმედი იყო მთავარი,
რომ ღმერთს იმედი არ წაერთმია.

იშლება ვარდი მაგრამ იშლება, ისიც
რაც შენთვის ტოვებდა სურნელს
და შენ რატომღაც იმედი გქონდა,
შეგიწყალებდნენ რეგვენს და სულელს.
ერთადერთია იმედი ყოფის
და თუ გადარჩა შენც გადარჩები
შენ სულ პატარა იმედი გყოფნის
და კმაყოფილი თავთან დარჩები.
ტელევიზორის ეკრანებიდან
გადმოდის სისხლი, ტყვიით და რისხვით,
ასე გგონია შიშის შეგრძნებით,
დროს დავაშინებთ, მომავალს ვიხსნით.
და ეჩვევიან ბავშვები სიკვდილს,
მტრობას, იოლად ვინმე გასწირონ
და მისი რისხვა არაღვთიური
გაუგებრობად გაანაწილონ.
შეჩერდით! ვყვირი, არავინ მისმენს
და ვტოვებ ნიშნებს დროის ამკრძალავს
და იტეხავენ საწყლები კისერს,
ეგუებიან დროის დაკრძალვას.
რომ დაუბრუნოთ გონებას შიში
არნიშნავს მხდალის გვეცვეს მანტია,
მიხვდებით გვიან რომ შეცდომები
განრისხდა, ღმერთი, არ გვაპატია.
უნდა მოვძებნოთ მტრობის დამშლელი
და ერთმანეთის მტრობას ვუწამლოთ,
იქნებ დაადგეს ყოფას საშველი,
გაუფერულდეს სიტყვა, ნუ ვწვალობთ.
რწმენით იმედით და ბედისწერით,
იქნებ შევცვალოთ ამინდი ყოფის,
და შევახსენოთ საკუთარ სინდისს,
გადასარჩენად რა ცოტა გვყოფნის.

რა ვუპასუხე პატარა გოგოს

მოვიდა კრძალვით, კითხვა დამისვა, კითხვა ბავშვური, სულის შემძვრელი, გულწრფელი არის, თქვა დედამისმა, სწორი პასუხის თქმა ვერ შევძელი. ვინ გიყვარდაო, გულწრფელად მკითხა და გაოცება ვნახე პირველი, ჩემი პასუხი იყო უბრალო და ბავშვისათვის გასაკვირველი. ეგონა დედას დავიფიცებდი, შეშფოთდა, როცა თავი დავხარე, ჩემი პასუხით და მოთმინებით გულუბრყვილობა არ გავახარე. ვუთხარი, უნდა უყვარდეს ყველა, რომ სიყვარული შენი ხვედრია, თავჩაღუნული უსმენდა ნათქვამს და ჩემთვის არც კი შეუხედია.

ვინ არ გიყვარდა? იყო შეკითხვა, გულწრფელი, პასუხს წყნარად უსმენდა, დრო იყო მცირე, ჩამომეთვალა ვინ არ მიყვარდა, ვინ მაღირსებდა.

პატარა გოგო შეშინებული გავუშვი სახლში, დავშორდი მოცლილს, დამრჩა სურვილი და მოკრძალება მამაშვილური, იმ ბავშვის კოცნის. დრო დამაფიცა და დაამტკიცა რაღაც სიახლეს ეძებდა დროში, ეძებდა დღემდე და ვერ ენახა გამბედაობა საცოდავ ბრბოში, იყო გულწრფელი, ვგრძნობდი, თვალებით, ეძებდა ჩემში, სურდა ენახა. დავემშვიდობეთ და ჩვენ შევთანხმდით რომ წლების შემდეგ შევხვდეთ ხელახლა.

* * *

პირველი?! ვერა,
მეორე?! არა,
თავს ვუფრთხილდები,
სურვილებს ვმალავ.
და არ მასვენებს, მაძინებს შიში,
ვეძებ ჩემს ადგილს სიზმარში, ძილში,
ვერ მივანიჭე უფლება ჩემს თავს
იყოს მეორე, პირველი ეთქვას.
პირველი?! ვერა,
მეორე?! ვნახოთ,
მთავარი არის დრო გადავლახოთ.

* * *

სიკვდილი დასვენებაა,
საფლავი გახსენებაა,
ღმერთი მკვდარსაც და ცოცხალსაც
თანაბრად უნდა წყალობდეს,
უნდა იცოცხლო იმგვარად,
სული არ უნდა წვალობდეს.
წელგამართული იარო,
იარო, კი არ იცოცო,
წარსულსაც ჰქონდეს პატივი,
სიკვდილის მერეც იცოცხლო.

გიორგი ტულუში

ირინეოსი

ხელოვნური სუნთქვა და გულის გაჩერება

არსებობა მუდმივად განმეორებადი, მოწყენილობის ზეწოლით გამოგონილი და ხორცშესხმული არარსის მუდმივი გულისცემაა.

ამ გზაზე ყველაფერი პირობითი და გაქრობადკვლავაცგაჩენადია.

რაც გაქრება, ისევ გაჩნდება, ანუ რაც გაჩნდება, არის ის, რაც ოდესღაც გაქრა, თუმცა შეიძლება რაღაც ისეთიც დაიწყოს, რაც ჯერ არყოფილა, ხოლო რაც იყო, პირისაგან მიწისა აღიგვას.

აღგვის მიზეზი იმ საყოველთაო სრულყოფილების დამკვიდრებაც შეიძლება გახდეს, რომლის დაფუძნებასაც ასე ლამობდა აბსოლუტური გონი.

* * *

და გელოდებოდი, სულო ჩემო, ათას წელს გელოდებოდი, რათა დაბრუნებულიყავი მარათონულ ომებში გამარჯვებულ ტაიჭზე ამხედრებული, კვლავ დაგებრუნებინა ნამგლისებრ თვალის ჭრილის დანახვის შედეგად ათრთოლებული მუხლების ძალა და გაგემეფებინა კიდეც.

შენ დაბრუნდი, სულო ჩემო და ჩვენც სამყაროსთან ერთად ხელახლა დავიბადეთ.

მიწაზე გატირანებულ მიწიერებას მეტოქე გამოუჩნდა, რომელიც მოვიდოდა და ასკეტიზმს ცეცხლით და მახვილით გაავრცელებდა, თუმცა სათნო და ბავშვური სახით, თავმდაბლად და მორჩილებით.

ეს არის კაცობრიობის ბოლო ბრძოლა, ბრძოლა სულისა და ხორცისა, ბრძოლა ზეცისა და მიწისა და მე ვიცი, ეს ბრძოლა როგორაც დასრულდება – სამყარო შეიქმნება ერთ სულ და ერთ ხორც. უფრო სწორად, ერთ სულ და ერთ ხორც ახლაცაა, უბრალოდ საჭიროა, რომ კაცობრიობამ ამის შესახებ იცოდეს, შემდეგ კი – გაათვითცნობიეროს.

აქამდე ყოველთვის მიწა იმარჯვებდა, რადგან ის საკუთარ თავს ებრძოდა. ვნახოთ, ახალი ცხებული რაიმე ახალს თუ იტყვის, ისეთს, რომელიც მიწას არ შეუქმნია. მაგრამ ცხებულიც მოვიდა და ვერაფერი შეცვალა. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ „არაფერია მზის ქვეშ ახალი“, რომ ყველაფერი იმდენად ერთი და იგივეა, რომ ამ იგივეობამ საგანგებოდ გამოძერწა ილუზორული განსხვავებები, ჰო, არ არსებობდა და გამოძერწა. ეს განსხვავებები ადამიანის გონებამ მოწყენილობის გამო ამოტოტა, რომ ერთნაირობაში სასიკვდილოდ არ მოეწყინა.

ახლა, ჩემო მკითხველო, ვიმყოფებით მიწაზე და მე მახსოვს, დაფლეთილი ზეცა თუ როგორ იქცა კალოს ლეწვის მეთოდით დალეწილ ლერწმად, საკუთარ საშოს მოსწყდა, ჯერ განაპერწკალდა, შემდეგ ბადროსავით ნატყორცნი მზესავით აალდა და მტვრადქცეული თავის დედას – მიწასვე დაენარცხა.

ჩემი წიგნის მკითხველნი იმოგზაურებთ სამყაროში, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული, ის არასდროს ყოფილა, მაგრამ მაინც არის, რათა დღისა და სიბნელის გაყრისთვის გალაქტიკათშორისი ომები დაიწყოს, ხოლო შემდეგ ისინი კვლავ შეაერთოს და ამისთვისაც მულტისამყაროთშორისი შეტაკებების მოწყობა დასჭირდეს. ცხოვრებაც ეს არის – რუბიკის კუბის დაშლა-აწყობა და ამ პროცესში რას აკეთებ, რითი იკვებები, რა გაცვია, ან სად ცხოვრობ, თითქმის სულერთია.

სამყაროში ყველაფერი ხდება, მაგრამ რაც ხდება სამყაროს დასაწყისის დასაწყისში, იგივე ხდება პირველსაწყისის უკანასკნელ უჯრედშიც და მომავალშიც იგივე მოხდება. სამყაროს დასასრულის ბოლო გაელვებაშიც არაფერია ახალი.

და თუ ახალი ერა მაინც დაიწყება სივრცეში განფენილი, სულ სხვა ანატომიის ციური სხეულებითა და ქიმიური შენაერთებით, ჩვენ მასში ვერ ვიცოცხლებთ, რადგან აღარ ვიქნებით. მხოლოდ რჩეულები იხილავენ ახალი ერის დასაწყისს და ვერ შეეხებიან, უბრალოდ, წამის მემილიონედში, სიზმარეულად იხილავენ, ისე, როგორც ბურანში ვგრძნობთ დამჭკნარი თითების უცნობ შეხებას.

ჩვენს მოგზაურობაში უმნიშვნელოა ვინ ვინაა, ვის რა ჰქვია, ვინ რას წარმოადგენს, ვის რა აცვია, ან ვინ სად ცხოვრობს, როგორც ცოცხლობს, ან როგორ კვდება, მაგრამ ამავდროულად, ყოველივე ჩამოთვლილი უმნიშვნელოვანესია.

ეს არსებობა უძლეველი ღმერთის – აზროვნების ღმერთის, იგივე არსებობის შემქმნელის თესლის მარცვლებს შორის გამართული ომია და ამ ომში ვერავინ გაიმარჯვებს, რადგან გამარჯვებისთვისაც არავინ იბრძვის. ჩემი გმირები გამარჯვებისთვის რომ იბრძოდნენ, დრო და სივრცეც მასში განფენილი სხეულებითა და მოთამაშეებით სასრული და მოსაწყენი იქნებოდა.

ჩემ მიერ შექმნილ არარსში არ იმარჯვებენ, რადგან არც კი იციან, თუ რას ნიშნავს გამარჯვება. აქ ყველა ყოველთვის და ისედაც გამარჯვებულია.

იდეოლოგიათა მმუსრავმა კასტამ შექმნა მანქანა, რომელიც ანადგურებს ყველას, ვისაც მეფობა სურს, ყველას, ვისაც სხვების დამონება უნდა, ყველას, ვისაც გაღმერთება სწადია და ყველას, ვისაც თავისუფლებით სურს მსოფლიო სულობა.

იგი შთანთქავს მორცხვებს, კდემამოსილებს, პოეზიითა და მხურვალე ლოცვის მანიით შეპყრობილებს, კონსერვატორებს, ლიბერალებს, ულტრალიბერალებს, ულტრაკონსერვატორებს, ქურუმებს, მეფეებს, ბატონებს, მონებს, ანთროპოსოფისტებსა და თეოსოფისტებს.

ეს მანქანა ყველაფერს აქრობს, გარდა აზროვნებისა, რადგან თავადაც აზროვნების ნაყოფია.

ნეტავ ეს მუდმივი შეჭმა-მონელება რატომ არ წყდება, აუცილებელია, თუ აზარტული?!

ალბათ ორივე ერთად, მაგრამ არ წყდება არა გამარჯვების წყურვილის გამო, არამედ უბრალოდ სიამოვნების გამო.

ვნახოთ, ასეთ სამყაროში ვინ და რისთვის არსებობს, მე კი მხოლოდ ერთი ვიცი, რომ აზრები და გაცნობიერება უსასრულოა. მათ არც ჰორიზონტალურად აქვთ დასასრული და არც ვერტიკალურად.

და ახალი ერთდროულად ახალიცაა და ძველიც.

* * *

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ათვლა არ არსებობდა, არ არსებობდა გეომეტრია და მათემატიკა, რადგან თავად სივრცეც არ არსებობდა, ზეცის ნასიამოვნები სპერმატოზოიდის ნაყოფი, აბსოლუ-

ტის ოხშივარმოდებულ ბურანში, რომელიც ზეცისავე გენში მიწიერებამ ზეცისა და სულის დამხობისთვის ჩანერგა (დამხობისთვის და არა გაქრობისთვის). კაცობრიობის გამაადამიანურებელი, ხორციელი ვნებების და მათგან ყველაზე უმართავის – დიდებისკენ სწრაფვის ამაღორძინებელი, მომავალი ქრისტეს უკვე ანტიქრისტე, მამის ჯვარზე გამკვრელი და მისი ქრისტედ მქცეველი ზეცის ანასხლეტი საკუთარ მშობელს, ზეცასვე მალემსრბოლი მერანის სიჩქარით ეძგერა და ფალოსი მოჰკვეთა, მოჰკვეთა და მოისროლა წყალში, ანუ სითხეში, რომლისგანაც ოდესღაც თავად იშვა.

გაემისრებულმა ანასხლეტმა მშობელში სიამოვნების ღმერთი მაშინ განგმირა, როდესაც მშობელი – მამა განცხრომის ევერესტს აღწევდა და მომავალი ღმერთის ჩანასახიც მოსპო, მოსპო, რათა თავად გამეფებულიყო, ზეცა წყალში აეზილა და სამყარო გაეერთიანებინა. თორემ თრთოლვასა და ძრწოლაში გადარჩენილი რომ გადარჩენილიყო და სამყაროს მოვლენოდა, მასაც დაამარცხებდა და არსებობისთვის ბრძოლაში დაბადებამდე გაწაფული, საუკუნოდაც იმეფებდა.

(ო, დიდო ალტერ-ეგოვ, არარსებული სამყაროების გამაერთიანებელო! მახსოვს, ტრანსიქაური ტრანსაქაურს რომ მიაბჯინე და შეწებებული ტრანსაქაურ-იქაური ბიოდენებით დაელექტრონებული ხელის გულზე დააბურთავე, შენ ხომ ურჩებს აკერპებ, ჩემო ხარბო თვალებო!)

ურჩმა ჩანერგილმა ღმერთის ნაწილი ღმერთშივე ათქვიფა და პროცესის შედეგს, იგივე ნაყოფს დაელოდა.

უეცრად გამარადღამებული სული ზეცისა შემოემარაზა წყალს და დაასნეულა. წყალმა მზერა დაასერიოზულა, სიბრაზით სისხლი გაიყინა და ზეცის სულის მიერ ნასროლი ისარი, იგივე ქრისტეს მარადიული ტრფიალება, ფრთებში გადაამსხვრია. ფრთებგადაბრდღვნილი და ფრთებგადაგრეხილი შხუილ-შხუილით აისროლა ზეცაშივე და ათასკლიტულით ჩარაზულ ედემის ბაღში გამოამწყვდია.

მაგრამ ზეცა წყლის რისხვას არ დაემორჩილა, ედემის კარიბჭესთან მივარდა, ათასივე კლიტული შელეწა და კაცობრიობის უპეპლურესი, ნაბურთავები სული კვლავაც წყლისკენ მოისროლა.

თურმე, ამასობაში, წყლისთვის „ულისე“ წაუკითხავთ და მასაც გაუაზრებია, რომ სულიც და ხორციც ერთი და იგივეა, გაუაზრებია და ეს უტყუარი ჭეშმარიტება სიამოვნებით მიუღია კიდეც.

ჰოდა, მარადიულმა წყალმა ქრისტეს მარადიული სატრფო დასისხლულ მკერდში ჩაიეკლა, ჩაირაზა და მარად მფეთქავი გულის უმაღლეს მწვერვალზე ტახტიც დაუდგა.

ამ ამბით გაგულისებულმა მიწამ, რომელიც მოშიებული მგელივით დაძრწოდა, თავისი ლორწოვანი პირი დააღო და კდემამოსილება უბასრესი კბილებით დაგლიჯა, რომლის გასისხლული და დანაწევრებული სხეული მიწის მკვრივ სხეულს გადაენთხა, ამის შემდეგ სიმორცხვეს დაედევნა და ისიც შესანსლა, ანუ შეიმატა, შესანსლა რაინდული სული, თავგანწირვა და თვითრეალიზების სურვილიც კი, მაგრამ რადგანაც ბუნებაში არაფერი იკარგება, სამყარო გაწონასწორდა, დაოკდა და დამშვიდდა, შეიძლება ითქვას, გაბედნიერდა კიდეც.

და მარადიულად შენახული სიკვდილ-სიცოცხლის ნაცნობი თესლისგანაც შეიძლება ყოფიერების ახალი მოდელი იშვას, მაგრამ ჩვენ მასში ვერ ვიცოცხლებთ, თუმც ჩვენი გონებამახვილი და გაცვეთილი ფიქრები მარად ინავარდებენ ახალი ცნობიერებით შექმნილ სამყაროში.

მხოლოდ რჩეულები იხილავენ ყველასთვის უცნობი ერის დასაწყისს, იხილავენ ბურნისეულად და პერსეპოლისივით გაქრებიან.

* * *

შუაღამის ოთხი საათი იქნებოდა და სიბნელის მეუფების ოქროს ხანა, როდესაც ყოფილი ქვეყნის, შურისტანის ერთ-ერთი პატარა ქალაქის, სააეშაგოს (ქალაქის სახელწოდების მნიშვნელობაზე

ქალაქის მოსახლეობის ოთხმოცდათვრამეტ პროცენტს არც კი უფიქრია, ხოლო ორ პროცენტს, რომელიც ამ საკითხზე ფიქრობდა, ყურადღებას არავინ აქცევდა) ერთ-ერთ დიდ, მაგრამ მოძველებული და დიდი ხნის გაურემონტებელი სახლის დანესტიანებულ ოთახში შუქი აინთო, რომელიც უძლურად ასხივებდა დაბერებულ ფოტონებს, მაგრამ ოთახის განათებას მაინც ახერხებდა. ფაქტი იყო, რომ ამ ოთახში ნათურის გამოცვლა არავის უფიქრია, რადგან მისი ბინადარი ფიქრობდა, რომ ძველი ნათურის ახლით ჩანაცვლება უმნიშვნელო აქტია და არც არაფერს ცვლის.

და შუადღის სევდით გაჯერებული მზე დააცხუნებდა იმ დღეს ქალაქს.

მაჭახლის თოფივით ტანწერწეტა ირინეოსი, რომელსაც სახე მსოფლიო რუკაზე დატანებულ, მუზარადიან ესპანეთს მიუგავდა, რომელიც დასავლეთ აფრიკის ცხელ სივრცეებს უერთდებოდა და ეს სივრცეები ბასკი რაინდის ტანს მოგაგონებდათ, საწოლიდან წამოქროლდა, სარკესთან შეჩერდა, წელში გაიმართა და ასიდან ერთამდე თვლა დაიწყო: ასი, ოთხმოცდაცხრამეტი, ოთხმოცდათერთმეტი, ოთხმოცდაჩვიდმეტი... როდესაც ათამდე ჩამოვიდა, სწრაფად მიაყარა – ცხრა, რვა, შვიდი, ექვსი, ხუთი, ოთხი, სამი, ორი, ერთი და... დაიმედებული სახე, რომ დღის განმავლობაში შუაღამეს გავარჯიშებული ტვინი გამართულად იმუშავებდა, ფანჯრიდან გაყო, რათა შუაღამის ბნელი, მაგრამ სუფთა ჰაერით ყელი ჩაეკოკლოზინებინა. ამის შემდეგ კვლავ სარკესთან მივიდა, კვლავ დადგა და დილის გამამხნევებელი ვარჯიშების კეთება დაიწყო, თანაც თავისთვის იმეორებდა ცნობილ ლათინურ, თუმცა ბევრისთვის ბოლომდე კარგად ვერგაგებულ ფრაზას, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია.

რა ბედნიერებაა, რომ აღარ ვიკვლევ საკუთარ სულს, აღარ მაინტერესებს ისტორიის ტირანების მიერ შეთხზული ბედი, ამ ბედის ბედი, რომ აღარ ვწერ ლექსებს, აღარ ვლოცულობ, აღარ დავდივარ ეკლესიაში და აღარ ვფილოსოფოსობ. რა ბედნიერებაა, რომ ჭამისას ულუფები შევამცირე და ანგელოზივით ავმჩატდი, რომ აღარ მაღიზიანებს მეზობლის მიერ შეძენილი ძვირადღირებული ავტომობილის შეძენის აქტი (თუმც გაუგებარია, ჯერ კიდევ რატომ არსებობს ძვირადღირებული და იაფი ავტომობილები. ყოფილ შურისტანში ხომ აღარვინ არავის ეჯიბრება, რადგან ადამიანებმა დიდი ხნის წინ დაკარგეს შურიანობის განცდა) და დარწმუნებული ვარ, რომ ავტომობილი ჩემს გასაგიჟებლად არც მას შეუძენია – თავისთვის ფილოსოფოსობდა (აკი წეღან ვთქვით, რომ ის ბედნიერი იყო უფილოსოფიოდ ცხოვრებით) ირინეოსი და გარეთ გასასვლელად ემზადებოდა, თუმცა ფიქრები მაინც არ ასვენებდნენ.

რა ბედნიერებაა, რომ ეს ყველაფერი აღარ მჭირდება და თუ ოდესმე დამჭირდება, იქნება ნიშანი იმისა, რომ საქმე ცუდადაა და გრანდიოზული ცვლილების დროა.

შუადღის მზით აღზევებული სევდის დამარცხებაზე ფიქრობდა, მერე რაა, რომ ჯერ კიდევ ბნელოდა ქუჩაში.

სეროტონინით გახელებული ფიქრობდა, როგორი სულელი იყო, როდესაც პოეზიით გატაცებული მსჯელობდა, თუ რაოდენ დიდი პოეტი გახლდათ ვაჟა-ფშაველა, რომელმაც შეძლო საკუთარი ადამიანური თვისებებით მცენარეები, ფრინველები და ცხოველები აღეჭურვა, ადამიანური მრისხანებითა და სევდით გაეადამიანურებინა ისინი და უდიადესი პოეზიაც მათით ეთქვა.

უკვირდა ირინეოსს, რომ ოდესღაც ასეთ სისულელეზე ფიქრობდა, რაღაცაზე, რის მიუკვლევლობაც არაფერს შეცვლიდა.

და შუადღის მზით ნანთხევ სევდას ებრძოლებოდა ჩვენი ირინეოსი. ებრძოლებოდა სიცარიელით, მაგრამ მაინც ბედნიერებით.

ისიც გაახსენდა, როდესაც ლამის ტვინი აუდუღდა იმაზე ფიქრით, თუ როგორი შინაარსის და ფილოსოფიური დატვირთვის იქნებოდა „ვეფხისტყაოსანი“, უკუღმა რომ გაგვეაზრებინა.

„გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა.
გარდახდეს, გავლეს სოფელი, – ნახეთ სიმუხთლე ჟამისა!“

მზე მზეში არსებობდა იმ დღეს და სევდა სევდაში, შუადღე დილაში და დილა-ღამისფერ ღამეში.

შემდეგ ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ნეტავ მეც შემექმნა ოჯახი – წუწუნებდა ირინეოსი და გარეთ გასასვლელად თითქმის მზად იყო. ჩემი პატარა იმპერია, ჩემი პატარა, მაგრამ მდიდარი იმპერია, რომელსაც მონები მოემსახურებოდნენ, ხოლო მე, როგორც იმპერატორი, დავტკბებოდი ჩემ მიერ ღამისთევითა და პირადი თავისუფლების დაკარგვის შიშით შექმნილი იმპერიის ცქერით. შემდეგ გაახსენდა, რომ ალტერნატიულ ისტორიაში სპარტაკისა და მონების აჯანყება გამარჯვებით დამთავრდა და ოჯახის შექმნაზე ფიქრიც შეწყვიტა.

შუადღის მზის სევდას ებრძოდა ირინეოსი, მერე რაა, რომ ჯერ კიდევ გაყინულ ქუჩაში ძრწოდა.

როდესაც ირინეოსი გაყინულ ქუჩაში გამოვიდა, მისივე ბიძაშვილის შვილის ქმარი შორეულ ნაოსნობაში გასამგზავრებლად ემზადებოდა და გამგზავრებამდე იმ ჩიხების მონახულებას გეგმავდა, რომელშიც ბავშვობა გაეტარებინა. ამ სასიამოვნო, მაგრამ გულისამაჩქარებელი მოგზაურობისთვის სულ რაღაც ოთხი საათიღა რჩებოდა. უნდოდა მძინარე დედას თავზე დადგომოდა და მისი ცქერით დამტკბარიყო, მაგრამ ეს სურვილი შორეულ ნაოსნობაში გამგზავრების მოლოდინით გამოწვეულმა მჭმუნვარებამ მოუსპო.

ბიძაშვილის შვილის ქმარი სამზარეულოში იჯდა, ვისკგაზავებულ ყავას მიირთმევდა და გათენებას ელოდებოდა.

ირინეოსის სახლის მოპირდაპირე და ასევე ძველ სახლში მცხოვრებმა, მხცოვანმა იოსებმა ფანჯარა გამოაღო და ცქერა მოპირდაპირე სახლის კარებს დაუწყო, რომლიდანაც სულ მალე ირინეოსი უნდა გამოსულიყო და ზღვისპირისაკენ მიმავალ გზას დადგომოდა.

და მზე გადააკაკლისფრებდა მალე ქალაქს, სევდა კაკლისფერში გალღვებოდა.

ირინეოსი სახლიდან გამოვიდა და ზღვისკენ გასწია. იოსები პატარა, თეთრ მაგიდას მიუჯდა და მოძველებული ლეპტოპი გახსნა. მარტოსული, მაგრამ მყუდრო ოთახი ღილაკების დაჭერის შედეგად აჭრიჭინებული ლეპტოპის შიგნეულის რიტმულმა ხმაურმა მოიცვა.

ჩვენმა იოსებმა იოსებ ფლავიუსივით დაიწყო რაღაცის წერა.

ისე ყინავდა, თითქოს სამყაროში მზეები გამქრალიყო და მთელი კოსმოსი ყინულოვან უდაბნოდ ქცეულიყო, რომელშიც გადათეთრებული ციური სხეულები ვეღარ მოძრაოდნენ და ვეღარ ასრულებდნენ თავიანთ უმთავრეს მისიას – სიცოცხლის მოძრაობითა და სიცოცხლისუნარიანობით შეიარაღებას.

* * *

ირინეოსი „ქალაქის ზომიერების დაცვის სამსახურში“ მუშაობდა და დილით ადრე დგებოდა, რათა ზღვისპირას ვარჯიში, ზღვის აბაზანების მიღება და გაოფლიანება მოესწრო. ამის შემდეგ სახლში ბრუნდებოდა, ერთ საათს კითხულობდა (იცოდა, რომ კითხვას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც კითხულობდა) და მერე სამსახურში მიდიოდა.

ამჯერადაც ასე მოიქცა. ზღვისკენ მიმავალს ორ მრავალსართულიან სახლს შორის არსებული პატარა სივრციდან გოგონას სიყვარულით არგაჯერებული კვნესა შემოესმა, თავი უნებლიედ ამ სიუჟეტისკენ გააბრუნა, რომელსაც დიდი რეჟისორი – თავად ღმერთი იღებდა და იხილა ბიჭის ნაზი ხელის კანის ფორების აგზნებული რეცეპტორები, რომლებიც გოგონას ჯერ კიდევ მოუმწიფებელი ბარძაყის გავეშებულ რეცეპტორებთან შეხებით აგზნებულიყო და ამ დროს სამყაროს შემქმნელიც

სიამოვნების უმაღლესი მწვერვალის დასალაშქრად შეუჩერებლად მიიწევდა. პირველი შთაბეჭდილება, რომელიც ირინეოსს დაეუფლა, უსიყვარულობის განცდა იყო, განცდა იმისა, რომ პირველსაწყისი მოთიბეს და ახლა მოთიბულის გამოუცდელი მარცვლების კაციჭამიობის ერა გამეფებულიყო. სანამ ეს მარცვლები არსებობისთვის ბრძოლაში არ გამოიწრთობიან, სანამ არ ეწამებიან და ჯვარზე არ გაეკვრებიან, ვერასდროს გააცნობიერებენ, რომ ნამდვილი არსებობა ჯვრიდან გარდამოხსნისა და აღდგომის შემდეგ იწყება, მაგრამ ამისათვის ჯვარცმაც გადასატანია.

ამ ფიქრების ბადეში თევზივით გახვეულ, კილიმანჯაროსავით ვერმაღალ ირინეოსს მასტურბაციის სურვილი შემოაწვა და იქვე, იმავე მრავალსართულიან სახლსა და ამჯერად სხვა, მომდევნო მრავალსართულიან სახლს შორის არსებულ, ასევე უწვრილეს სივრცეში დაიოკა სამყაროს სიყვარულის აქტით შექმნის შემდეგ წარმოშობილი და სამყაროსვე დამანგრეველი წადილი, გამოუსწორებელი უგუნურების შედეგი. დაცარიელების შემდეგ ირინეოსმა გაიფიქრა, რომ ღმერთი ყოვლისშემძლეა და უგუნურებაც მისი ნებაა, ბოროტებაც და სისუსტეც. გაიფიქრა და სანაპიროს მიუახლოვდა, რომელიც ელექტრობაბუაწვერას მოგაგონებდათ.

რამდენიმე წამში ჩვენი გმირი უსასრულობის შეგრძნების ერთ-ერთ მშობელს – ზღვას შეუერთდა და თავადაც უსასრულობის ნაწილად იქცა. ცოტა შეცივდა კიდეც და ცოტა რომ შემთბარიყო, ხელებისა და ფეხების მწყობრი მოძრაობით დელფინივით გასცურა. იქიდან სანაპიროზე მხოლოდ ხელების მოძრაობით გამოსცურა, რადგან უკვე შეხურებულიყო.

ირინეოსმა ტანი გაიმშრალა, უფრო სწორად, პირსახოცით დაიზილა, რაც ძალიან ესიამოვნა, შემდეგ ტანსაცმელი ჩაიცვა და სახლისკენ გამოსწია.

უკვე შეთენებულიყო. ძველ, მაგრამ დიდი ხნის გაურემონტებელ ტაძარს ჩამოუარა და შიგნით შევიდა. შაჰ აბასის დარბაზივით ფართო სივრცეში ერთადერთი, შუახნის მოხუცებულობისკენ გადაპარული მამაკაცი შენიშნა, რომელიც უცნობი ხატის წინ იდგა და იღიმოდა. თუ რატომ იღიმოდა, ჩვენ ამას ვერასდროს გავიგებთ, ხოლო თავად ირინეოსი ასე მხოლოდ მაშინ იღიმოდა, როდესაც ტელევიზორში რომელიმე პოლიტიკურ დებატებს, ან აღდგომის დღესასწაულისას ქრისტეს საფლავიდან წმინდა ცეცხლის გარდამოსვლის დღესასწაულს უყურებდა.

ჩვენი გმირი ტაძრიდან გამოვიდა და გეზი სახლის მიმართულებით აიღო. ორი მეგობარი მის წინ ნელი ნაბიჯებით მიდიოდა და ჟესტიკულაციაზე ეტყობოდა, რომ საჭირბოროტო საკითხებზე საუბრობდა. ერთ-ერთმა, უეცრად გამოჩენილმა, უბრალო გამვლელმა მათ სწრაფი ნაბიჯებით გაუსწრო, რათა მეგობრების საუბრისთვის ყური მოეკრა და ცნობისმოყვარეობის დევნილი გრძნობა დაეკმაყოფილებინა.

მეგობარმა მეგობარს ჩასჩურჩულა: „რა ცბიერია, სწრაფი ნაბიჯებით ჩაგვიქროლა, რომ გვეფიქრა თავის საქმეზე მიიჩქარის, ჩვენთვის სულ არ სცალიაო და ამასობაში ჩვენს საიდუმლოებებზე საუბარი არხეინად და უშიშრად გაგვეგრძელებინა“.

– შენ მასზე ცბიერი ხარ, – მიუგო მეგობარმა და გაიღიმა.

ეს ყველაფერი ირინეოსის თვალწინ ხდებოდა და ის საკუთარი ღრმადწვდომის უნარით გაოცებულიყო, თავადაც არ სჯეროდა, რომ ამდენი ადამიანური მზაკვრობის ამოცნობა შეეძლო.

სახლის ეზო გაიარა და სახლში შევიდა. საკუთარ ოთახში კომფორტულ სავარძელში მოკალათდა, წიგნი მოიმარჯვა და კითხვა დაიწყო. პირველი წინადადებაც ამოიკითხა: „ვინც არ დარჩება ჩემში, ლერწამივით გადაიგდება და გახმება; შემდეგ კი აგროვებენ, ცეცხლში ყრიან და იწვის“ – იოანე, 15:6.

* * *

ნახევარსაათიანი კითხვის შემდეგ ირინეოსმა ცივი შხაპი მიიღო და სამსახურში წასასვლელად გამოეწყო, მაგრამ უეცრად ტელეფონის ზარი გაისმა და მანაც ოდნავი აღელვებით უპასუხა.

ყურმილის მეორე მხრიდან უმშვიდესი და უემოციო ხმა გაისმა:

– ირინეოსს, შვილო, ბაბუა იოსები ვარ, გადმოდი, დილის ყავა მივირთვათ.

ჩვენს გმირს ყველასათვის კეთილი და ლაღი ბაბუის მიპატიჟება გაუხარდა და მისი სახლისაკენ გასწია.

იოსებს სამეზობლოში ყველა დიდ პატივს სცემდა, რადგან ის მხიარული, გახსნილი და ლაღი მოხუცი გახლდათ. ოდესღაც ქალაქის ერთადერთ ადმინისტრაციულ ორგანოში – „ქალაქის ზომიერების დაცვის სამსახურში“ ნამუშევარი მოხუცი ძალიან ბევრს ლაპარაკობდა, იმდენად ბევრს, გეგონებოდათ, რომ ლაყბობა მისი ჰობიაო. მთელი დღე რომ ისე გამართულად და საზრიანად ილაპარაკო, როგორადაც და რამდენსაც იოსებ ბაბუა ლაპარაკობდა, ბევრსაც უნდა ფიქრობდე, ხოლო ვისაც ბევრი ფიქრი უყვარს, წიგნების კითხვაც უყვარს. ასე რომ, ჩვენი უწვერო, ქოსა, თეთნულდივით გაფითრებული და მელოტი ბაბუა საკმაოდ განსწავლული და განათლებული ადამიანი გახლდათ.

– რა ქენი, ბაბუა, ირბინე ამ დილას? – იკითხა ბავშვივით ლაღმა, მაგრამ დინჯმა იოსებმა.

– კი, ბაბუა იოსებ, მაგრამ ამას სირბილს ვერ დავარქმევ, უფრო სწრაფი ნაბიჯებით ვისეირნე.

– და რატომ ერიდები, ჩემო ირინეოს, სირბილს?

– რა ვიცი, უგუნურებად მეჩვენება სიცოცხლის ჟინის გამუდმებით ღვრა, – მიუგო ირინეოსმა და გაიფიქრა, ალბათ იოსები ფიქრობს, რომ ამ დილით საქმე დამლევიაო.

მოხუცს ხმა არ ამოუღია, ეტყობოდა, დრო სჭირდებოდა, რომ ირინეოსის ნათქვამზე ეფიქრა. ელექტროჩაიდანთან მივიდა, ორი ფინჯანი ყავა მოამზადა და მაგიდასთან მოიტანა, რომელიც ორ სავარძელს შორის იდგა. ერთ-ერთ სავარძელში თავად ჩაჯდა და ირინეოსს უთხრა, რამდენიც გენებოს, იმდენი შაქარი ჩაიყარეო. მერე ერთი ყლუპი ყავა მოსვა და ლაპარაკი განაგრძო:

– ესე იგი, ძალებს ზოგავ, ხომ?

– დიახ და ვფიქრობ, რომ ეს კარგია.

– სოდომსა და გომორში ღმერთმა თავი დაისახიჩრა, დახოცა რა საკუთარი პირმშონი.

ეს იყო თვითმკვლელობის მცდელობა.

შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!

სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,

რომ კაცად ვერ გამიზრდიხარო! – მგზნებარედ და მოულოდნელად წარმოთქვა ბატონმა იოსებმა.

– მერე, ეგ ჩემს მიერ ძალების დაზოგვის მეთოდების გამოყენებასთან რა კავშირშია? – იკითხა ამ მოულოდნელი პათეტიკურობით გაოცებულმა ირინეოსმა.

– იმ კავშირშია, რომ სოდომელებსა და გომორელებს ან უნარი არ შესწევდათ გაეთავისებინათ, ან ამისთვის შინაგანი ძალა არ ყოფნიდათ, რომ ძალებისა და გრძნობების დაზოგვის შედეგად შობილი სიკეთეების გარეშე დაცემა და პირისაგან მიწისა აღგვა გარდაუვალია.

– ეჰ, ჩემო მყუდრო იოსებ, მითოლოგიებსა და თუნდაც გენიალურ მითოლოგიებში რომ არ გადავიჭრათ, ამ მოსაზრების ჭეშმარიტების დასადასტურებლად ხომ დიდი კოლუმბიელი მწერლის, გაბრიელ გარსია მარკესის „მარტოობის ასი წელიწადი“ და ხორციელი ვნებების უბასრესი მახვილით განადგურებული მაკონდოც საკმარისია.

– ნამდვილად ასეა, ჩემო ირინეოს. სამსახურში რა ხდება, როგორია საყოველთაო ჰარმონიის დაცვისთვის განხორციელებული ღონისძიებების მარგი ქმედების კოეფიციენტი?

– ძალიან მაღალი და ამის მიზეზი ჩვენს მიერ დაწესებული წესების ჩვევად გადაქცევაა, ჩვენი ფასეულობებით მომავალ თაობათა კოლექტიური არაცნობიერის ამოვსებაა. ყველაფერი, რასაც ჩვენ ფასეულად მივიჩნევთ, ყოველდღიურ მოცემულობად, ანუ თავად ცხოვრებად უნდა იქცეს, –

თქვა საკუთარი მოსაზრების სიღრმისეულობით მოხიბლულმა ირინეოსმა, კიდევ ორი ყლუპი ყავა მოსვა და სავარძლიდან წამოდგა, უხერხულობისგან ორი უსარგებლო მოძრაობა გააკეთა და შარვლის ტოტები ფეხსაცმლის ყელს სიმეტრიულად შემოაბჯინა.

– ძალიან მიხარია, ბაბუა, – სიტყვა მიაგება იოსებმა, სტუმარს დაემშვიდობა, გააცილა და თავის თეთრ მაგიდას მიუჯდა, ლეპტოპი გახსნა და უცნობი ტექსტის წერა განაგრძო.

* * *

ქალაქ სააეშაგოს ერთადერთი ადმინისტრაციული ორგანოს – „ქალაქის ზომიერების დაცვის სამსახურის“ ხელმძღვანელი და მაშასადამე, ქალაქის თავიც, ბატონი ფაუსტულუსი საშუალო სიმაღლის, საშუალო წონისა და საშუალო სილამაზის კაცი იყო. ერთადერთი, რაც მოჭარბებულად ებადა – უსაზღვრო წიგნიერება და აზროვნების უფართოვესი თვალსაწიერი გახლდათ. მისი ცხოვრება სამყაროს ევოლუციას მოგაგონებდათ, რომლის დროსაც სივრცე სავსე იყო აფეთქებებით, ციური სხეულების შეტაკებებით, შეტაკებების ნასხლეტების შეტაკებებითა და ნასხლეტების ნასხლეტების ნასხლეტების ნასხლეტების დაქუცმაცებული ნაწილაკებით, შემდეგ კი – აფეთქების მანიით შეპყრობილი უჯრედებით გაძეძგილი უთვალავი, გაყინული წერტილით, რომელიც შესისხლხორცებული, შეერთებული, დროებით დაზავებაში განისვენებს და მომავალში, როდესაც საკუთარ არსებობაში ვეღარ ჩაეტევა, კოსმოსური ვულკანივით ამოფეთქს და ამოარსებდება.

ამ ამოარსებობის შემდეგ რომ სამყარო დაარსდება და იქ ამ სამყაროს წესებით მოაზროვნე აღიზრდება, ბატონი ფაუსტულუსიც ასეთ მოაზროვნეს მოგაგონებდათ.

ირინეოსს საკუთარ სამუშაო კაბინეტში შესვლამდე ბატონ ფაუსტულუსთან შევლა და მისი მოკითხვა ჩვევად ჰქონდა, ისევე, როგორც სტრუქტურის მრავალ თანამშრომელს.

ამჯერადაც შეუარა. ქალაქის თავის სამუშაო ოთახი უზარმაზარ სივრცეს წარმოადგენდა, რომელიც უამრავი ნახატით აეჭრელებინათ. ყველაზე დიდ ნახატზე გამოსახული, ფრთებდათუთქული იკაროსი ზღვისკენ შურდულივით მოისტყორცნებოდა. ნათელი იყო, რომ იკაროსის ამბავი ქალაქის თავკაცისთვის ყველაზე მნიშვნელოვან და ჭკუის სასწავლებელ ამბად მიიჩნეოდა. იკაროსის დაღუპვის ამსახველი ნახატის გვერდით ჰიმნიბორგში ამაყად მჯდომი, ოდნავ აღელვებული გამომეტყველებით მოთამაშე ჰეიმდალი იმზირებოდა, ჰეიმდალ ოდინის ძე ღმერთთამცველი. აქვე განეთავსებინათ დახატული სცენა გაბრიელ გარსია მარკესის „მარტოობის ასი წელიწადიდის“ ერთი ეპიზოდიდან, როდესაც წითელი ჭიანჭველები ჩვილი და უკანასკნელი ბუენდიას რბილ და ქათქათა ტყავს მიათრევენ, მაგრამ ბიბლიური გრიგალი მაკონდოსთან ერთად მათაც პირისაგან მიწისა აღგვის. ქალაქის თავკაცის სამუშაო მაგიდის უკან კრონოსის მიერ ურანოსის დასაჭურისების სცენა ეკიდა.

– არ გეტყვი, რომ დაჯდე, ჩემო ირინეოს, რადგან ეს ჩემი მხრიდან თქვენი არდაფასება იქნებოდა. როგორ გიკითხოთ? – ფაუსტულუსმა მსახიობური, დახვეწილი მანერითა და დიდი არტისტიზმით მოიკითხა ირინეოსი და გულიანად გაუღიმა. მისგან საოცარი ძალა და სილაღე გამოსჭვიოდა.

– ჰო, ნებაზე ზემოქმედება აკრძალულია, რადგან რომელიმე ვნება რომ ასაკრძალი ყოფილიყო, თავიდანვე არ იარსებებდა და მითუმეტეს „ნება“ არ ერქმეოდა. ჰო, კიდევ, არ დამავიწყდეს, ნებაც ვნების შედეგია და ვნება თავად იყო ნება – ძალზედ ჩვეულებრივად, ყოველგვარი სიამაყის გარეშე უპასუხა ირინეოსმა და „ხმელი წიფელივით“ დინჯი ხელმძღვანელი თავადაც ნამდვილი სიყვარულითა და მოკრძალებით მოიკითხა.

– იცი, ერთხელ, დიდი ხნის წინათ, სტუდენტობისას, ბერძნულ-რომაული სამართლის ლექტორმა და აკადემიკოსმა, მსოფლიო მოაზროვნემ, ბატონმა ნაკოსმა გვკითხა, ფრანც კაფკას „მეტამორ-

ფოზა“ თუ წაგიკითხავთო. ჩვენ ვუთხარით, არ წაგვიკითხავს-თქო. ჰოდა, უნივერსიტეტის ამფითეატრში გაიარ-გამოირა, შემდეგ ნაკვერჩხლისფერ ტრიბუნასთან შეჩერდა, ჯერ სათვალე მოიხსნა და სპეციალური საწმენდით გაწმინდა, მერე მარცხენა ხელი ტრიბუნას დააყრდნო, ხოლო მარჯვენა მოკეცა და მუცელზე მიიკრა (ამ დროს მუცელზე ჰორიზონტალურად გაწოლილი ხელი საწოლს მოგაგონებდათ), ორატორის შემართებით შეგვათვალიერა და მყარად გვითხრა: „თუ კაფკას „მეტამორფოზა“ არ წაგიკითხავთ, მაშინ იურიდიულ ფაკულტეტზე კი არა, საერთოდ დედამიწაზე რა გესაქმებათ“?! მახსოვს, ლექციის დასრულების შემდეგ ბიბლიოთეკაში გავვარდი და კაფკას „გარდასახვის“ კითხვა დავიწყე.

– ძალიან საინტერესო ისტორიაა. კაფკას დაუსრულებელი რომანი – „ამერიკა“ წავიკითხე და რომანის მთავარი გმირის ადამისებრი მოგზაურობის ფათერაკიანი დასაწყისის კაფკასეული გაგება მომეწონა კიდეც, მაგრამ „მეტამორფოზა“ არასდროს წამიკითხავს, – ცოტა დარცხვენილად, ცოტაც სიამაყით მიუგო ირინეოსმა და დასძინა – და მაინც, რაზეა ეს წიგნი?

– იმაზე, ჩემო დამჯერე ბიჭუნავ, რომ არა მარტო უნებო და უვნებო არ სჭირდებათ ადამიანებს, არამედ ისიც, ვისაც ვნება და ნება საერთოდ არა აქვს, ან თუ აქვს, მისი გამოვლენა ფიზიკურად არ ძალუძს. მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ გრეგორი ზამზა უვნებო და უნებო კაცი არ იყო, უბრალოდ, ხოჭოდქცეულს თავისი ყველაზე მდაბიო გრძნობების გამოხატვაც არ შეეძლო და უმაღლესი გრძნობების მაღალმხატვრულად გამოვლინებაზე ხომ საუბარიც ზედმეტია.

– და ალბათ ხოჭოდქცეული ყოველმან გარიყა.

– დიახ, ჩემო ირინეოსს, სწორად გამოიცანი.

– გამოდის, რომ არ უნდა დავუშვათ ხოჭოდ ქცევა.

– ასე გამოდის.

ასეთი ფაქიზი რამ არის ადამიანის ნება-სურვილი და მისდამი დამოკიდებულებაც გააზრებული და კეთილშობილური უნდა იყოს, – განაგრძო ბატონმა ფაუსტულუსმა, – ადამიანს თუ ნება შეუზღუდე, თვითრწმენას დაკარგავს და გამოუსადეგარი გახდება, ხოლო კაცობრიობას რაც მეტი გამოუსადეგარი ეყოლება, მით უფრო ადრე დაეცემა. რომ არა მე-18 საუკუნის ინგლისში ინდუსტრიული რევოლუცია, მე-19, ან მე-20 საუკუნეში მას რუსეთი შეჭამდა. მე-18 საუკუნეში, რომ არა ბრიტანელების ძლიერი ნება – განვითარებულიყვნენ, დღეს ან საერთოდ არ იარსებებდნენ, ან განუვითარებელი ერების სიაში ეწერებოდნენ. ჩვენს სიცოცხლეშიც ასე ხდება. ერთი წამით რომ წარმოიდგინო, რომ დედამიწაზე ყოველი ადამიანი გაზარმაცდა, უნებო-უვნებო გახდა და სახლიდან გამოსვლაც აღარ სურს, ან ის რომ წარმოიდგინო, რომ დედამიწაზე ნიჭიერი და უნარიანი აღარავინ დარჩა, ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ ეს პარადიგმაც საკმარისი იქნებოდა იმის გასააზრებლად, თუ რა დღეში ჩავარდებოდა დედამიწა და მასზე მცხოვრებლების სიცოცხლე.

– ამიტომ, რაც უფრო ნაკლებად შევზღუდავთ ადამიანების ნებას, მით უფრო გავახანგრძლივებთ ჩვენი გენის არსებობას და მით უფრო დიდი შესაძლებლობები და შესაბამისად, ძალაც მოგვეცემა, რომ კაცობრიობის სამსახურში ვიდგეთ და არ დავიღალოთ, – გამართულად და თითქმის შეუსვენებლად თქვა ირინეოსმა, სავარძლიდან წამოდგა, ბატონ ფაუსტულუსს დაემშვიდობა და ოთახის დატოვება დააპირა.

– მოიცადე, შენთან საქმე მაქვს.

– გისმენთ, ბატონო ფაუსტულუს.

– ქალაქში ახალი პოეტი გამოჩენილა, რომელიც სოციალურ ქსელებში „არშემდგარი პოეტითაა“ დარეგისტრირებული. თურმე იჩემებს, ჩემთან შედარებით ჰომეროსი პატარა პოეტიაო და ამბობს, ჩემი პოეზია ადამიანების აზროვნებას შეცვლისო.

– და თუ საიდუმლო არაა, საითკენ შეცვლის ადამიანების არსებობასო? – ინტერესით იკითხა ირინეოსმა.

– და მაგ ფაქტორს მნიშვნელობა აქვს? განა ის არ არის მნიშვნელოვანი, რომ ვიღაცას გაღმერთება სურს? რაღა აზრი აქვს იმის ძიებას, მართლა ღმერთია თუ არა, როდესაც ვინმეს გაღმერთება ისეც დაუშვებელია და ასეც. მაშ, წადი და იმოქმედე.

– კარგით, ბატონო ფაუსტულუსს, – პირობა მისცა საკუთარი არცოდნით დარცხვენილმა და ბატონი ფაუსტულუსისგან მიღებული ცოდნით გახარებულმა ირინეოსმა და ხელმძღვანელის სამუშაო ოთახი დატოვა, რათა თავის კაბინეტში წასულიყო და საქმეს შედგომოდა.

ამასობაში ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი მშობლიური ქალაქის ქუჩებში დაეხეტებოდა და ბავშვობის ტკბილი მოგონებებით ტკბებოდა. მალე სანაპიროს უზარმაზარი გემი მოადგებოდა და მეზღვაურს ყოველივე ახლობელსა და სანდოს ჩამოაცილებდა.

მაგრამ დაბრუნება საკუთარ ქალაქში ქალაქიდან გაუსვლელად, მაინც სულ სხვა შეგრძნებაა.

ათვითცნობიერებ, რომ საკუთარი ქალაქის ის ნაწილი გენატრება, რომელიც შენს შორეულ, ბავშვობის მოგონებებში ტივტივებს და ამ ადგილების ძიებას იწყებ. პოულობ და ცრემლები მოგდის.

ზოგჯერ ქალაქის ის ადგილებიც გენატრება, რომელიც არასოდეს გინახავს.

გეძახიან ეს ადგილები, რადგან დაივიწყე და მათაც მოენატრე. უფრო ხშირად რომ სტუმრებოდი, არასდროს გინატრებდნენ, არასდროს დაგიძახებდნენ.

შენ ზარატუსტრასავით ხარ, ხოლო ქალაქი შეგირდებს ემსგავსება, რომელიც მარადიულ დაბრუნებას მოითხოვს, რადგან დროგამოშვებით თუ არ დაბრუნდი, არასდროს დაავიწყდები.

ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი ქალაქში ხეტიალით იქარწყლებდა მოახლოებული განშორების მჭმუნვარებას.

* * *

ჩვენი ტანწერწეტა გმირი სამუშაო ოთახში სამუშაო მაგიდას მიუჯდა, კომპიუტერის პროცესორის მთავარ ღილაკს მიაჭირა და კომპიუტერი ჩართო. ამის შემდეგ სოციალური ქსელი „მსოფლიო ნაგავსაყრელი“ გახსნა და „არშემდგარ პოეტს“ დაუწყო ძიება. ამავე ეპითეტით ვიღაც იპოვა და მისი პირადი გვერდის დასათვალიერებლად მოემზადა.

„მე მიყვარს ზეცა, რადგანაც გიცქერს,
მე მიყვარს მიწა, რომელზეც დგახარ,
შენი უბანი, შენი იერი
და ახლა უფრო, უფრო მიყვარხარ!
კვლავ ისე ხარბად, ხარბად მიყვარხარ,
რომ შევიყვარე შენი სატრფონიც,
თვით უეპოქო გახელება ხარ
და სიყვარულის ბოლო ფოტონი!“

არშემდგარი პოეტი მართლაც დიდებულად წერს, მაგრამ „რომ შევიყვარე შენი სატრფონიც“, ამ ფრაზაში ნეტავ რას გულისხმობს? მოდი, ამ კითხვას დავუსვამ და რაც არ უნდა მიპასუხოს, მივწერ, რომ ეს ფრაზა დიდი პოეზიისთვის ცოტა ვულგარულად ჟღერს და თუ სხვა, უფრო მაღალმხატვრული ფრაზით ჩაანაცვლებს, უკეთესი იქნება, – ფიქრობდა ირინეოსი და თავნება პოეტის მორალური ლიკვიდაციის გეგმას სახავდა, გეგმას, რომლის სისრულეში მოყვანის შემდეგ შემოქმედს თხზვა აღარასდროს მოესურვებოდა – თანაც შევამოწმებ, რამდენად აცნობიერებს იმას, რასაც წერს და რამდენად სწრაფად შეუძლია საკუთარ შემოქმედებაში ღრმაშინაარსიანი ცვლილების შეტანა.

– რას ნიშნავს ფრაზა – „რომ შევიყვარე შენი სატრფონი”?

პასუხმა თხუთმეტი-ოცი წუთით დაიგვიანა, თუმცა მომხმარებელი ქსელში იყო, რადგან მწვანედ ანათებდა. მის მიერ შეტყობინების ნახვაც დადასტურდა.

– თუ ადამიანი სამარადისოდ გიყვარს და ის უმიზეზოდ მიგატოვებს, წესით, ვინც შეიყვარა, ან ვინაც შეიყვარა, ისიც უნდა გძულდეს. მე ოდესღაც ეს ვერ მოვახერხე. მის ირგვლივ და მასში ვერაფერი შევიძულე, – ოცი წუთის დაგვიანებით მოვიდა საკმაოდ მომხიბვლელი და მახვილგონიერი პასუხი.

ირინეოსმა უმალვე გააცნობიერა, რომ ღმერთკაცები ოც წუთს საკუთარი დაწერილის გააზრებაზე არ ხარჯავენ და ამოისუნთქა.

– მე გირჩევდით, რომ ეს ფრაზა უფრო მაღალმხატვრული ფრაზით ჩაანაცვლოთ.

– კარგით, გავითვალისწინებ თქვენს აზრს, – იყო არშემდგარის პასუხი.

ირინეოსმა გაიფიქრა: „ღმერთები უბრალო მოკვდავების რჩევებს არ ითვალისწინებენ“.

მან კიდევ ერთხელ ამოისუნთქა შვებით.

დაახლოებით ათ წუთში ირინეოსს არშემდგარმა სტროფის შესწორებული ვარიანტი გამოუგზავნა, რომელიც ასე ჟღერდა:

„მე მიყვარს ზეცა, რადგანაც გიცქერს,
მე მიყვარს მიწა, რომელზეც დგახარ,
შენი უბანი, შენი იერი
და ახლა უფრო, უფრო მიყვარხარ!
კვლავ ისე ხარბად, ხარბად მიყვარხარ,
რომ გავასახლე შენი სატრფონიც,
თვით უეპოქო გახელება ხარ
და სიყვარულის ბოლო ფოტონი!“

„სატრფო დაცემისა და ზედმეტი დავიდარაბისგან იხსნა“ – გაიფიქრა ირინეოსმა, როდესაც ლექსის შესწორებული ვარიანტი წაიკითხა და არშემდგარ პოეტს მისწერა, რომ რამდენიც უნდოდა, იმდენი ეწერა. შემდეგ ბატონი ფაუსტულუსისთვის მისაწერი არაოფიციალური წერილის მზადება დაიწყო, რომლითაც ხელმძღვანელისთვის აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ანგარიში უნდა ჩაებარებინა.

წერილის შინაარსი ასე გამოიყურებოდა:

„ბატონო ფაუსტულუსს,

პატივისცემით მოგახსენებთ, რომ თქვენ მიერ დასახელებული, ვინმე „არშემდგარი პოეტი“ მართლაც კარგად წერს, მაგრამ მას ღმერთკაცისა და ზეკაცის არაფერი სცხია. ის იმდენად ღრმა, საინტერესო და ნატიფ ლექსებს წერს, რომ ხალხი ვერასდროს გაუგებს და გიჟად შერაცხავს. ჩვენი პოეტი თვინიერი, დამჯერე და საკმაოდ თავმდაბალი ადამიანია. ეტყობა მისი გაგულისება და გაამპარტავნება მეზობლებისა და მეგობრების მიერ მისივე პოეზიის არაღიარებაა, ხომ იცით, მეზობლები და მეგობრები კაენივით შურიანები არიან. გარდა ამისა, ის ლექსებს სპონტანურად წერს და ღრმად და კარგად არც აქვს გააზრებული, რას წერს. აღნიშნული პიროვნება საზოგადოებრივი წესრიგისა და საყოველთაო ჰარმონიულობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს და დაე, რამდენიც უნდა, იმდენი წეროს“ – ირინეოსმა წერილის წერა დაასრულა და ელექტროფაილი ხელმძღვანელს გაუგზავნა.

ხელმძღვანელის პასუხმაც არ დააგვიანა:

„მადლობთ, ჩემო გაწაფულო ბიჭუნავ. იმედია, ვიღაც მისი ლექსებით მოხიბლული ვერაგი ტიპი არ გამოჩნდება და ჩვენს პოეტს გმირად არ აქცევს. ყველაფრისთვის მადლობას გიხდი, ოღონდაც ბატონობით ნუღარ მომმართავ და პატივისცემითაც რომ მექცევით, ამასაც ხაზს ნუ უსვამთ“.

ფაუსტულუსის მონაწერზე გაეღიმა. ადგა, სამუშაო ოთახი გამოიხურა და სახლისკენ გამოემართა.

* * *

მიჰყავდა გზას ირინეოსი და ფიქრის დროც მოეხელთებინა. ჭამე, მაგრამ არ გაძღე, გიყვარდეს, მაგრამ სიყვარულის მიზიდულობის ცენტრში თავქუდმოგლეჯილი ნუ გადაეშვები, თორემ ის შავი ხვრელივით შთანგთქავს და შავი ხვრელიდან საღსალამათი არავინ დაბრუნებულა. დაეხმარე, მაგრამ მოწყალების მიმღებმა იცოდეს, რომ დახმარება შენი ჰობი არ არის, არავისი გეშინოდეს, მაგრამ არც შენი ეშინოდეთ, გახსოვდეს, რომ ყველაფერი დასაშვებია, მაგრამ რაც გსიამოვნებს იმის უზომოდ დაუფლება, მისი ერთ ჯერზე გადასანსვლა გაგაზულუქებს და უდროოდ გაგაუფერულებს. იკითხე არა იმიტომ, რომ სხვების თვალთახედვაში განდიდდე, არამედ საკუთარი თავის წინაშე და იკითხე იმიტომ, რომ ფუჭად ყოფნის შეგრძნება დაიოკო. გაანადგურე არა მარტო შურიანები, არამედ თანაადამიანებში შურის აღმძვრელებიც.

გახსოვდეს, რომ ვინც ათ წიგნს კითხულობს, ვერასდროს აჯობებს მას, ვინც ათ გვერდს კითხულობს და შემდეგ ათ გვერდზე ათ დღეს ფიქრობს, – ამ ფიქრებში გართული ირინეოსი ბანკში შევიდა, რათა ტელეფონის საყიდლად სესხი გაეკეთებინა.

– სესხი მინდა გავაკეთო.

– რამდენი? – ჰკითხა გახარებულმა ბანკირმა.

– სამი ათასი.

– გასაგებია. ახლავე შეგავსებინებთ შესაბამის დოკუმენტაციას, მანამდე კი – გთხოვთ თქვენი ტელეფონისა და პირადობის ნომრები მომაწოდოთ.

ირინეოსმა მობილური ტელეფონი ამოიღო და საკუთარი ნომრების ძებნა დაიწყო. გაოგნებული ბანკირი აკვირდებოდა ოდნავ აღელვებულ, გაწითლებულ ირინეოსს და თავი სიზმარში ეგონა. მას ვერ დაეჯერებინა, რომ ელექტრონების განკაცების ეპოქაში ვიღაცამ საკუთარი პირადობისა და ტელეფონის ნომრები არ იცოდა.

– ინებეთ, – უთხრა აწ გახარებულმა ირინეოსმა და შესაბამისი ნომრები ჩააწერინა.

ბანკირმა უთხრა, რომ სესხი დაუმტკიცდებოდა და გახარებულ ირინეოსს თავადაც გახარებული დაემშვიდობა.

საღამოს რვა საათი იქნებოდა, როდესაც ჩვენმა გადაქანცულმა გმირმა სახლამდე მოაღწია და ეზოს ჭიშკრის კარი შეაღო, შემდეგ სახლის პარმაღი გადაკვეთა და თავის ოთახში მკვდარივით დაიძინა.

მოპირდაპირე სახლის მეორე სართულის ცისფერი საღებავით შეღებილი და ანჯამებდაჟანგული ფანჯრიდან იოსებ ბაბუა იცქირებოდა და ირინეოსის შინ დაბრუნების ეპიზოდს ყურადღებით აკვირდებოდა. მის უკან მოკაშკაშე შუქი მოხუცს შარავანდედივით დასდგომოდა და მელოტი თავი წმინდანის იერს სძენდა. როგორც კი ირინეოსი სახლში შევიდა, იოსებიც მოსცილდა გადატყავებულ ფანჯარას და თავის პატარა, თეთრ მაგიდას მიუჯდა. მიუჯდა და ლეპტოპიც გახსნა. გახსნა და წერაც დაიწყო. ამ სიმყუდროვეში ჩაის დალევაც მოისურვა, მაგრამ წყლის ადუღება შეეზარა და ჩაიზეც თავს უარი უთხრა.

* * *

გამთენიოს ირინეოსი ბატონი ფაუსტულუსის შეტყობინებამ გააღვიძა, რომელიც ატყობინებდა, ხვალ სერიოზული დავალება უნდა მოგცე და კარგად გამოიძინეო. როგორც კი დაასრულა შეტყობინების წაკითხვა, უეცრად ჩვენს გმირს მთელი სამყარო ერთ დიდ დასისხლიანებულ, ადამიანების ძვლებით მოფენილ თალპიონად ეჩვენა, რომელზეც ბრძოლაში ბრძოლით ყველა და ყველაფერი იშვება და რაც იშვება, ისიც ბრძოლაში ბრძოლით კვდება. ხუთი წამით ყველაფერზე გული აერია, მაგრამ მოათვალიერა რა, თავისი მყუდრო, მშვიდი და მოწესრიგებული ოთახი, სიცოცხლისუნარიანობა კვლავაც დაუბრუნდა, საწოლიდან წამოდგა, ხელ-პირი დაიბანა, წინა დღით საგანგებოდ მოდუღებული, გაცივებული ყავა მიირთვა, შეიმოსა და სამსახურისკენ გასწია. არც დილის გამამხნევებელი ვარჯიშების გაკეთება დავიწყნია, რომელიც ზოგჯერ ისე ეზარებოდა, რომ არ აკეთებდა და თავს იიმედებდა, დილით ორგანიზმს ჯერ არ გაუღვიძია და მისი ზედმეტად დატვირთვა მაინც არაა სასარგებლოო.

სახლის ეზო დატოვა (წამით მზერა ბაბუა იოსების ანჯამებდაჟანგული სარკმლისკენ გაექცა) და თითქმის ცარიელ ქუჩას გაუყვა.

ირინეოსის წინ მერაბ ბერძენიშვილის მიერ გამოშედევრებული დავით გურამიშვილის ქანდაკებასავით ტანწერწეტა გოგონა მისრიალებდა და ფრანგული ბულდოგი მიჰყავდა, რომელიც თეძოებს ზვიგენივით არხევდა.

ირინეოსს სახლიდან, რომელსაც ელიანდრები ისე შემოხვეოდა, როგორც ლაოკოონს აპოლონის ნების აღმსრულებელი გველები, შეფარულად დაფეთებული ლომის მსგავსი სახის მრისხანება დააატყდა, რომლის დანახვაზე ახალაფეთქებული მზეც კი შეკრთა, როგორც უდიდესი კერპი პოლითეისტებისა და მონოთეისტებისა, შეკრთა, დამწუხრდა, ზეცას ნაძვის ხის ბურთივით მოსწყდა და ჰაერის წინაღობის ძალით ფსევდონაიკის მაისურივით გაიცრიცა – ანუ გათენდა.

სანამ სამსახურში მივიდოდა და ბატონ ფაუსტულუსს მოინახულებდა, მაღაზიაში შევიდა და „Mcflurry"-ის ნაყინი შეჭამა, რომელმაც კომუნისტებისდროინდელი „ესკიმო" გაახსენა. არაფერია მზის ქვეშ ახალი, – გაიფიქრა ნახევრადმოწყენილმა ირინეოსმა და „ქალაქის ზომიერების დაცვის სამსახურის" შენობაში შეაბიჯა, რომელიც მთლიანად ყვითლად იყო შეღებილი, ხოლო კუთხეებში შავი ტყავით დამზადებული სავარძლები განეთავსებინათ. შენობაში სანამ შეაბიჯებდა, ბოლო ფიქრი, რომელზეც ფიქრობდა, ახალი აღთქმისეული ღმერთისა და სატანის ჭიდილი გახლდათ, რომელიც, ჩვენი გმირის აზრით, არის ჭიდილი ზომიერების პრინციპის ღერძის თავსა და ბოლოში დაფუძნებული ორი ძალისა, რომელთაგან ამ პრინციპს ვერც ერთი ვერ იცავს. ერთი ხორციელი ვნებების შეზღუდვისკენ მოგვიწოდებს და ეს შეზღუდვები მომავალში აგრესიად იქცევა ხოლმე, ხოლო მეორე ხორციელი ვნებების უსაზღვროობაში გადაშვებისკენ, რაც ხშირად სიცარიელედ და გამოფიტვად მოგვევლინება.

„რაც არ უნდა დამავალოს, მხოლოდ ბედნიერებას მომიტანს, რადგან აღტაცება, რომელსაც ყოველ ჯერზე განხორციელებული მიზანი გვგვრის, საწვავივითაა და მომდევნო მიზნის დასახვა-განხორციელებამდე გვყოფნის. ადამიანს სასიცოცხლო ძალებს საკუთარი მიზნების განხორციელებისა და დაკმაყოფილებული სურვილების შედეგად მოგვრილი აღფრთოვანება მატებს", – ბოლოჯერ გაიფიქრა ირინეოსმა და ქალაქის თავკაცის კაბინეტში შეაბიჯა.

დილის ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც ირინეოსი ბატონი ფაუსტულუსის კაბინეტში იდგა და მარკესის ფანტაზიის ნაყოფს – გახელებულ, გაუმაძღარ, წითელ ჭიანჭველებს შესცქეროდა.

ამ დროს ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმრის გულისცემა მატულობდა, რადგან გემი ნაპირს უახლოვდებოდა და მალე ჩვენი დასევდიანებული, მაგრამ უბედნიერესი მეზღვაური ოთხი ელემე-

ნტიდან უმთავრესში – წყალში გემთან ერთად შეგემდებოდა. ირინეოსის ბიძაშვილმა იცოდა, რომ ცოლის თვალებისა და მიმოხრის მონატრებას უსაზღვრო, ოკეანისეული სევდით ჩაახშობდა, სევდით, რომელსაც ფერიც ჰქონდა და ბავშვობისდროინდელ ეზოებში განთავსებულ შენობებზე მოდებული ხავსისფერი იყო. ხოლო ცოლი დარწმუნებულიყო, რომ ცხოვრებისუნარიანობის გასაუმჯობესებლად სიშორით აღძრული ხორციელი ვნებები მოევლინებოდა. ყოველივე ეს ხომ მათთვის უკვე მრავალგზის ნაცადი გახლდათ.

ჩვენს მეზღვაურს სიყრმის ორადორი მეგობარი აცილებდა, რომელთაგან ერთ-ერთმა ფული სთხოვა. აქაო და, სანამ გაემგზავრები, თუ რამ საფულეში გიდევს, დატოვე, შენ გემზე ყოფნა კარგა ხანს მოგიწევს და გემბანზე ფულს მაინც ვერ დახარჯავო.

მეზღვაურმა სიყრმის უსაყვარლეს მეგობარს მკვახედ მიუგო, რომ მას ორი ხელი, ორი ფეხი და თვალები ჰქონდა, სრულიად ჯანმრთელიც იყო და შეეძლო ფული თავისი შრომით გამოემუშავებინა.

– უცნაური კაცი ხარ, – ჩაილაპარაკა უხერხულობისგან აწითლებულმა მეგობარმა.

* * *

ფაუსტულუსი, რომელიც თომა აქვინელს მოგაგონებდათ, სამუშაო მაგიდიდან წამოდგა, ჩვენს გმირს მიეგება, მარჯვენა ხელი ჩამოართვა, ხოლო მარცხენა ირინეოსის მხარს მოუთათუნა და სტუმარს დაჯდომა შესთავაზა.

ჩვენი გაწაფული ბიჭუნა სკისფერ სავარძელში ჩაჯდა და ქალაქის თავს დაელოდა, თუ როდის დაიწყებდა საუბარს. ირინეოსმა იცოდა, რომ ბატონ ფაუსტულუსს ჩვევად ჰქონდა, სანამ სამსახურებრივი დავალების მიცემაზე გადავიდოდა, ზოგად და ფილოსოფიურ თემებზე ესაუბრა. ის მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურასაც ეტანებოდა.

– როგორ ფიქრობ, ჩემო ირინეოსს, ბუნების ძალების ადამიანის სამსახურში ჩაყენება შესაძლებელია? – იკითხა ფაუსტულუსმა და თავი ოდნავ მარცხნივ გადაწია, ხოლო მარცხენა ხელი სავარძლის ფართო სახელურს ჩამოადო.

– მაგალითად, ქარის?

– ან თუნდაც ქარიშხლის.

– ჰო, გასაგებია. რატომაც არა, თუნდაც გაიხსენე ტატოს „მერანის“ მეხუთე სტროფი.

– აბა, ჩემო ბიჭუნავ, გამახსენე.

– „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის;
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის მინდვრის,
და ქარისშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით, მიწას მამაყრის“!

– ტატოს ქარიშხალი მესაფლავედ დაუქირავებია...

– შენი აზრით, ჩემო გაწაფულო ბიჭუნავ, ტატო ჯეიმს ჯოისის ლექსებს კითხულობდა?

– მე პირიქით მგონია, ბატონო ფაუსტულუსს, ანუ რომ ჯოისი კითხულობდა ტატოს ლექსებს.

– ეგ შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ნიკოლოზ ბარათაშვილი ასევე დიდ ჯოისზე რამოდენიმე ათწლეულით ადრე დაიბადა, ჯოისი მის ლექსებს ვერ წაიკითხავდა. რატომ? იმიტომ, რომ ტატოს სიცოცხლეში არც ერთი ლექსი არ დაბეჭდილა, – ფაუსტულუსმა მამობრივი მზრუნველობის გამომხატველი ღიმილით გაიღიმა და ირინეოსის რეაქციას დაელოდა.

– კი მაგრამ, რა კავშირშია ტატო ბარათაშვილი და „ულისეს“ ავტორი ერთმანეთთან?

– იმ კავშირშია, რომ თუ ჩვენმა გენიოსმა ქარიშხალს დაავალა მესაფლავეობა, ჯოისმა ქარს ჰერმესის ფუნქცია მიანიჭა.

– სამწუხაროდ, ჯოისის შემოქმედებას საფუძვლიანად არ ვიცნობ.

– „წადი, მოძებნე, რომ მოვედი, უთხარი თავად, საამო ქარო, იღიღინე
ეპიტალამა.
გადაიქროლე მთები, ზღვები, შორი მანძილი, მე და ჩემს სატრფოს ვერაფერი
ვერ დაგვაცილებს.
თავაზიანო ქარო, კიდევ
ერთს გთხოვ წყალობას, მის ბაღში მიდი და სარკმელთან
მას უგალობე: დროა, მზად იყოს საქორწინო
თავსასთუმალი; შენთან იქნება შენი სატრფო, მალე, სულ მალე“

– კარგ ლექსებს წერდა შეშლილი ირლანდიელიც, – წარმოთქვა თვითკმაყოფილმა ფაუსტულუსმა და ირინეოსს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ქართველი გენიოსი უფრო ადრე შეეცადა ბუნების ძალების ადამიანის სამსახურში ჩაყენებას, ვიდრე ირლანდიელი.

– ახლა კი, საქმეზე გადავიდეთ, – დასძინა ქალაქის თავკაცმა და შეხურებული შეგირდისთვის საქმის ვითარების გაცნობას შეუდგა.

– ქალაქში ვიღაც ტიპი გამოჩენილა, რომელსაც ირგვლივ თავისი ქადაგებებით უამრავი ადამიანი შემოუკრებია. ამბობენ, რომ ფილოსოფიურ საკითხებზე საუბრობს და ლიტერატურაშიც ძალიან კარგად ერკვევა. შენ გევალება, რომ შეისწავლო, თუ რამდენად საშიშია ეს ადამიანი საზოგადოებრივი წესრიგისათვის და იმ ჰარმონიისათვის, რომლის დამკვიდრებასაც ათასწლეულები, გენიალური ტვინების ჭყლეტა და ოკეანეებზე მეტი სისხლის დაღვრა დასჭირდა. მიდი და მის ერთ ქადაგებას დაესწარი, ვნახოთ, რა ბაგაჟის პატრონია, – ბატონი ფაუსტულუსი მშვიდად საუბრობდა და შუათითს სავარძლის ტყავის სახელურის დაბოლოებას ნერვიულად უხახუნებდა, თანაც ისე, რომ ვერავის დაენახა.

– სულ ესაა, ბატონო ხელმძღვანელო?

– დიახ, სულ ესაა, მიდი, საქმეს შეუდექი.

როდესაც ირინეოსი შენობას ტოვებდა, IT მხარდაჭერის სპეციალისტი შეხვდა, რომელიც კარგა ხნის უნახავი ჰყავდა და გულთბილად მიესალმა.

– როგორ გიკითხო, სუბატომური ნაწილაკების რისხვავ? ისევ ძველი სპეციალობით მუშაობ?

– კარგად ვარ, თქვენ როგორ ხართ? დიახ, ისევ ძველი სპეციალობით ვმუშაობ და მანამ ვიმუშავებ, სანამ ვირუსებს არ მოკლავენ, ვირუსებს კი – ვერასდროს მოკლავენ.

თანამშრომლის ამ გონებამახვილურმა გონებამახვილობამ ირინეოსი აღაფრთოვანა და გააღიმა კიდევაც.

* * *

შუადღე იყო. მზე მიწას კანს აძრობდა და ქუჩა ფუსფუსებდა. უეცრად ცა და მიწა გაქრა. ცას და მიწას სინათლე მიჰყვა, სინათლეს ირგვლივ არსებული ყოველი ხე და მცენარეული, ხეებსა და მცენარეულს მზე მიჰყვა და გაქრა მზეც, ხოლო ბოლოს ყოველივე წყვდიადმა მოიცვა.

ირინეოსი ამ წყვდიადში ხედავდა, როგორ აღარ არსებობდნენ ფრინველები და ცხოველები. გაუჩინარდნენ ადამიანებიც.

აღარ არსებობდა შენობები, მანქანები, ჟრიამული, ფაციფუცი, აყალმაყალი, დავიდარაბა. არაფერი, არაფერი აღარ არსებობდა.

მთელი სამყარო თავისი ყველაფრით და არაფრით მასში მოქცეულიყო და სადაც იყო – აფეთქდებოდა. აღარ არსებობდა ღმერთიც, რომელიც მისივე შექმნილი სატანათვე მასში გადასახლებულიყო.

უცნაურ ხილვებში ჩაძირული ირინეოსი იმ შეგრძნებამ გამოაფხიზლა, რომელიც რაღაცის ძებნის შედეგად გვეუფლება ხოლმე, უფრო სწორად, იმის შიშით, რომ დანიშნულების ადგილს არ გავცდეთ. გამოფხიზლდა და შეამჩნია, რომ თაგვისფერი აგურებით ნაშენ, ორსართულიან, მოძველებულ შენობას მისდგომოდა.

შენობაში შევიდა და პირველივე კარზე დააკაკუნა. კარი უცნობმა, ძალიან მოწესრიგებულმა ქალბატონმა გააღო და იკითხა, რა გნებავთო.

ირინეოსმა უპასუხა ვისაც ეძებდა და თავის მხრივ, საოცრად გამოპრანჭული ქალბატონის პასუხს დაელოდა.

ქალბატონმა დასძინა, რომ მქადაგებელს, რომელიც ძალიან პუნქტუალური ადამიანია, გვერდით ოთახში იპოვნიდა. როგორც აღმოჩნდა, ჩვენი გამოპრანჭული ქალბატონი ამ შენობის მეპატრონე იყო და ოთახებს აქირავებდა, ხოლო ერთ-ერთი „მინდა ვიყო ბილი გრემისთვის“ მიუქირავებია. ქალბატონმა ასევე აღნიშნა, მქადაგებლის ოთახიდან ხმაური არასდროს გამოდის და მის აუდიტორიას არასდროს შევუწუხებივართო. ირინეოსმა გაიფიქრა, „დამდგარ წყალში ბევრი ბაცილებიაო“ და მქადაგებლის პერსონის მიმართ კიდევ უფრო მეტი ინტერესით განეწყო, თუმცა ფიქრებში იქვე გაიაზრა, რომ შეიძლება „დამდგარ წყალში რომ ბევრი ბაცილაა“, ესეც თამაში იყოს და დამკვირვებლის გასაბათურებლად მოწყობილი ხრიკიო. ასე იყო თუ ისე, ირინეოსმა დაუკაკუნებლად შეაბიჯა აზრის სიღრმეების წვდომითა და ტანჯვის მანიით შეპყრობილთა ბუდეში, შეაბიჯა და ცარიელ სკამზე დაჯდა.

ჩვენი გმირი იმანაც გააოცა, რომ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, თითქოს არც არავის დაუნახავს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ აუდიტორიისთვის მრევლის შემომატების ტენდენცია უჩვეულებრივესი მოვლენა გახლდათ.

ირინეოსი კიდევ უფრო გაოგნებული დარჩა, როდესაც ქადაგების მოსმენა დაიწყო. ორატორი, რომელსაც სახე ჩონჩხის სახეს მიუგავდა და ტანი – როსინანტს, მართლაც ორატორი იყო და ეტყობოდა, რომ ლაპარაკი უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა. ისიც ნათელი იყო, რომ ამ ადამიანს არავის გადმობირება ან მონუსხვა არ სურდა და უბრალოდ საკუთარ ცოდნას ამოწმებდა, იგი ამოწმებდა, თუ რამდენად საფუძვლიანად ჰქონდა გააზრებული ის, რაც წაეკითხა და რამდენად შესწევდა უნარი, ეს ყველაფერი საკუთარ გონებაში დაელაგებინა და მწყობრად გადმოეცა. ირინეოსს გაახსენდა, როდესაც ოდესღაც ერთ წიგნს კითხულობდა, თუ კარგად ახსოვდა, სარტრის „გულისრევას“ და მორიგი ეპიზოდის გააზრების შემდეგ, თუ როგორი საოცარი განცდა დაეუფლა, თითქოს ისიც სარტრად იქცა, თითქოს ისიც გენიოსი გახდა, რადგან გენიოსის ნააზრევს ჩასწვდა. მაშინ პირველად გააცნობიერა, რომ წიგნს თვითშეფასების ასამაღლებლად კითხულობდა, თუმცა იყო დრო, როდესაც სხვების მოსანუსხად და მოსათვინიერებლადაც იმეცნებდა.

„არ შეიძლება ღმერთი სული იყოს, რადგან თუ ის სულია, ესე იგი, რაღაცაა, ესე იგი, რაღაცას წარმოადგენს.

ის, რაც რაღაცაა, ესე იგი, ვიღაცამ შექმნა და ის, რაც ვიღაცამ შექმნა, არ შეიძლება უკვდავი იყოს.

თუმცა როგორც ჩვენ ვიცით, ღმერთი უკვდავია, მაგრამ არა, ღმერთი ხელთუქმნელი „არაფერია“, აბსოლუტური სიცარიელეა.

რადგანაც ღმერთი ხელთუქმნელი „არაფერია“, როდესაც ვკვდებით, როგორც „არაფრის“ პირმშონი, ღმერთი მაინც განახლდება ხოლმე, რადგან „არაფერი“ არ შეიძლება გაქრეს.

უსასრულო, უთვისტომო, უარაფრო „არაფერი“.

ამიტომაც სიტყვა „ღვთისმოშიში“ იმდენად ცუდი შინაარსის მატარებელია და ეს სიცუდე იმდენად ზედაპირზე ტივტივებს, რომ მის მანკიერ დატვირთვაზე არც კი გვიფიქრია. როგორ შეიძლება

„ხელთუქმნელი არაფრის“ გვეშინოდეს? – ორატორმა ათწამიანი პაუზა გააკეთა, აუდიტორიას, რომელიც მონუსხული უსმენდა, თვალი მიმოავლო და ქადაგება განაგრძო, თუმცა სასაუბრო თემა რადიკალურად შეცვალა და ამჯერად საუბარი სულ სხვა საკითხზე წამოიწყო (ეს ყველაფერი უინტერვალო ლექსს მოგაგონებდათ და ნათელი იყო, რომ ორატორს არავის გადმობირება არ სურდა, რადგან მას არ ჰქონდა აუდიტორიის ერთი მწყობრი, კონკრეტული ნააზრევით მოხიბვლის სურვილი).

„სამყაროს შევიწროების ერაში ვცხოვრობთ, როდესაც ყველაფერი ერთმანეთისკენ მიიწევს, ასკდება და იზიდავს.

სამყაროს გაფართოების ერაში რომ ვიყოთ, სიყვარული და მიზიდულობა არ იარსებებდა.

პირიქით, ადამიანები ციური სხეულებივით განიზიდავდნენ ერთმანეთს და საკუთარი სიმარტოვისკენ, უკიდეგანო არაფერში დაინთქმებოდნენ.

თუ ყველაფერი პირიქითაა? იქნებ სამყაროს გაფართოების ერაში რომ ვცხოვრობთ, ერთმანეთიც იმიტომ გვენატრება?

ჩემო ბეჯითებო, მოდით, ერთი წამით „ვეფხისტყაოსანი“ პირუკუ გავიაზროთ, არ გაინტერესებთ ასეთ შემთხვევაში მისი ფაბულა როგორი იქნება? აი, მაგალითად, ყველაფერი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ინდოეთს მისვლითა და ქორწილით რომ დავიწყოთ“, – თქვა ორატორმა და აუდიტორიის მოსაზრებას დაელოდა.

– კი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ უპირველეს ყოვლისა „ვეფხისტყაოსნის“ ფუნდამენტური იდეა უნდა გვესმოდეს, რათა შემდეგ შედარებითი ანალიზით ისიც დავადგინოთ, თუ რას მივიღებთ მისი ბოლოდან თავამდე გააზრებით, – საკმაოდ აუღელვებლად თქვა ერთ-ერთმა დამსწრეთაგანმა, რომელიც გოგონა გახლდათ და რომელსაც სახის ყოველი ნაკვთი ლამაზი და ნატიფი ჰქონდა, მაგრამ მისგან სიცარიელის მეტი მაინც არაფერი გამოსჭვიოდა და ერთიანობაში სულაც არ გახლდათ მომხიბვლელი.

– და როგორ ფიქრობ, რაში მდგომარეობს „ვეფხისტყაოსნის“ ფუნდამენტური იდეა? – იკითხა ორატორმა და პასუხს სიკვდილმისჯილივით დაელოდა.

გოგონამ ფეხზე წამოდგომის გარეშე დაიწყო.

– ერთ დროს, რაღაც, რაც აზრზე ადრე არსებობდა, აფორიაქდა, ისე აფორიაქდა, როგორც ბავშვი, რომელიც დედის მუცლიდან აპირებს გადმოსახლებას და გასეირნება მოინდომა, რათა გმირობებით მოეპოვებინა სიყვარული. მაშინ არ არსებობდა ღრუბლები, გრიგალები და გალაქტიკური შეჯახებები, მაშინ სამყარო ერთი დიდი ელექტრონული ბაღი იყო, რომელშიც ვერავინ აზროვნებდა, აქ მხოლოდ გრძნობდნენ. და იგრძნო ჩვენმა სულმა, რომ გამგზავრების ჟამი დამდგარიყო. ისე მოსწყდა მშობელს, როგორც ჩემი ბიძაშვილის შვილის ქმრის გემი სწყდება ხოლმე სახლეულმობეზრებული მეთევზეებით სავსე ნაპირს და სიმარტოვეში უპირებს შეცურებას.

და ის, რაც თუ ვინც აზრზე ადრე არსებობდა, უკიდეგანო უსასრულობაში აღმოჩნდა, ზუსტად ისე, როგორც ჩემი ბიძაშვილის შვილის ქმრის გემი – ოკეანისფერ მარტოობაში. იყო სიმარტოვე აუტანელი და სუბატომურ ზვიგენთა კასტა, რომელიც მარტოობაშიც არ ასვენებდა აბსოლუტს და ბრძოლისკენ მოუწოდებდა. ჩვენი აბსოლუტიც იბრძოდა, ომობდა, მარცხდებოდა, ისევ იმარჯვებდა, როგორც ერთმა პოეტმა თქვა, დღეში ათასჯერ ეცემოდა და ათასჯერ უყვარდა, მაგრამ ათასჯერვე მხოლოდ ის ერთი და ათასჯერვე მხოლოდ მისთვის ეცემოდა. ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარს, რომელიც თითქოს გემმა შეიხიზნა, ისე ეხეთქებოდა უფლისგან უაზროდ გადაბერილი ტალღები, როგორც აბსოლუტს (და მაშინ ვინ შექმნა ტალღები, იმან, ვინც იმაზე ადრე არსებობდა, ვინც აზრი შობა?) დრო და სივრცე, მაგრამ ის მაინც წინ მიიწევდა და მისი არსებობიდან ბოლო უჯრედი რომ დარჩენილიყო, მაინც მიაღწევდა საშოს, რომელსაც მოსწყდა და დაუბოლოებელი მონატრების დაბოლოებითაც აუცილებლად დატკბებოდა.

ეს არის ჩემთვის „ვეფხისტყაოსნის“ ფუნდამენტური იდეა, – დაასრულა გოგომ უკვდავ პოემაზე საუბარი და მსმენელების გამოძახილს დაელოდა.

აუდიტორია ოდნავ დაბნეული, მაგრამ აღფრთოვანებული შეჰყურებდა ორატორს. დაბნეულნი იმიტომ, რომ ვერაფერი გაიგეს შეთხზულიდან, ხოლო აღფრთოვანებული იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ჩვენი ირინეოსისთვის მესიის სულიერმა შვილმა იმდენად დიდი მჭევრმეტყველებითი ოსტატობით წარმოსთქვა, ციცერონიც კი მოიხიბლებოდა.

ასევე ოდნავ თავდახრილმა მქადაგებელმა თავი აწია და უმანკოებისთვის ბრძოლაში დაჯილდოებულ პუდიციციას ერთადერთი კითხვა დაუსვა:

– პუდიციცია, უკან დაბრუნებისას, ის, ვინც აზრზე ადრე დაიბადა, რა ადგილები მოინახულა? სანამ თავის ნაწილს, თავის პირველად სხეულს საბოლოოდ შეერეოდა, მონასტრისკენ მიმავალ გზაზე, რომელი სივრცეები იხმობდა?

პუდიციციამ ისე სწრაფად უპასუხა ამ სხვებისთვის მეტად გაუგებარ კითხვას, რომ თითქოს წინასწარ იცოდა, სულიერი მამა რას ჰკითხავდა – მონასტერში მისვლამდე აზრზე ადრე დაბადებულმა შეიარა იმ ქორწილებში, რომლებშიც ერთ დროს გამომთვრალა და პატარძლით მოხიბლულს, საოცარი ლექსები უთქვამს, უფრო სწორად, პატარძლისთვის მიუძღვნია, რომელიც უსხეულოდ უსხეულოს შეჰყვარებია. შემდეგ, ქორწილებით გამომთვრალს, ათას მზენარევ, ლამპიონებგამოკიდულ ქუჩებში ხეტიალი მონდომებია და უხეტიალია კიდეც, სანამ აისი არ დაცეცხლისფერებულა წვიმისფერ სახურავებზე. აისს გვერდით ორი ბროწეულისფერი მერანი ხლებია, რომლებიც მომნუსხავი სანახავნი ყოფილან, – ჩამოარაკრაკა მჭევრმეტყველურად.

– და მარადიული მშობლისკენ მიმავალ გზაზე, საროსკიპოში არ შეუვლია? – იკითხა გენიალურმა პასტორმა და პასუხს ჩვეულებრივი მოკვდავის გამომეტყველებით დაელოდა.

– არა, მოძღვარო, სანამ მშობლისკენ მიმავალ გზას დაადგებოდა, ყველაფერი ენახა უკვე, ყველაფრისგან დაღლილიყო, ყველაფერი მობეზრებოდა, გაყინულიყო და დასევდიანებულ-დაბრძენებულიყო.

– გასაგებია, ჩემო მორჩილო გოგონავ (თუმც მოძღვარს არასდროს უთხოვნია შეგირდისთვის დამემორჩილეო, ან ჩემი შეგირდი გახდიო. ასე მხოლოდ იმიტომ მიმართავდა, რომ თავად პუდიციციას სიამოვნებდა).

ჩვენი დაბნეული ირინეოსი კი დარეტიანებულ მეკრივესავით იდგა (შინაგანად ბარბაცებდა, მაგრამ არ იმჩნევდა და იდგა) და ფიქრობდა, რომ საგიჟეში მოხვდა, სადაც კეთილი და გულწრფელი (გულწრფელობამ არ მოგატყუოთ) გიჟები ბინადრობდნენ, რომლებიც საფრთხეს არ წარმოადგენენ. რატომღაც ჩვენმა გმირმა გადაწყვიტა, რომ რასაც ვერ სწვდება, არ შეიძლება საზოგადოებისთვის საშიშად ჩაითვალოს.

* * *

ირინეოსმა უმძაფრესად იგრძნო მოახლოებული დაღლილობა და ფიქრობდა, სახლში მანამდე მივაღწიო, სანამ უძალობა ცუნამივით წამლეკავსო. მიუყვებოდა უსწორმასწორო, მაგრამ საშუალო სიმაღლის სახლების ქუჩას და საკუთარ სახლზე ფიქრობდა; ფიქრობდა მორჩილის მონაჩმახზე და კიდევ იმაზე, რომ ქვეყნად გამოსასწორებელი არავინ და აღარფერი დარჩა, რომ თავგანწირვამ აზრი დაკარგა, რადგან გადასარჩენიც აღარავინაა. ირინეოსი იმ უფუნქციოდ დარჩენილ მძიმე ინდუსტრიის წიაღში ამოზრდილ მეტალის საწარმოს თანამშრომელს დამსგავსებოდა, რომლის ხელობაც რობოტს შეასწავლეს და უსულგულო რობოტიც ძე კაცისას უყოყმანოდ ჩაენაცვლა.

„რა ცხოვრება მოვიდა, ხიფათს ეძებ და არ არის, ჯვარზე გინდა გაგაკრან და ყველა ისე გაზარმაცებულა, რომ ადამიანის ჯვარზე გაკვრაც შეზარებიათ“ – ეს იყო ბოლო ფიქრი, რომელიც ჩვენს გმირს საკუთარი მშობელი-სახლის ჭიშკრის გადაკვეთამდე ხუთი წამით ადრე გაუელვა.

ირინეოსმა სახლის რამოდენიმე ნაწილი უდაბნოსავით გადაკვეთა და თავის ოთახში შევიდა, ოთახში, რომელიც მახრისფერ უდაბნოში ოაზისად ეჩვენა.

მკვდარივით დაეძინა. დაძინებამდე ერთი წამით გაიფიქრა, ხვალ დილით ბაბუა იოსებმა ყავაზე რომ დამპატიჟოს, რა თემა შევარჩიო სალაპარაკოდო და კიდევ ეს კაცი ყოველთვის დილას, მაინცდამაინც სამსახურში წასვლამდე რატომ მელაპარაკება ამ საჭირბოროტო და უმნიშვნელო საკითხებზეო.

ირინეოსი არ შემცდარა. როგორც კი გაიღვიძა და ასიდან ერთამდე დაითვალა, კარზე კაკუნი მოესმა. კარი უმალვე გააღო და ბაბუა იოსების წუთითბედნიერებამოპოვებულ სახეს შეეფეთა, რომელიც მას დილის ყავაზე ეპატიჟებოდა.

– ათ წუთში შენთან ვიქნები, ბაბუა იოსებ, კარგი? – უთხრა მოკრძალებით ბაბუა იოსებს და თავის ოთახში დაბრუნდა, რათა სიკვდილმოწვეულ მეგობართან ასულიყო.

ამასობაში ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი სევდით სავსე ოკეანეში მიირწეოდა და თავის მყუდრო კაიუტაში რომელიღაც წიგნს კითხულობდა, თუმცა ერთი სული ჰქონდა, როდის დაასრულებდა, რომ მომდევნო დაეწყო, თითქოს წაკითხული წიგნების კოლექციას აგროვებდა და ასე რეალიზდებოდა. ორი გვერდიღა დარჩენოდა, რის გამოც, ჩვეულებრივ დინჯი მკითხველი ძალიან აჩქარებულიყო და წიგნის დასრულებამდე ერთი სული ჰქონდა. რაც უფრო უახლოვდებოდა დასასრულს, მით უფრო ჩქარობდა, რაც ხელს უშლიდა წაკითხულიდან აზრის გამოტანაში, ამას ცოლის სრულყოფილი მონატრების განცდაც ემატებოდა, რაც საბოლოო ჯამში მისთვის აუტანელი გახდა და მაშინ შეწყვიტა კითხვა, როდესაც წიგნის დასრულებამდე ორიოდე აბზაცი დარჩენილიყო. წამოდგა, სააბაზანოში გავიდა, სახეზე ცივი წყალი შეისხა, კაიუტაში დაბრუნდა, მიტოვებული ვიღაცის არასრულფასოვნების კომპლექსებით გაძეძგილი ყუთი აიღო და ბოლო აბზაცი ძალიან ნელა, ხმამაღლა და დინჯად ჩაიკითხა.

შემდეგ წიგნი დახურა და ცოლზე ფიქრი გამარჯვებულისა და დაღვინებული კაცის გამომეტყველებით განაგრძო.

* * *

ბაბუა იოსებთან ჩვენი ირინეოსი დაუკაკუნებლად შევიდა. ოთახში ტელევიზორი იყო ჩართული და რომელიღაც პოლიტიკური გადაცემის წამყვანი კომფორტულად ცხოვრებისთვის საჭირო ნიღბებს კერავდა. უხერხულობის გასაფანტად, ირინეოსმა მხცოვან მეზობელს ჰკითხა – რას უყურებო (არადა, თავადაც ხედავდა, რასაც უყურებდა) და სავარძელში მოკალათდა.

ბაბუამ უხერხულობა არად ჩააგდო და ლაპარაკი უმალვე წამოიწყო.

– როგორ ხარ, ჩემო ირინეოს, სიცოცხლე ხომ არ მოგბეზრდა?

ირინეოსი ასეთ ფილოსოფიურ კითხვას, თანაც ასე უცაბედად დასმულს, არ ელოდა, მაგრამ არ დაიბნა (წამით გაიფიქრა, არ ეგონოს, დუელში გამოწვევა შემაშინებსო) და მხცოვან ფილოსოფოსს მიუგო, რომ რადგანაც სიცოცხლისგან დაღლა ამაოებაა, არა, არ დავღლილვარო.

– როგორ მიდის გაწონასწორებული სამყაროს გაუწონასწორებლად ქცევის მცდელობა? – რეალიზებული კაცის სახით იკითხა ბაბუა იოსებმა და ყბის კუნთები დაჭიმა.

– მგონი გინდოდა გეთქვა ჰარმონიულ სამყაროში დისჰარმონიის შემოტანის საქმე როგორ მიდისო.

– ჰო, ჰო, ეგ მინდოდა.

– ყველაფერი ისეა შედუღებული და შეწებებული, რომ რთულია მისი დანაწევრება, განშორება, როგორც გენებოს.

ირინეოსი ბატონ ფაუსტულუსთან და ბაბუა იოსებთან ყოველთვის ისე ლაპარაკობდა, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებოდა.

მათთან საუბრისას თანამოსაუბრის განცდების გამოსაცნობად თანამოსაუბრის კანში შეძვრომა და ამ ჭრელი სამყაროს მისი თვალით დანახვა სულაც არ სჭირდებოდა. თითქოს მან ბატონი ფაუსტულუსისა და ბაბუა იოსების გულისთქმანი მანამდე იცოდა, სანამ მეგობრების თავში აზრად იშობოდნენ.

– კონსტანტინე დიდის, ან ადოლფ ჰიტლერის ძალაუფლება რომ გქონდეს, სამყაროს მაინც ვერ გადმოადუღებ-გადმოაწებებდი? – ბრძნული გამომეტყველებითა და პოლიტიკოსის მკაცრი იერით იკითხა ბაბუა იოსებმა.

– მე ვფიქრობ, რომ არც კონსტანტინე დიდს და არც ჰიტლერს სამყაროს დანაწევრება, რომ შემდეგ კვლავაც შეეკოწიწებინათ, არ ნდომებიათ. მათ უფრო ძველი სამყაროს იუდაისტურ-ბარბაროსული მითოსის ნამსხვრევი მასალით ახალი სამყაროს შობა სურდათ.

– უფრო ძველის შთანთქმა ახალის ვირუსის მიერ და ამ ვირუსის ძველი სამყაროს სარკით გამოკვება, – თითქოს შეგირდს შეუსწორა ბაბუა იოსებმა.

– ირინეოს, მამა გახსოვს? – სალაპარაკო თემა გადაიტანა ყველა ეპოქის მარადმა პირმშომ (ბაბუა იოსები), მაგრამ გადაიტანა კი? ეს კიდევ საკითხავია.

– არა, არ მახსოვს, მაგრამ ბუნდოვნად მახსოვს, დედასთან დროგამოშვებით ვიღაც მამაკაცი რომ დადიოდა, ხოლო დედა ანტიდეპრესანტებს სვამდა. ამ კაცთან ყოველგვარი შეხების შემდეგ დედა სუსტი და სულგამოცლილი ხდებოდა. ამ კაცისგან არაფერი მახსოვს, არც გულთბილი და არც გულცივი მოპყრობა, არც სიყვარულისა თუ აგრესიის გამოხატვა, აბსოლუტურად არაფერი.

სანამ ირინეოსი ბაბუა იოსებს იმ ამბავს უყვებოდა, რომელიც არ ახსოვდა, ბაბუა იოსები გასუსული ისმენდა ნაუბარს და ისეთი სახე ჰქონდა, როგორიც აქვს პოლიტიკოსს, რომელმაც წინასაარჩევნო კამპანიის მსველობისას გამარჯვების შესახებ წინასწარ იცის.

– კარგი, ჩემო ირინეოს, ანაზღაურება ხომ გყოფნის? – უცებ ბაბუა იოსებმა კიდევ ერთხელ შეცვალა სალაპარაკო თემა. ირინეოსს კი სახე გაუბრწყინდა, როდესაც შენიშნა, რომ ღრმა ფილოსოფიური საკითხებიდან ყოველდღიურ გენიალურობაში გადმოიჭრნენ.

– აი, გადასახადები რომ შეამცირონ, ძალიან კმაყოფილი ვიქნებოდი ჩემი სამსახურით.

– როგორი იქნებოდა სამყარო ფულის გარეშე? – იკითხა ბაბუა იოსებმა და შეამჩნია, თუ როგორ არ ესიამოვნა ირინეოსს ბაბუა იოსების ეს მცდელობა – გენიალური ყოველდღიურობიდან უაზრო ფილოსოფიაში კვლავაც კარის შეღება.

– სისხლიანი, – მოკლედ მოუჭრა ირინეოსმა და დასძინა, რომ ასეთ საკითხებზე ფიქრის სურვილიც კი კარგა ხანია გაქრობოდა.

ჩვენმა გონებაგავარჯიშებულმა გმირმა დატოვა სახლი, რომელშიც გაიზარდა და სამსახურისკენ გასწია. მას ბატონი ფაუსტულუსისთვის ანგარიში უნდა ჩაებარებინა უამბიციო და გენიალური მქადაგებლისა და მისი ღრმად განსწავლული შეგირდების შესახებ.

ცხოვრების ყველაზე მაღალმნიშვნელოვანი მოვლენის მოლოდინში ირინეოსს ყოველთვის ცუდად ეძინა და რაც უფრო მეტად ახლოვდებოდა დიადი დღე, მით უფრო უფუჭდებოდა ძილი, რადგან ქვეცნობიერში იცოდა, რომ ეს მოვლენაც ამაოებაა.

იცოდა და სულ არ ზრუნავდა, რომ დამფრთხალ ძილს ის დღე არ ჩაეშხამებინა.

ახლა კი, როდესაც მაღალმნიშვნელოვანი დღეები აღარ არსებობდა და ზოგადად მაღალმნიშვნელოვანი სამყაროც აღარ იყო, მშვიდად და უდიდესი ნეტარებით ეძინა ხოლმე.

გავარვარებულ ქუჩაზე მისეირნობდა ჩვენი ირინეოსი, როდესაც დაინახა, სადღაციდან უეცრად გამოვარდნილი ველოსიპედი კინაღამ როგორ დაეჯახა შვიდ წლამდე მოზარდს.

მოზარდმა რეფლექსური მოძრაობით აიცილა დაშავება და წამის მეათედში დაბრძენდა კიდეც.

მიუახლოვდა ქალაქის ერთადერთი ადმინისტრაციული ორგანოს შენობას, რომელში შებიჯებამდეც გაიფიქრა, რომ გარდახვეწაც განდიდების მანიაა და შენობაში შეაბიჯა.

* * *

შევიდა თუ არა ბატონი ფაუსტულუსის კაბინეტში, დაწესებულების ხელმძღვანელი წამოიმართა და მოსულს შეეგება, თითქოს ზუსტად იცოდა, რომ ის ამ დროს უნდა მოსულიყო (ირინეოსის მიერ კარის შეღება და ბატონი ფაუსტუსის ფეხზე წამოდგომა თითქმის ერთდროულად მოხდა).

ქალაქის თავკაცს ხელში კარგა ხნის მოძველებული წიგნი – ანატოლ ფრანსის „ანგელოზთა აჯანყება“ ეჭირა, რომელშიც ფანქარი გაერჭო (სავარაუდოდ, სანიშნედ ფანქარს იყენებდა).

ყვითელში დაძვრებოდა მსოფლიო სული, ფოთლიდან ფოთოლში, ანუ გრილდებოდა მაგრილებელი შემოდგომა.

ან რაღა დროის ანგელოზების დაცემა, თუ სამეფო დახტისთვის ბრძოლა იყო, სამყაროში სრული ჰარმონია და ბედნიერება გამეფებულიყო, რომელსაც ყოველგვარი შედევრი თუ გენიალური აზრი მოსპობით ემუქრებოდა. ემუქრებოდა, მაგრამ ვერ სპობდა. ადამიანებს აღარ ეცალათ გენიალური იდეების გამო თავის გაწირვისთვის (თუმცა ისინი იდეის გენიალურობას აღიარებდნენ და მისი სიდიადით ტკბებოდნენ კიდეც), სატრფოების ციხე-კოშკების ქონგურებიდან მოტაცებისთვის, გადაცხელებულ, ნაცნობ ქუჩებში ხეტიალისას მზის სევდის შესისხლხორცებისთვის, გადაბირებისთვის, გადმობირებისთვის, ვინმეს გაკიცხისთვის, ლანძღვისთვის, სიყვარულისთვის, ჯამბაზობისთვის, თუ გმირობისთვის (ჯამბაზს რომ თავის დროზე სიხისტე გამოეჩინა და გმირები საკუთარი ნებისთვის დაექვემდებარებინა, ანუ გაეცურებინა, შემდეგში საკუთარი გენიალურობის დასაფარად ნიღბების გამოწრთობა აღარ დასჭირდებოდა. იცხოვრებდა მდიდრულად და მეფურად, მაგრამ უფრო მაინც მეფურად).

ფოთოლში ყვითელი ფერი მზის გულიდან მოვიდა და კვლავაც დაუბრუნდება მშობელს.

ამ სამყაროში ყოველივე ეს სასაცილოდ ჩანდა, მაგრამ ბედნიერება მაინც კამკამებდა, ანუ საკუთარი თავის მოვლის თავიც ჰქონდა და ძალაც.

– დაბრძანდი, ჩემო ირინეოს, როგორ მიდის შენი არსებობა?

– ძალიან კარგად, ბატონო ხელმძღვანელო, თავად როგორ გიკითხოთ?

– მეც კარგად ვარ. რა გამოირკვა, მესიაა ჩვენი პასტორი? – მონა ლიზას ღიმილით იკითხა ბატონმა ფაუსტულუსმა.

გრძელდებოდა მაგრილებელი შემოდგომა სველ ქვიშებში, მზეებში, ქარებში, გადაქანცვის თერმოპილებში.

– არა, არა მარტო მესია არაა, არამედ მესიობანას თამაშიც კი არ უნდა. ამაზე არც კი უფიქრია.

– მაშ, რისთვის ირჯება?

– ერთობა, – მოკლედ მოუჭრა ირინეოსმა.

– ოჰ, ერთობა, გალაკტიონივით და ბოდლერივით ერთობა, – წამოიწყო ფაუსტულუსმა და თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, თვალები გაუშტერდა, – ვერაფრით გამიგია, – განაგრძობდა ის, – თუ გართობა გინდა, რატომ არ უნდა ადგე და ყოველ დილით ივარჯიშო, ან ფილმებს უყურო,

ან წიგნი წაიკითხო, ან შეჭამო და უბრალოდ მოინელო. ვერ გამიგია რა გართობაა, როდესაც ალექსანდრიის მთელ ბიბლიოთეკას იმეცნებ და შემდეგ სხვების ცხოვრებას სხვებს აცნობ, თავს ახვევ და მათ ცხოვრებასაც რევ.

– ბატონო ფაუსტულუსს, ვიცი, რომ ფრიად ნაკითხი და განსწავლული ადამიანი ხართ, მაგრამ ვხედავ, რომ ცოტა ეპოქის მაჯისცემა გაგქცევიათ. დღესდღეისობით, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის წაკითხვა ჩვეულებრივი გართობაა, რომელიც სიამოვნებას ანიჭებს, როგორიც მაგალითად, დილით ვარჯიში, ან ჭამა-მონელება.

და მე ვიყავი ქარში, სისველეში, სიცივეში და გადაფენილი მზესა და ჩემს შორის, სადღაც ყველაფრის საწყისში.

თუ ვინმე ვარჯიშობს, თავისთვის ვარჯიშობს და თუ ვინმე წაკითხულს სხვებს უზიარებს, ამასაც თავისთვის აკეთებს და აქ მესიობანას თამაში არავის სურს. ნიცშეს შემდგარი ზეკაცის ეპოქაში ვცხოვრობთ, სადაც ბევრი ქრისტე ბინადრობს, მაგრამ ქრისტე განდიდების მანიის გარეშე, ქრისტე თაყვანისცემის სურვილის გარეშე, ქრისტე გახედვნის სურვილის გარეშე.

– ანუ არაფერია საშიში, როგორც ჩანს, ამის თქმა გსურს.

ხოლო ჩვენ ერთად ვასაფლავებდით „ირმის ნახტომს“ და სუფიური სინატიფით ვფარფატებდით.

– დიახ, ბატონო ქალაქის თავო, ზუსტადაც რომ ამას ვამბობდი, – მიუგო ნაძალადევი ღიმილით გაწითლებულმა ირინეოსმა და ჰკითხა, კიდევ სხვა საქმეც ხომ არ გაქვთო.

არაო, უთხრა ფაუსტულუსმა და თავის შეგირდს გამოემშვიდობა.

გადამხმარი ფოთლები მოხუცთა თავშესაფარში გადახიზნული, მოხუცი ცოლ-ქმარივით შესცქეროდნენ ერთმანეთს. ქრებოდა კანონები, წელიწადის თვეები და სამყარო მარადიულ შემოდგომად იქცეოდა.

* * *

უნდა დავბრუნდეთ, რომ არ გავკერპდეთ.

მხოლოდ ასე დავუსხლტებით სიცარიელეს.

ბედნიერებამ შეჩვევა იცის, როგორც უბედურებამ,

ამიტომ უნდა დავბრუნდეთ, რომ არ გავქარავანდეთ.

ბედნიერებაზე შეჩვევა გაცილებით სახიფათოა.

მე მახსოვს, როდესაც დამარცხებული სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდა გამარჯვებულს მიუახლოვდა და გამარჯვება ხალისიანად მიულოცა.

მას ხომ გამარჯვება მობეზრებოდა.

დამარცხება მისთვის სიახლე იყო და ხარობდა ამ სიახლით.

ვინც ძროხა და ღორი გააჩინა, იმანვე დაგამძიმა – ამ საშუალოსტატისტიკური ადამიანისთვის მიუწვდომელი ფიქრებით იტანჯებოდა ჩვენი ირინეოსი (არადა, ეგონა, რომ ფიქრების ტყვე კარგა ხანია აღარ იყო. მან დაძლია ალკოჰოლიზმისა და ფიქრების დამანგრეველი შემოტევები).

სახლში შევიდა, მობეზრებული, მაგრამ მაინც სანუკვარი ეზო გაიარა და თავის საწოლს – სიმშვიდის ბუდეს ზეწარივით გადაეკრა.

მანამდე კი მაგიდას მიუჯდა და ეს ლექსი დაწერა:

„გადმოლორწილი უსახობის ფერად სარკისგან,
ჩვენ გავმთლიანდით, გავსპეტაკდით, გამოვღმერთკაცდით,
სიკვდილი ყველას, შოლტვა ვისაც ჩვენი სახითაც
ჰყავს ქვეყნად მტერი, განსასჯელი და კელაპტარი!

არ დავბრუნდებით, არ განვდგებით საფიცარისგან,
არ მივატოვებთ, რაც გვიყვარდა და დეკადანსით
შევხვდებით ერას დაფერდებულს, მერე ქარითაც
გავსწევთ ქროლვისკენ მეგაფრთებით, ან მეგაფანდით!
(გრიგალობდა ხორშაკი, მე კი – გადავიხარე)
დახლეჩილი ლერწამი ცეცხლსა შიგან ვიწვოდი,
არ დავდგები მაინცა ბრძოლის მეიავნანედ,
ვიყო თქვენგან დევნილი, თუმცა ფრიად მრისხანე!
აღარ ვიცი, უფალო, რატომ გამამთლიანე,
რად გადმომრგე შენსავე სულის ამონაზიდში,
მეგაფრთებით ვიარე, ვერ ავფრინდი, ვერა, მე
და ჩავვარდი სამყაროს ყოველ ამობარდნილში!“

ლექსის წერისას საოცარი რამ ხდება, როდესაც სული გეიზერივით ამოხეთქს და სივრცეს უერთდება, განსხეულდება, ასოებად იქცევა.

„პოეზია ასოებად გადმოსული სულია“, – ბუტბუტებდა ირინეოსი, თუმცა იცოდა, რომ პოეზიის ეპოქა დასრულებულიყო.

ფიქრობდა, ლექსს რა დავარქვაო და რატომღაც „მეგაფრთები“ დაარქვა, თუმცა ჩვენს გმირს წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ ჰქონოდა „მეგაფრთები“, როგორ გამოიყენებდა. ის უფრო ფრენოფობიის მსხვერპლი იყო, ვიდრე მისი მოწინააღმდეგე.

ამაზე არც კი უფიქრია. უბრალოდ, ოცნებობდა მეგაფრთებზე.

ამ დროს კი – ჩვენი ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი ლიბიის ოქროს საწმისისფერ სოფლებში დაეხეტებოდა და ერთი სული ჰქონდა, გემი როდის დატოვებდა მისრათის პორტს.

მზეაზელილ ქვიშაში კუზიანი და ბრმა გლახაკი უძველესი ტაძრის ნანგრევებს მიყრდნობოდა და ოფლშიამოვლებული შემწეობას ითხოვდა.

ჩვენი მეზღვაური გლახაკს მიუახლოვდა, ჯერ ჩაიმუხლა და წამებულის სახის ნაოჭებს დააკვირდა, შემდეგ საფულე ამოიღო, საფულიდან ფული და გლახაკს გადასცა, გლახაკს, რომელიც ქრისტეს მიერ თვალახელილ ბრმადშობილს მოგაგონებდათ.

როდესაც ირინეოსმა გამოიღვიძა, ქალაქ სააეშაგოს საშუალო სიმაღლის ყოველ სახლს დრამერი წვიმა ასკდებოდა, წვიმა, რომელიც არ გეხება, მაგრამ გაგრილებს და როკვისკენ მოგიწოდებს.

* * *

უქმე დღე იყო. ჩვენმა ბიჭუნამ გაღვიძებისთანავე იგრძნო, რომ მისი ქვეცნობიერი მთელი ღამის განმავლობაში რაღაცაზე ფიქრობდა, მაგრამ რაზე – საკმაოდ ბუნდოვნად ახსოვდა, თუმცა ეს ახარებდა კიდეც, რადგან უკვე იცოდა, თუ რას გააკეთებდა ამ დღეს: ქალაქის ცენტრალურ პარკში წავიდოდა და ქვეცნობიერიდან ქვეცნობიერისვე სურვილებსა და მისწრაფებებს ჯერ ცნობიერში გადმოიტანდა, შემდეგ მწყობრ აზრად ჩამოაყალიბებდა და ბოლოს, თუ საჭირო გახდებოდა, ცხოვრებაშიც გამოიყენებდა.

საკმაოდ მზიანი ამინდი იყო. ჩვენი მთავარი გმირიც მთავარი პარკისკენ მიემართებოდა და წუხანდელი სიზმრის (ან შეიძლება ხილვის, ზუსტად ვერავინ იტყვის) ხორცშესხმას ცდილობდა.

გონებაში უკიდეგანო, მიწადახეთქილი სივრცე ამოუტივტივდა, რომლის შუაგულშიაც უზომოდ დაკუნთული, გოლიათური აღნაგობის, მაგრამ თვალებჩაშავებული და მზერადაცარიელებული არსება იდგა და მთელი ძალით და ღონით ღრიალებდა, თითქოს ცდილობდა, რომ ხილულ სამყაროს

გასცლოდა, ჯერ უცნობ სამყაროში გადასახლებულიყო, იქაურ ცეცხლის მდინარეებში ხელახლა დაბადებულიყო და ღმერთთაგანაც უძლეველი კვლავ დედამიწაზე დაბრუნებულიყო, დაბრუნებულიყო და არსებობის სტრუქტურა შეეცვალა.

როდესაც ვძრწით, ვაქტიურდებით და საკუთარ შესაძლებლობებს საუკეთესოდ წარმოვაჩენთ. ეს შეგრძნება კი (საკუთარი ძალების წარმოჩენის შესაძლებლობა) მაგნიტივით გვიზიდავს.

სინამდვილეში კი არ მიველტვით, რომ გვეშინოდეს, არამედ მოგვრილი შიშის შედეგად ჩვენი ძალების გააქტიურების პერსპექტივას ვეძებთ, მაგრამ ირინეოსის საზმრის თუ ნახევრადსიზმრის გმირი ვეღარც შიშს განიცდიდა, ვეღარც ერთფეროვნების შეგრძნება სტანჯავდა და მასში ყოველგვარი სურვილი გამქრალიყო.

ის სიზიფეს მიმსგავსებოდა, რომელიც ლოდს ეძებდა, მაგრამ ვერ პოულობდა. ის სიზიფეს მიმსგავსებოდა, რომელსაც ლოდი რომც ეპოვა, აზრი აღარ ჰქონდა, რადგან კლდეები გამქრალიყო. ის სიზიფეს მიმსგავსებოდა, რომელსაც კლდე და ლოდი რომც ჰქონოდა, ლოდის თრევისა და კლდის დალაშქვრის სურვილი აღარ ჰქონდა.

და თუ ერთფეროვნების განცდაც აღარ სტანჯავდა ირინეოსის ალტერ-ეგოს, საერთოდ რაღა აზრი ჰქონდა ყოფიერების შეცვლას და ახალი არსებობის დაარსებას? მოძრაობა ხომ სამყაროში ერთფეროვნების განსაქარვებლად დაიწყო, ერთფეროვნების განსაქარვებლად დაიღვარა გმირების სისხლი, დაინგრა ქალაქები, შეილეწა ციხე-კოშკები, დატევებულ იქნა სამშობლოები და დაწყებულ იქნა უცხო მხარეებში ნოსტალგიის ძალით აღსავსე ოდისევსების, დონ კიხოტების, დომენიკოების, ლოიოლების, მაგელანების, კოლუმბების, ბინგემებისა და მარკო პოლოების უსასრულო მოგზაურობა. ერთფეროვნების განცდამ გაყარა პირველი მიჯნურნი და ამ გაყრამ შვა პოეტური სევდა, სულ სხვანაირი, აღმაფრთოვანებელვნებიანური, მოლაყბურმოქაქანური, დამატყვევებელმომაბეზრებელი და ობელისკთააღმმართველი.

რამ აქცია ეს ადამიანები მეოცნებე იდეალისტებად? სიღარიბემ, ეროსითა და თანატოსით მოთამაშე დიდოსტატმა ქალებმა, სიღარიბემ, სიმხდალემ, ხილულ სამყაროში ფეხის ვერმოკიდებამ და წმინდა წყლის ადამიანური გრძნობებით გაჟღენთილ სამყაროში საკუთარი თავის ვერპოვნამ, თუმცა ამ ყველაფრის მოპოვებისთვის ბრძოლის დაწყება ერთფეროვნების განცდამ აიძულათ, განცდამ, რომელიც ირინეოსის სიზმრის თუ ნახევრადხილვის გმირსაც სტანჯავდა.

„ღმერთო, დამიბრუნე ერთფეროვნების განცდა“, – ფიქრობდა ირინეოსი საკუთარ სიზმარში დადგმული სპექტაკლის გმირის ამ ამოძახილზე და იაზრებდა, რომ სადღაც და რატომღაც შეცდომა იქნა დაშვებული. ალბათ, როდესაც ეს სამყარო იძერწებოდა, აზრი, რომელიც აზროვნების შემადგენელია, საერთოდ არ არსებობდა, ყველაფერი „არხდებოდაში“ ხდებოდა და სიტყვა „გაურკვევლობა“, ან „პარადოქსიც“ მაშინ იბადებოდა. ცნება „ყოვლისშემძლეობას“ სიკეთე ებრძოდა, ხოლო სიკეთეს ყოველი ცნება, რაც „ყოვლისშემძლეობამ“ შვა. ჩვენი სიკეთე „ყოვლისშემძლეობას“ ურჩევდა, რომ უარეყო თავის ყოვლისშემძლეობა და მხოლოდ კეთილშობილის სტატუსს დასჯერებოდა.

ჩვენი გმირის ქვეცნობიერის ბუნდოვანი ამოძახილები, თითქოსდა, ცნობიერის მიერ მოქანდაკებული, თითქმის ისეთივე ბუნდოვანი დარჩა, როგორიც ტვინის ნეირონთა პირველსაწყისში ბინადრობისას. ფიქრობდა, ბატონმა ფაუსტულუსმა მალე რამე ახალი და დაძაბულად შესასრულებელი დავალება მომცეს, რომ ცოტაოდენი ამოვისუნთქო და მივიწყებას მივეცეო.

სახლში მივიდა თუ არა, კომპიუტერი ჩართო და შეტყობინებებს გადახედა, პირველ რიგში – ქალაქის თავკაცის მონაწერს.

* * *

ბატონი ფაუსტულუსის წერილს დაწვრილებით გაგაცნობთ;

„ჩემო გადაღლილო შეგირდო, ერთ მეტად მნიშვნელოვან და საჭირბოროტო საკითხზე გწერ. ჩვენი ქალაქიდან ას კილომეტრში მდებარე ქალაქ სააბუჩალაკოში ვიღაც მწერალი გამოჩენილა, რომელსაც ზედმეტსახელად სანკუსი დაურქმევია და ადგილობრივ ინტელიგენციას ლანძღავს, უწიგნურებსა და უნიჭოებს, კარის მწერლებსა და პოეტებს, უსულოებსა და უგულოებს ეძახის. მაგ ქალაქში მრავალი მსტოვარი მყავს და რამდენიმე მათგანმა მაცნობა, რომ ჩვენი სანკუსი წარსულში ლოთი ყოფილა, მაგრამ გალოთებამდე მღვდელი. მღვდლობისთვის რომ მიუნებებია თავი, ცოლი შეურთავს, მაგრამ მალევე გაყრია და უმალვე მეორე ცოლი შეურთავს. ვერც ამ ცოლთან უგრძვნია ბედნიერება და წერა დაუწყია. მეორე ცოლის მოყვანის შემდეგ რობოტების მწარმოებელ ქარხანაში მუშაობდა თურმე, სადაც ქრისტეობანას თამაში მოუნდომებია და იქიდანაც გამოუგდიათ. თავიდან მისი მწერლობის არავის დაუჯერებია, მაგრამ ნელ-ნელა და მწერლის შეუპოვრობის წყალობით მიმდევრებიც გასჩენია. მოკლედ, ჩემო გამორჩეულო შეგირდო, კიდევ ერთხელ გევალება დისჰარმონიის ჰარმონიზაცია. ჩვენი მღვდელლოთმეოჯახე მწერალი სოციალურ ქსელ „მატრაკვეცებში“ სანკუსის ფსევდონიმითაა და მოძებნე, იპოვე და საქმე მოაკვარახჭინე“.

წერილის წაკითხვისთანავე ირინეოსმა სოციალურ ქსელ „მატრაკვეცებში“ სახელი „სანკუსი“ აკრიფა და მის პროფილზე შევიდა.

პირველი, რაც თვალში მოხვდა, რაღაც ნაწერი იყო, რომელიც სანკუსს ახლახან განეთავსებინა, თუმცა მიეწერა, ეს ძალიან ადრე დავწერეო. გთავაზობთ სანკუსის ჩანახატს:

„ყველა რასათა შორის კავკასიელებში ტესტოსტერონი ჭარბობს, რის გამოც ისინი გადაჭარბებულად აგრესიულები, ექსცენტრიულები და ტირანიულები არიან, მაგრამ თუ მათ უკიდეგანო ფსიქოსომატურ შესაძლებლობებს სწორად წარვმართავთ და კაცობრიობის სამსახურში ჩავაყენებთ, წარმოუდგენელ და წარმოუსახავ წარმატებებს მივაღწევთ. კავკასიურ ქვეყნებში პრივილეგირებულ წრეებში ამის შესახებ იციან და იმის მაგივრად, რომ ამ ღვთიური წარმომავლობის ხალხის წმინდა ენერგია ადამიანთა საკეთილდღეოდ გამოიყენონ, ათასი პროპაგანდისტული ხრიკებით მანიპულირებენ გულუბრყვილო მოსახლეობაზე და მას ააგრესიულებენ, რათა ხალხს გაღორებული, ფრიად განსწავლული და ვერაგი კასტის დამხობისთვის არ ეცალოს, ხოლო მოქალაქეები (სამოქალაქო უფლებების გარეშე) ერთმანეთს ხოცავდნენ“.

ირინეოსი ნაწერით იმდენად მოიხიბლა, რომ გადაწყვიტა ქალაქ სააბუჩალაკოში ჩასულიყო და ამ ადამიანის შესახებ ადგილობრივების აზრი მოესმინა.

ზუსტად ერთ საათში სააბუჩალაკოში იმყოფებოდა და გამოკითხვას აწარმოებდა, რაღა თქმა უნდა, ბატონი ფაუსტულუსის მსტოვრების მეთვალყურეობით.

ადგილობრივებმა ირინეოსს უამბეს, რომ ოდესღაც ჩვენი მწერალი მღვდელი ყოფილა და პატიოსნად მსახურებდა მიღმურში მყოფთ. როდესაც საპატრიარქოში დიდი სკანდალი აგორებულა და ზოგიერთი მღვდელთმთავარი მხილებულა აღსარებების დოსიეებად „ქვეყნის ზომიერების დაცვის სამსახურისთვის“ ჩაბარებაში, უმხელია საპატრიარქო, საჯაროდ გაუკიცხავს ასეთი უღირსობა და მღვდლობაზეც უარი უთქვამს. სანამ მის მიერ საპატრიარქოს მხილება გაცუნამდებოდა, ჩვენი მწერლისთვის ეპისკოპოსობა და ოქროს ტახტი შეუთავაზებიათ, მაგრამ ამ მეტად მაღალსულიერ მწერალს ამაზეც უარი უთქვამს, ჰოდა, კი მოუხსნიათ მღვდლობიდანაც.

როდესაც რობოტმწარმოებელ ფირმაში დაუწყია მუშაობა, იქაც მეტად ფილოსოფიური შერკინება მოსვლია ქარხნის დირექტორთან, რომელიც მისთვის ცუდად დამთავრებულა. ჩვენს გმირს

ქარხნის დირექტორისთვის პირში მიუხლია, რომ ის კაცობრიობის სულის გაქვავებასა და დამსხვრევას უწყობს ხელს, რაც დანაშაულია. ქარხნიდანაც გამოუგდიათ სინკუსი, დარჩენილა ულუკმაპუროდ და მაშინ დაუწყია წერა და სოციალურ ქსელებში აქტიურობა. ამბობენ, რომ ის მანამდეც წერდა, მაგრამ ნაწერებს მალავდა, რადგან შესაბამის დროს ელოდებოდა, წუთს, როდესაც გაზულუქებული, სულგამოცლილი ინტელიგენცია დაეცემოდა და ამ დაცემის ფონზე მისი ღვთიური შემოქმედება ათმაგად გაბრწყინდებოდა.

„როგორც ჩანს, ეს ბოლო მოახერხა კიდეც“, – გაიფიქრა ირინეოსმა. თანამოსაუბრეებს ჯერ მადლობა გადაუხადა, შემდეგ კი – დაემშვიდობა.

საგანგებო დავალების შესასრულებლად წარმოგზავნილი თვითმფრინავის მსგავს მანქანას მიუახლოვდა, ტელეფონი გახსნა, სოციალურ ქსელში სინკუსი იპოვა და შემდეგი სიტყვები მისწერა: „კარგი ადამიანი ხართ, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ თუ გაკერპდებით, ამ ყველაფერს წყალში ჩაყრით. გისურვებთ ამაოების განცდის გამძაფრებას“.

* * *

ირინეოსი სანაპიროზე ბეტმენისებური ბზრიალით მიჰქროდა. საღამოს ცხრა საათიც არ იქნებოდა, მის წინ, უფრო სწორად, ვერტიკალურად, საოცარი სანახაობა იშლებოდა. მზის ჟირაფისფერი მცხუნვარება ზღვაზე ორხავასავით გაგებულიყო და გედისებრ ქიმმოღერებულ გემებს თითქოს მზეზე ეპატიჟებოდა.

რატომღაც ბაბუამისის მონათხრობი გაახსენდა და ზოგადად, ირინეოსს ბაბუა მხოლოდ ამ მონათხრობიდან ახსოვდა. ერთხელ, ბაბუამ დაუძახა და მოუყვა ამბავი, რომელიც ღამით, მიკარგულ და მისთვის უცნობ გზატკეცილზე შეემთხვა. თურმე ჩვენი გმირის ბაბუას ჩაბნელებულ გზატკეცილზე მანქანა გაფუჭებია და ირგვლივაც არავინ ყოფილა (ირინეოსს წამით გაუელვა, რომ ჯოჯოხეთიც არარსებულში გადასახლების შიშია. არარსებულის ხორცშესხმაა, რომელშიც პირველად ვართ და ვთრთით. ჯოჯოხეთი გადაკარგვის თრთოლვაა).

თურმე ჩვენი მანქანადაზიანებული და გულაჩქარებული ბაბუა კარგა ხანს ელოდა ვინმეს გამოჩენას, რომ ამ ჯოჯოხეთური ბედუკულმართობისგან დაეხსნა, მაგრამ დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში, არც არავინ გამოჩენილა. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, შორიდან პლასტმასის სფეროსებრ ყუთებში დატყვევებული ფოტონების ნათება შენიშნა და გახშირებული გულისცემაც ოდნავ შეუნელდა (თუმცა მის ქვეცნობიერში ძრწოლის ახალმა მიზეზმა გაიღვიძა. ვაითუ, მოახლოებული მგზავრი ბანდიტი გამოდგაო).

მოახლოებული მანქანა შეჩერდა, კარები გაიღო და საშუალო სიმაღლისა და ასაკის მამაკაცი გადმოვიდა, რომელმაც ჩვენი ბედისგან მიტოვებული ბაბუის ამბავი მოიკითხა. ბაბუამაც უთხრა, რაც დამართნოდა. მძღოლმა – სამწუხაროდ, საბუქსირე თოკი არ მაქვსო, მაგრამ მაინც დაგეხმარები და სამშვიდობოზე გაგიყვანო. გაუკვირდა ირინეოსის ბაბუას და ჰკითხა, ნეტავ როგორო. მაშინ უცნობმა ასევე საშუალო სიგრძის დანა ამოიღო, გახსნა და საკუთარი მანქანისკენ გაემართა. შემდეგ ნელი, მაგრამ ენერგიული მოძრაობებით უსაფრთხოების ღვედები გადაჭრა, შეკრა და ჩვენი შეშინებული ბაბუის მანქანა თავისას გამოაბა.

როდესაც სამშვიდობოზე გავიდნენ და ირინეოსის წინაპარმა ჩვენს უცნობს ვინაობა ჰკითხა, ამ უკანასკნელმა არ გაუმხილა და უთხრა, რომ ამ ცხოვრებაში გაჭირვებაში მყოფი ადამიანის არმიტოვებაა ნამდვილი ცხოვრება. უთხრა, საგანგებოდ გაკეთებული საბუქსირე თოკი თავის მანქანას შეხსნა და გაუჩინარდა.

სანამ მზის სიკაშკაშე დროებით არსებობას შეწყვეტდა, უკანასკნელად გახედა თავისივე სისხლის წვეთს – ნაძვნარის თავზე ნაძვის ხის სათამაშოსავით მოთამაშე მთვარეს და გადაჰორიზონტდა.

როდესაც ირინეოსი ქალაქში ჩავიდა, შებინდებულიყო.

ქუჩის მუსიკოსი ვნების გარეშე უკრავდა „Shine On You Crazy Diamond“-ს და ისეთი გაყინული სახე ჰქონდა, ჯალათს უფრო ჰგავდა, ვიდრე ხელოვანს.

ქუჩის მუსიკოსი...

ირინეოსი მიუახლოვდა და ჩახედა თვალებში, რომლებიც აფეთქებული შავი ხვრელივით მიმქრალიყო. ცოტა ხანს უსმინა მეოცნებე ღამის გუშაგს და შემდეგ სახლისკენ გასწია.

სახლში მისვლისთანავე, თავისი ოთახისაკენ გასწია, ოთახში შევიდა, ფანჯარა გამოაღო, ცივი ჰაერი შეისუნთქა, მერე კარადა გამოაღო, შუა აზიური ჰაშიში ამოიღო, ძვლისფერ ყალიონში ფხვიერი ნივთიერება ჩაყარა და ორჯერ უღრმესი ნაფაზი მოქაჩა, შემდეგ კომპიუტერს მიუჯდა და მაქს ლინდერის მონაწილეობით უხმო ფილმის ყურებით ტკბობას მიეცა. უკიდეგანო ტკბობას.

ლიბიის ფარვანისფერ ქუჩებში მოხეტიალე ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი კი საროსკიპოს ეძებდა, რომელიც, როგორც ჩანს, ეპოვნა კიდეც. სანამ საგანგებოდ მოწყობილ ოთახში მაცოცხლებელ ხორციელ ვნებას ჩაიხშობდა, ცოლის თვალებსა და თვალის ჭრილებზე საერთოდ აღარ ფიქრობდა, მაგრამ როგორც კი დაიოკა და სიცარიელის პირველი მოზღვავებაც იგრძნო, გაახსენდა დღე, როდესაც ცოლს პირველად შეხვდა, ცოლს, რომელიც გაცნობამდე კიდევ უფრო მეტად უყვარდა.

* * *

მეორე დღეს ირინეოსს სამსახურში წასვლა შეეზარა და იფიქრა, აჯანყებული მწერლის შესახებ ანგარიშს ბატონ ფაუსტულუსს სოციალურ ქსელში მივწერო. ასეც მოიქცა.

„ღმერთივით ყოვლისმჭვრეტელო ფაუსტულუსს, სევდიან მოგონებებს იმ წარსული დღეების არსებობა შობს, რომელიც ვერ განვიცადეთ. ასეთი დღეებიდან მხოლოდ ბუნებრივი მოვლენები გვახსოვს და ისიც ბუნდოვნად: მზე, თოვლი, შუადღე და სიგრილე, რომელიც სევდას გვგვრის.

ტკბილი მოგონებები კი წარსულში განცდილი ბედნიერი დღეებისგან წარმოიშობა.

ამიტომ უნდა ვიცხოვროთ, რომ ჩვენი მოგონებები ტკბილი იყოს და არა სევდიანი.

ჩვენი მწერალი კი – ის კაცი აღმოჩნდა, რომელსაც არ უცხოვრია, უფრო სწორად, სხვების ცხოვრებითა და საკუთარი ბუნდოვანი, გამოცარიელებული მოგონებებით უცხოვრია.

ჩვენი მწერალი კარგად წერს, მაგრამ ამით საკუთარ თავს ებრძვის და უსწორმასწორობანი მხოლოდ საკუთარ სულში შეაქვს, ხოლო ადამიანები, რომლებიც თითქოს მას საფრთხედ მიიჩნევენ, სინამდვილეში მისით ერთობიან.

იმის თქმა მინდა, რომ სააბუჩალაკოში ყველაფერი წესრიგშია და საყოველთაო ჰარმონიას არავინ არღვევს“. – ირინეოსმა წერილის წერა დაასრულა და გაგზავნის ღილაკს დააჭირა.

* * *

ჩვენს ბიჭუნას ბაბუა იოსები დიდი ხნის უნახავი ჰყავდა და გადაწყვიტა, რომ მოენახულებინა.

დაურეკა და მოიკითხა, მხცოვანი მსტოვარი სახლში თუ იყო. აღმოჩნდა, რომ იყო და მისკენ გასწია.

დაუკაკუნებლად შევიდა და დაინახა, ნახევრადმთვლემარე მოხუცი როგორ მისჩერებოდა ჩართულ ტელევიზორს, მისჩერებოდა, მაგრამ არ უყურებდა. სახლს ეტყობოდა, რომ მეპატრონეს მისი დალაგების მცდელობა ჰქონდა, მაგრამ ეს მცდელობა ბოლომდე ვერ მიეყვანა, ანუ სახლი ნახევრადდალაგებული იყო.

– როგორ გიკითხო, გადაღლილო ირინეოსს?

– და საიდან იცით, რომ გადაღლილი ვარ?

– არ ვიცი, უბრალოდ ვვარაუდობ. იყო ეპოქა, როდესაც ღმერთი ეევედრებოდა ადამიანს, გთხოვ, ასე ცუდად ნუ იქცევიო. იმ ეპოქაში გადაღლისთვის დროც არ რჩებოდა, რადგან ადამიანი არათვითკმარი იყო და თვითკმარობისთვის, სისავსისთვის, გამთლიანებისთვის იბრძოდა, სისხლს ღვრიდა, იტანჯებოდა, ლოცულობდა, პოეტობდა, ჯვარს ეცმებოდა, მაგრამ მიზანი ჰქონდა და ხარობდა. ჩვენ გვხიბლავს სხვებში ამტანობა და გამძლეობა. გამაკარი ჯვარზე და თუ არ დავიჩივლებ, შეგიყვარდები, ხოლო ეს სიყვარული შენში პოეტს შობს და შემამკობ რობაიებით. ჩვენს დროში კი – ყველაფერი გაწონასწორდა, შეივსო, დაკმაყოფილდა და გაირინდა. ახლა აღარავის აკრავენ ჯვარზე, რადგან არავინაა ამის ღირსი, ჰოდა, გაქრა გოდება, თანაგრძნობა და პოეზია.

– მესმის, რასაც ამბობთ, მაგრამ როგორც სამყარო და ფიქრებია უსასრულო, ასევე უსასრულოა მათში მომწყვდეული არსებობაც. არსებობაც სამყაროსთან და დროსა და სივრცესთან ერთად ფართოვდება, – უთხრა საკუთარი მოსაზრებით კმაყოფილმა ირინეოსმა.

– ჩვენს ეპოქაში შენ უნდა დაუტევო შენი ზე-ეგო და ეგო, დარჩე მხოლოდ იდად და იდური არსებობის ფარგლებში გიყვარდეს.

ჩვენი ეპოქა იდების ურთიერთობის ეპოქაა.

უსიყვარულო, ცივი, ვნებიანი და სასიამოვნო, – თქვა დამწუხრებულმა იოსებმა და ირინეოსის მიმოხილვას დაელოდა.

– ჩემი ცნობიერი ყოველთვის რაღაც სხვას ითხოვდა, ვიდრე მეცნიერულ მიღწევებზე დამყარებულ, მიწიერ ცოდნას და რომ ითხოვდა მიღმურში შეჭრას და იქიდან ყველასთვის უცნობი უნარების გამოტანას, ეს იმაზე მეტყველებდა, რომ მიღმური არსებობს.

ბურანში ვხედავდი საკუთარ სიკვდილს და პირველად ვიჯერებდი, რომ წინასწარმეტყველური ნიჭიც რეალურია. ასევე რეალურია შეუსწავლელის გათვითცნობიერებაც, იმის გააზრება, რასთანაც შეხება არასდროს გქონია, სხვაგვარად ადამიანი თავის პირველ წიგნს ვერ დაწერდა.

ცოდნა ისევეა მიმოფანტული სამყაროში, როგორც ვარსკვლავური მტვერი და მართალია, რომ უშორესი სივრცეებიდან ჩვენამდე ძნელად და დიდხანს მოდის, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, აღწევს და გვასხივოსნებს.

წიგნი მაგიური ყუთია, რომელიც ცოდნას ინახავს, ჯინივით დამწყვდეულია მასში ცოდნა და ერთი სული აქვს, როდის გადმოსახლდება ჩვენში, როდის განივრცობა.

ცოდნა კოსმოსური პანდემიაა.

მე ეს ყველაფერი გავიარე, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, გავიაზრე, რომ როგორც თქვენ აღნიშნეთ, უსიყვარულო, ცივი, ვნებიანი და სასიამოვნო ურთიერთობები ჩვენი არსებობის უფრო მნიშვნელოვანი შემადგენელი, ან, თუ გნებავთ მდგენელია, ვიდრე ღრმა ოკულტიზმი, ფილოსოფია, ან დიადი მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურა.

– მე მესმის შენი, ჩემო ჭკვიანო ბიჭო, – საუბარი დინჯად წამოიწყო ბაბუა იოსებმა, – მეც ვიყავი შენი ტოლი და ათასობით წიგნი შევიმეცნე, თუმცა და მაგალითად, დიდი ტკივილის ჟამს, როდესაც მოწინააღმდეგეს ჩვენი საცოდაობით გული უჩუყდება, ვებრალებით და პატიებას გვთხოვს, სწორედ ასეთ ვითარებაში, მხოლოდ პატიების არმიღებით რომ არის შესაძლებელი, რომ მოქიშპეს დავუმტკიცოთ, თუ რაოდენ ცდებოდა, როდესაც გვეწინააღმდეგებოდა, წიგნმა ვერ მასწავლა. ასეთი გენიალური სიღრმეების აღმოჩენა მხოლოდ ადამიანებთან ურთიერთობითაა შესაძლებელი, რადგან ყოველივე ეს სწორედ რომ ადამიანებშია.

– მე ეგეც მომბეზრდა.

– რა, ადამიანებთან ურთიერთობა?

– დიახ.

– ჩვენ ყველა გვიყენებს, მათ შორის საკუთარი თავიც კი...

– ეგ როგორ?

– მაგალითად, შენი ალტერ-ეგო გეუბნება, რომ თუ ერთ თვეს დაისვენებ, დასალევით უფრო ისიამოვნებ, ვიდრე ყოველდღე რომ სვამ. სინამდვილეში ის ამას საკუთარი ჯანმრთელობის დასაცავად გეუბნება, რადგან შენ კი არა, ის სვამდა და ჯანმრთელობაც მას შეელახა.

– და როდესაც საკუთარ მეში მარტო რჩები, მაშინ უფრო დიდი შესაძლებლობა არსებობს, რომ ალტერ-ეგომ შეგაცდინოს.

– თუ საკუთარ მეში ისე რჩები, რომ ამას არავის აყვედრი, მაშინ არა.

– ანუ მარტოობის არ უნდა მეშინოდეს? – იკითხა მოხუცის გონების უსხარტესად მუშაობით გაოცებულმა ირინეოსმა.

– ვფიქრობ, რომ შენ გონიერი ბიჭი ხარ და არ უნდა გეშინოდეს.

ასე დასრულდა ეს მეტად ღრმა და ფილოსოფიური დიალოგი.

ირინეოსს ძალიან მოუნდა დალევა და უბანში არსებული, პატარა და მყუდრო სამიკიტნოსაკენ გაემართა.

* * *

ყოველთვის გახსოვდეთ, რომ ვისაც არ უყვარს დაცემული ადამიანი, ვერასდროს შეიყვარებს მცირეწლოვან ბავშვს. ჩვენს მთავარ გმირს ადამიანები უყვარდა, მაგრამ განსაკუთრებით დაცემული ადამიანები და მცირეწლოვანი ბავშვები უყვარდა.

მას გონებიდან არ ამოდიოდა მოგონება, როდესაც სექტემბრის ერთ მშვენიერ დღეს ზღვაზე მიდიოდა და თვითგორიაზე შემდგარი მცირეწლოვანი, დაახლოებით, ოთხი-ხუთი წლის ბავშვი დაინახა, რომელიც ისე მიჰქროდა, რომ სიკვდილის არ ეშინოდა, არადა, ხედავდა, რომ ადამიანებით სავსე ქუჩაზე, თანაც ტურისტულ სეზონზე, თვითგორიის ჭენების არც დრო იყო და არც ადგილი, მაგრამ მცირეწლოვანნი ხომ სიკეთისა და ბოროტების მიღმა არსებობენ. მათი დევიზი უმარტივესია: „მე მინდა, მე მსიამოვნებს“.

ასეა დაცემული ლოთიც, ან თუნდაც ნარკომანი.

სამიკიტნოში შესული ირინეოსი იმედივით გაფერმკრთალებულიყო. მისი ფიქრები მინებებისთვის ემზადებოდნენ, აღარ ბზუოდნენ, უფრო სწორად, იცოდნენ, რომ მალე აღარ იბზუილებდნენ, რადგან კოსმოსური ღრუბლის ჩამონაწვეთი – ალკოჰოლი დააზავებდათ. დააზავებდათ დაცხრომის ნეტარებასთან.

ჩვენი ირინეოსი არ გამომთვრალა, მაგრამ ძალიან შეზარხოშდა. მან სხვადასხვა დასალევი აურია და დაახლოებით ღამის თეთრთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც სახლისკენ გასწია.

ჩვენმა გადაღლილმა გმირმა ისე გაიარა ეზო, რომ ბაბუა იოსებისკენ არც კი გაუხედავს და სიგრილე იყო იმ დღეს, აი, სიკვდილის წინ რომ გაგაცივებს, ისეთი სიგრილე. სიგრილე, რომელიც სიცივეში გადადის.

უცებ გაუელვა, რომ ასეთი რამ მის ცხოვრებაში პირველად ხდებოდა.

ერთ წუთში ირინეოსი თავის მყუდრო ოთახში იმყოფებოდა და მარიხუანის მოსაწევად ემზადებოდა.

სამმა ღრმა ნაფაზმა სრულიად შთანთქა. უცებ იფიქრა, გონაშვილის „წინწყაროს“ მოვუსმენო, მაგრამ უეცრად იგრძნო, რომ ფეხის თითები ეფხანებოდა.

სიცივე იყო იმ დღეს, აი, სიკვდილისას რომ გყინავს, ისეთი სიცივე. სიცივე, რომელიც სიკვდილში გადადის. ახლოვდებოდა ზამთარი.

ირინეოსმა ფეხის თითების ფხანა დაიწყო და მზად იყო თითების დასატყავებლად. წარმოიდგინა, თითების მოფხანა რაოდენ დიდ ნეტარებას მოგვრიდა და გააჟრჟოლა. ის ხედავდა საკუთარ თითებს, ნეტარებისგან დასისხლულსა და დამცხრალს.

და ქრებოდა არა თოვლი ღმერთის მიერ შექმნილი (რადგან ჯერ კიდევ არ გათოვებულა, მუხლებს იმაგრებდა ზამთარი), არამედ თავად გალაკტიონის „თოვლიც“.

რაღაც სიცოცხლესა და სიკვდილს შორის რომ არის, სიგრილესა და სიცივეს შორის რომ არსებობს, ის დღე დამდგარიყო, დღე ნანატრი, ნაოცნებარი და ვერმოშორებულ-ჩამოშლილი.

ამ დროს კი – ჩვენი ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი მონატრებული ცოლის (თუ მეუღლის) მონატრებას ეთიოპიური იერის ქალებში ცვლიდა.

და ვინ იზრუნებდა ახალი დროის დაცემულ გმირებზე? სიბრალულით მოზღვავებული სიყვარული, თუ გალიგვული ზეადამიანები?

ღრეობდა მიწა, ღრეობდა და გამარჯვების მოახლოებას ზეიმობდა.

* * *

გამთენიისას იოსების ოთახში ტელეფონის ხმა გაისმა.

– როგორ გიკითხოთ, ბატონო იოსებ? – გაისმა ფაუსტულუსის რიხიანი და სიცოცხლისუნარიანობით გაჯერებული ხმა.

– ო, რამდენი ხანია არ გაგხსენებივართ, ბატონო ფაუსტულუს, რამ შეგაწუხათ? – უგულოდ ჰკითხა იოსებმა.

– არაფერმა არ შემაწუხა, პირიქით, თითქმის უმიზეზოდ გირეკავთ და მგონია დრო დადგა, ჩვენი პრინცი თვითმკვლელობისთვის ემზადება.

– ვფიქრობ, ჯერ ადრეა.

– კარგით, მაინც გვქონდეს ერთმანეთთან კომუნიკაცია.

– კარგი, ბატონო ფაუსტულუს, – მიუგო იოსებმა და მშვიდად დაემშვიდობა ქალაქის თავკაცს.

* * *

ჩვენმა გმირმა ქალაქის ერთადერთ და, ერთი მხრივ, აქამდე ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ მეორე მხრივ უკვე არასაჭირო ადმინისტრაციული ორგანოსკენ გასწია და მას ბუნდოვან ბავშვობაში აგონდებოდა (თუ არარსებულს ეძებდა) ცივი საზამთრო, ჩაშაქრული ყავა და პატიმარი ქმრების სურვილით აღზევებულ ქალთა მარაქა, რაღაც ენატრებოდა, მაგრამ რა – ვერ გაერკვია.

მოგონებებიდან თითქმის წაშლილ ეზოში დარბოდა ცხვირ-პირგამურული ბავშვი, რომლის მშობლები ბედნიერნი იყვნენ, მაგრამ ბავშვის მოვლის თავი მაინც არ ჰქონდათ.

და სად იყო მამამისი? ზეცას უახლოვდებოდა ირიონეოსის უცნობი მამა, რომელიც ჩვენს გმირს ბუნდოვნად ახსოვდა, უახლოვდებოდა და მზად იყო უფლის შესამუსრად, ხოლო გაყინული ირინეოსი გაყინული შენობისკენ მიემართებოდა, რომელშიც არგაყინვისთვის მებრძოლი, გაყინული ეპოქის გამომჩარხველი ელოდა.

მას ახსენდებოდა დედა, რომელსაც არასდროს ნდომებია ღმერთობა. ის დღენიადაგ მიწიერების საცეცებს ებრძოდა და იბრძოდა თავისი მიმტოვებელი ქმრის მიტოვებული პირმშოს გადარჩენისთვის.

„ცივ ნისლში შეზელილმა თქორმა
გადაათეთრა სივრცე და შვა ლოშქრი.
ვიმოგზაურე დედაჩემის ბავშვობაში და გული ამიჩქარდა.

მას კი კალთაში ჩემი შვილი ეჯდა
და მანქანით მივქროდით იმ სანაპიროს გასწვრივ,
რომლის დანახვითაც საზაფხულო არდადეგებიდან
დაბრუნებულ დედაჩემსაც გული უჩქარდებოდა.
ო, როგორ გავდა ეს გულისცემა ითაკისკენ მიმავალი
ოდისევსის გულისცემას, ან კიდევ არჩიბალდისა...
გავისეირნე მამაჩემის ბავშვობაშიც და დავბრუნდი.
1976 წლის ზაფხული, ხოლო ქალაქი უდაბნოდ მეჩვენა.
ტანსზემოთ შიშველი მამაჩემი თავის მეგობრებთან ერთად
დიადი ურჩხული ერთი პატარა პროვინციის პატარა ქუჩის
ერთ პატარა ეზოში ფეხბურთს თამაშობდა და თანასულებში
უცხო ვირუსებს ებრძოდა, რომლებიც იმპერიამ დაავირუსა.
დადგება დრო და ჩემი შვილიც მიეხიზნება ჩემს ბავშვობას.
უცებ გამომელვიძა. გავხედე ზურმუხტისფერ ზღვაში მცურავ ქალაქს.
გავხედე და გავიაზრე, რომ დედაც, გრილი სანაპიროც და ჩემი მშობლების
ბავშვობის გათვითცნობიერებაც მკვეთრად უნდა აღმექვა,
დეტალურად დამემახსოვრებინა, რომ მომავალში, როდესაც ტკბილ
და სევდიან მოგონებად მოვიდოდა, ბუნდოვანი არ ყოფილიყო და დიდხანს
გაგრძელებულიყო, ასოებად ქცეულიყო, პოეზია დარქმეოდა“ – ჩვენი ირინეოსის დახუნძლული მტევნებივით აფუებულ ტვინში ასეთი სურათები იხატებოდა, სურათები, რომლებიც წამის გაელვებაში ქრებოდა.

* * *

სანამ ჩვენი ბიჭუნა ბატონ ფაუსტულუსს მოინახულებდა, ნაცნობ სამიკიტნოში შეიარა და სამი ჭიქა გადაკრა, შემდეგ საუბარი დაუწყო სამიკიტნოს მეპატრონეს, რომელსაც ადამიანებთან ურთიერთობა ეზარებოდა და რის ვაი-ვაგლახით ესაუბრებოდა ირინეოსს.

როგორც კი შეამჩნია ჩვენმა გმირმა „სოფელში მყოფი, რომელიც სოფლისთვის აღარ ზრუნავდა“, კიდევ უფრო მოიწყინა და გადაკრა და გადაკრა, ერთი ჭიქა, ორი ჭიქა, სამი ჭიქა...

ბოლოს, შეზარხოშებული, სამიკიტნოს მეპატრონეს მაინც გულიანად დაემშვიდობა და „ქალაქის ზომიერების დაცვის“ სამსახურისკენ გასწია.

იცოდა ირინეოსმა, რომ გამოცდილ მეპატრონეს არც არაფერი დაუშავებია და არც არაფერი შეშლია.

* * *

მოსავათებული „ქალაქის ზომიერების დაცვის“ სამსახურს მიუახლოვდა და ის სითეთრე იგრძნო, რომელიც ამ შენობას შიგნიდან მკვდრისფრად გადაკვროდა. შენობაში შემოვიდა თუ არა, მოქალაქეებს დაუწყო ყურება, რომლებსაც რატომ ჰქონდათ სახეები შეწუხებული, გაურკვეველი იყო, მათ ხომ არაფერი აწუხებდათ.

„სიცოცხლეში ერთხელ მაინც მოვახერხო, რომ ბატონ ფაუსტულუსთან ურთიერთობისას ვიყო ის, ვინც სინამდვილეში ვარ, მისი ოცნებაც ხომ ეს არის, ოცნება და არა მიზანი“, – ფიქრობდა ქალაქის თავკაცის კაბინეტისკენ მიმავალი ირინეოსი.

და ციოდა იმ დღეს, ციოდა ყველგან: გარეთ, შენობაში და ირინეოსში არ იგრძნობოდა იმ დღეს შეხურება, გაცეცხლება და გულისცემა.

ირინეოსს სურდა გამოეცნო, რას ფიქრობდა ბატონი ფაუსტულუსი და მის ფიქრებში შედინდა.

ნეირონების კედლები ვიბრირებდნენ, როგორც დინჯად მცურავი რვაფეხის საცეცები, ოღონდ აჩქარებულ კადრში.

შემდეგ ერთი ლორწოსფერი ნეირონის გვირაბში აღმოჩნდა, რომელიც იკუმშებოდა, რათა გამქრალიყო და უეცრად მასთან ერთად გაქრობის საშიშროება თავადაც იგრძნო, მაგრამ შიში გადალახა და აფეთქებისთვის, ხელახალი დაბადებისთვის მოემზადა.

– შეასრულე ბოლო დავალება? – გაისმა ფაუსტულუსის საშუალოზე ოდნავ დაბალი ხმა.

– არა, არც არაფერი იყო შესასრულებელი, – მიუგო ირინეოსმა და თითქოს რაღაცათი უკმაყოფილო იყო, ისეთი შეგრძნება დაეუფლა ბატონ ქალაქის თავკაცს.

– ეგ როგორ?

– როგორ და, აღმოჩნდა, რომ ცოლ-ქმარი სვამდა, ამის შემდეგ ერთმანეთს წაეკამათნენ, ცოლმა სახლი დატოვა და სადღაც სასეირნოდ წავიდა, ხოლო როდესაც დაბრუნდა, მისი გამომთვრალი ქმარი უკვე სისხლში ცურავდა.

და ზამთარი ქალაქს პირველყოფილი ადამიანივით წამოდგომოდა, რომელიც მზად იყო მამონტს შებმოდა. ზამთარი, პირველი ზამთარივით ცივი, შიშველი და უთოვლო იყო.

– და რამდენ ხანში დაბრუნდა ცოლი? – იკითხა ფაუსტულუსმა, რომელიც დაბნეულად არ გამოიყურებოდა, თუმცა სხვა მის ადგილას დაიბნეოდა.

– დაახლოებით ოც წუთში, სათვალთვალო კამერებიდან ამოღებულმა ვიდეომასალამ ასე დაგვიდასტურა, – უპასუხა ირინეოსმა.

– ესე იგი, გამოდის, რომ ამ ოცი წუთის განმავლობაში, ვიღაც სახლში შევიდა, მთვრალი მამაკაცი მოკლა და წავიდა ისე, რომ არავის დაუნახავს?

– სათვალთვალო კამერებით მოპოვებული ვიდეომასალა ადასტურებს, რომ ამ დროის მანძილზე გარდაცვლილთან ერთადერთი მეზობელი იყო შესული.

– გარდაცვლილი, თუ მოკლული? – მშვიდად იკითხა ბატონმა ფაუსტულუსმა.

– გარდაცვლილი, ბატონო ფაუსტულუს, – ასევე მშვიდად უპასუხა ირინეოსმა და განაგრძო, – ვიდეომასალიდან ჩანს, რომ მეზობელი მხოლოდ ოცი წამით შევიდა მეზობელთან და ამ დროის განმავლობაში შეუძლებელია, რომ იმდენი და იმ სახის ჭრილობები მიეყენებინა გარდაცვლილისათვის, რამდენიც აქვს.

– კარგით, მაშინ გამოდის, რომ ადამიანს თავი მოუკლავს.

– სავარაუდოდ, მაგრამ რადგანაც გარდაცვლილის სისხლით ლამის მოხატულია ოთახები და სისხლი (თავის დარტყმის შედეგად) აცხია სააბაზანოში წყლის ნიჟარის ძგიდესაც, ეს უფრო მეტად მეტყველებს იმაზე, რომ გარდაცვლილი სიმთვრალისგან დაეცა, შემდეგ შეშინდა, უპატრონოდ არ მოვკვდეო და გატეხილი თავიდან მჩქეფარე სისხლით მოთხაპნა ოთახი, სანამ ეზოში გასასვლელ კარამდე მიცოცდებოდა. გარდაცვლილს სხეულიც დასერილ-დაჩეხილი აქვს, რადგან, სავარაუდოდ, როდესაც წყლის ნიჟარასთან მივიდა, ხელში არაყის ბოთლი ეჭირა, რომელიც გაუვარდა, დაიმსხვრა და ჩვენი იატაკზე მღოღავი, აწ გარდაცვლილი უიღბლო, დასერ-დაჩეხა.

– არაყის ბოთლი რამდენლიტრიანი იყო? – სკეპტიკურად იკითხა ბატონმა ფაუსტულუსმა.

– ორლიტრიანი, – თამამად უპასუხა ირინეოსმა.

– საკმაოდ მოზრდილი ყოფილა, – ჩაილაპარაკა ფაუსტულუსმა.

– დიახ, ბატონო ფაუსტულუს.

– დანარჩენს ექსპერტიზა დაადგენს, – თქვა ქალაქის თავკაცმა და სავარძლიდან წამოდგა, შემდეგ შარვალი გაისწორა და წასასვლელად მოემზადა.

და დგებოდა ხანა ყინვაში არსებული სიცარიელისა, ხოლო ზამთარი გამარჯვებას ზეიმობდა. ის მზად იყო ქალაქის ყველა მცხოვრების მელანქოლიას ერთად შებმოდა.

– კი მაგრამ, საითკენ მიდიხარ? – ედმუნდ ჰუსერლის მზერით იკითხა ქალაქის თავკაცმა. ჰუსერლისა, რომელსაც კაცობრიობის ოთხმოცდათვრამეტი პროცენტი არ იცნობს.

– სიცარიელისკენ, – გაცნობიერებულად უპასუხა ირინეოსმა (მაგრამ თავისით გააცნობიერა სიცარიელემდე გზა ირინეოსმა თუ ვიღაცები დაეხმარნენ, აღარ ახსოვდა).

– მახსოვს, მეუბნებოდი, ბაბუამ ქალაქგარეთ, სიმწვანეში ჩაფლული აგარაკი დამიტოვაო, – ამაყი და მშვიდი იერით იკითხა ფაუსტულუსმა.

– ჰო, ზუსტად იქ მივდივარ.

და ყეფდა ზამთარი, ხოლო ქალაქი გულაგის ყველაზე ცივ საკანში ჩაგდებული პატიმარივით იყუჟებოდა, მაგრამ კედელიც მასავით ცივი იყო.

– და როდის დაბრუნდები? – იკითხა ოდნავ გაოცებულმა ქალაქის თავკაცმა.

– შეიძლება არც არასდროს, – უპასუხა ჩვენმა უმთავრესმა გმირმა და ხელი გაუწოდა ხელმძღვანელს, რაღა თქმა უნდა, გამოსამშვიდობებლად.

ქალაქის თავკაცი მასთან მივიდა, გადაეხვია და ცრემლებით დაუსველა ყელი.

დაუღალავი ფაუსტულუსი თითქოს მამა ღმერთი იყო, რომელიც ძეს ჩვენთვის შესაწირად ამზადებდა, ძეს, რომელიც ქვადაკარგულ სიზიფეს დამგვანებოდა.

ამ დროს კი – ჩვენი ირინეოსის ბიძაშვილის შვილის ქმარი გემით მოაპობდა წყლის უდაბნოებს და თავის ცოლზე ფიქრობდა (შეიძლება ქალაქზეც ფიქრობდა, მაგრამ ამაში დარწმუნებული არ ვარ).

ზოგჯერ გემბანიდან ოკეანეს ჩაამზერდებოდა, ჩაეხილვებოდა და თითქოს კიცხავდა საკმარისად გაუმჭირვალობის გამო. „უფრო გამჭვირვალე რომ ყოფილიყავი და დამენახა, რაც ჩასანსლე, რაც შთანთქე, მაინც მომესურვებოდა შენში ხეტიალი?“ – ფიქრობდა მეზღვაური და მზის ბოლო ანარეკლი თეთნულდის წვერიდან მოქნეული ცეცხლის ბეჭედივით უახლოვდებოდა კუპრისფერ ზღვას, თითქოს ეკრძალვის და ეთაყვანებაო.

მალე გათენდებოდა და დაეცემოდა სიბნელე – ჩვენი მარადიული მშობელი. ამ შერკინებაში გამარჯვებული კი – კვლავაც მარტო დარჩებოდა და თავის სიცოცხლეს ისე განკარგავდა, როგორც მეფე სამეფოს.

მეზღვაურმა იცოდა, რომ მონატრებული ცოლის ყელის დაკოცნა დაცემის დასაწყისი იქნებოდა და ნატრობდა, ეს მოგზაურობა სიმარტოვისა ამ უკიდეგანო გაწყალებაში, გაოკეანებაში, არასდროს შეჩერებულიყო.

მაგრამ მაინც ძალას იკრებდა, ისე, როგორც შვილის გადასარჩენად მოიკრებდა სასიკვდილოდ დაჭრილი მამა.

იმ დღეს მხოლოდ სიცივის ხმა ისმოდა, ისმოდა გაყინული მზის ირგვლივ მოხეტიალე, გაყინული პლანეტების უმწეო სუნთქვასავით.

დრო აღარ არსებობდა, მაგრამ რომ არსებულიყო, დაახლოებით მეთორმეტე წლის, მეთორმეტე თვის, მეთორმეტე დღის შუადღის თორმეტი საათი იქნებოდა.

დასასრული შემდეგ ნომერში



ჯემალ სურმანიძე

ცნობილ პოეტს ჯემალ სურმანიძეს დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაცია, აჭარის მწერალთა სახლი და ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქცია, გულწრფელად ულოცავს ბატონ ჯემალს ამ ლამაზ თარიღს და უსურვებს შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს.

ლექსები ეძღვნება შვილიშვილებს:
სესილის, მათეს, ლიზას, ნიკოლასს და ყველა ბავშვს

* * *

ბაბუკელას სუნთქვა
და სიცოცხლის
არსი,
სიყვარულით ჩავიკარ
გულში ნიკოლასი.
წვიმა ჯერ
არ მომსწრია,
როგორც იმ
დღის მსგავსი,
აგრემც, დაუდეგარი,
ყოფილიყოს ანცი,
ღრუბლის გადაგორებით
გამომჩენი ამ
ცის.

* * *

ონავარა მათეს
ებუტება ლიზა,
თვალთა ელვარებით
მზესავით გიზგიზა.
შეამკეო, – ამბობს, –
საბნევებით თმისა, –

აწვდის სათამაშოს
ბებია ნარგიზა.
არც ის
უნდა
მათეს
აუჩვილოს გული,
გაუგორა ბურთი
ტახტქვეშ მიმალული.
თოჯინების წყება,
მანქანა და
სპილო,
ერთურთ საამებლად
მოგრგებოდეთ, შვილო.

* * *

ფერდობებზე გაშლილ
შროშანს
ტოლს არ უდებს
ლიზა შნოში,
შვილიშვილის
მონატრებამ
ჩამიყვანა ბახმაროში.
რაც შემეძლო,
ავუხდინე,
რის სურვილი
ჰქონდა გონში,
ვერ ვიკმარე
მოფერება,
ველარ ჩავეტიე
დროში
და, როცა
შინ ვბრუნდებოდი,
აგრძელებდა ქარი
ქოშინს,
ამიჩქროლა მკერდში
გული
დაშორებით განათოში.

„ახლებურად...“

იდაყვებით
შეხება –
მისალმება
ახალი,
ახლა
მიახლოება
აღარ არის
მოდაში,
რაც შემოვრჩი
ოჯახში,
წიგნებს
ვფურცლავ
პროზაში
(ხან მათე
ბიჭს
შევყურებ
მოცეკვავის
პოზაში),
ლიზა კიდევ
სესილის
ეჯიბრება ვოკალში
(მათი
დღეგრძელობისთვის
ღვინოს ვისხამ
ბოკალში).
როცა გონს
მიფანტავენ,
ერთურთს რომ
არ ვუჯერებთ,
მგელს და ცბიერ
მელიას
აუშლიან
ბუჯერებს
და
ვრწმუნდები,
სოფელი
ციცქნა ზღაპრის
დარია,

რაგინდ დევმა
დაკეტოს,
მაინც იდენს
წყალია.

* * *

ლიზაკუნას კატა
თათით აღებს
კარებს,
მიუჯდება სუფრას
ქილიდან რძეს
დალევს.
გაილოკავს
ულვაშს
კვალის
დასაფარად,
თუმცა ორი
წვეთი
ძირში დაეღვარა.
ეშმაკურად რაგინდ
აქიცინოს კუდი,
არ შეჰფერის
არვის
ყოფაქცევა ცუდი.
მართალია, სახე
გაუთხუპნავს მურით,
ბებოს გაკიცხვაზე
გაუწითლდა ყური.

* * *

დაიქანცა ველო,
მათე, დაუღლელო, –
ეუბნება ლიზა, –
რბოლა გავაგრძელოთ.
ორი თვალი რაგინდ
მარჯვედ გააჭენო,
სამი ბორბლით უკეთ

ვიკვლევ გზას
და მდელოს, –
იმსაჯეო, – იტყვის, –
ბაბუ, საყვარელო!

* * *

გააკვირვა ლიზამ
ბებიკონა ნატო: –
გოგოს სახელს
ამწეს
არქმევენო, რატომ?
– პატარაა შენი
სათამაშო „კატო“,
ნამდვილი კი,
ბებო,
ტვირთს მაღლა
სწევს მარტო.
სხვა ენაზე
ნიშნავს
გვარს, ქალაქს
და დაბას,
„წითელქუდას“ მერე
სხვა რა
გითხრა, აბა?
ტკბილ ძილს
მოჰგვრის ბავშვს
და
წაახურავს საბანს.

* * *

თაროს მისწვდა
სესილი,
ჩამოიღო
თარაზო,
ქოხის აშენებაში
ლიზას შველას
სთავაზობს.
მათე

აღკაზმულობით
მოგაგონებს
კალატოზს,
როს ეგონა,
მორჩაო,
წამოექცა ხარაჩო;
შეეფაკლა
ყვრიმალი,
ვით დარცხვენილ
ყაყაჩოს.

* * *

კენწეროზე
ფიჭვის
შემომჯდარა
ციყვი,
ამბობს, –
კოდალაზე
სახუმაროს
ვიტყვი.
უკაკუნებს ხეებს
და
პოულობს ჭიას,
მაინც გაიძახის:
მშია, მშია,
მშია!
ჩემთვის საბადებელს
კარები აქვს
ღია,
გირჩით
ვიტკბარუნებ
პაწაწინა ყიას.
რა უნდა
თქვას
ციყვმა
კოდალაზე მეტი,
ისეთი რამ
ბრძანა
იქით დასცა
რეტი.

– მაგ უგემურ
გირჩებს
რად ეძახი
საკვებს,
როგორ გავიმეტებ
შენთვის თხილზე
ნაკლებს
და, რადგანაც
თხილი
სულ არ
გაბადია
(ვერ დაასწრებ
რამეს
ყვავს
შავნაბადიანს),
შურიანი ციყვი
იმიტომაც გქვია.

* * *

მოისურვებს – სწვდება
ვენეციას, პიზას,
აიპადით ყველგან
დანავარდობს ლიზა.
მეგზურობით საზღვრავს
ყველა კეთილ
მიზანს.

მზია სალვარიძე

რთული ხე

არაფერია იმაზე რთული,
როცა ხედავ რომ რთული არაფერია...
რა უნდა მებაღის დაკარგვას?
არაფერი...
აი,
მებაღეზე წარმოდგენის დაკარგვა კი ნამდვილად რთულია.
რთულია იმიტომ,
რომ საკუთარი ინტუიციის უზუსტობისა და სისუსტის აღიარება განადგურებს...
ჰოდა,
ესაა ყველაზე რთული,
წარმოუდგენლად რთული...

ჩვენ ხომ ხეები ვართ,
დიდი,
საშუალო
ან პატარა ხეები.
ოღონდ ერთ ადგილას კი არ ვხარობთ ჩვეულებრივ მცენარეებივით,
პირიქით,
ტვინგახვრეტილი ინტერესებისა და უცნაური სურვილების გადამკიდე,
მიწაზე ამოყრილ ფესვებს ფოფოდიას კაბასავით დავათრევთ და ვმოძრაობთ ერთი ადგილიდან მეორეზე...
ზოგჯერ ხდება ისეც,
რომ უსიერ ტყიდან ფესვადგმულებს, კარგად გაკრეჭილი ხეებისა და პირწმინდათ გაპარსული მდელოებისკენ გვექცევა თვალი.
გვექცევა კი არა,
არაერთხელ ჩამოვმსხდარვართ ბაღში დეკორატიულ სკამებზე,
ფესვი ფესვზეც დაგაგვიდია იქაურებივით
და ჩვენი ხამობა,

ფესქვეშ გაწოლილ ჩრდილივით გაგვითელავს...
რაც ვართ ესა ვართ,
არც მეტი და არც ნაკლები.
განა,
მებაღემ რომ არ მიგვითითოს,
ჩვენ ვერ ვხვდებით იმას,
რომ ტალახიანი ფესვებით დავაბოტებთ
და გაუსხლავი ტოტებით ვშრიალებთ?
დავიჯერო,
მხრებგაშლილ მუხაზე უკეთესი საცქერელია
ციყვისა თუ კურდღლის დეკორაციად დაგრეხილი ნაძვი?
ეგ რომ ჩვენს ტყეში ნაძვის ბინულებს შეფარებულმა მხეცებმა ნახონ,
ისევე მოეღრიცებათ ყბა,
როგორც ამათ ეღრიცებათ ახლა ჩვენი შემხედვარე...
სასწაულია პირდაპირ.
ჩვენს ტყეში ტყაშმაფები მბრძანებლობენ,
აქ მებაღეები.
მებაღის გადასაწყვეტია სადამდე ჩაწვდე მიწის სიღრმეს ან რა მანძილზე მოვხვიო ტოტები
თანამოშრიალეს.
ეგ კიდევ არაფერი,
ვინმეს რომ ზედმეტად არ მიეჩრდილო,
შეიძლება იმდენად დაგახრევინონ თავი,
რომ ვერც გაიგო ხე ხარ თუ მოგრეხილი კისერი...
არადა,
ეს ნიადაგი პირველი გასინჯვისთანავე ვიგუე.
ფესვებში მოვიქციე და მორიდებით დავფხვენი...
გემო გავუსინჯე...
შევიყნოსე...
მივიხედ-მოვიხედე,
ტყე თუ არა,
ბაღი ხომ მაინც იყო?
მე კი,
როგორც ხეს,
წესით სრული უფლება მქონდა იქ გამედგა ფესვი,
სადაც ჩემნაირები სახლობდნენ
და მითუმეტეს,
თუ გული და თვალი მიმივიდოდა,
კიდევ რაზე უნდა დავფიქრებულიყავი?
ჰოდა, გავიდგი.
ის ადგილი,
რომელიც დავიკავე,
განზე იყო,

მოფარებულში,
არც არავის ვუშლიდი და
არც არავინ მიშლიდა...
ყველაფერი კარგად იყო, ძალიან კარგად,
ოღონდ მანამდე,
სანამ ის არ გამოჩნდა,
მებაღეს რომ ეძახიან.
თურმე ბაღში,
ტყისგან განსხვავებით,
მებაღე არა მარტო ტყაშმაფასავით ფრინველებსა და ცხოველებს,
არამედ ხეებსაც განაგებს.
აქ მებაღეს პატრონს ეძახიან.
ჩვენ კი ტყაშმაფას აინუნშიაც არ ვაგდებთ.
ალმაცერად ამხედა.
მუშტრის თვალით შემათვალიერა ძირიდან კენწერომდე და
კმაყოფილება მოჭუტული თვალებიდან აბზეკილ ცხვირზე ამოებურცა.
ჩემი ფოთლების სიხასხასე და ფესვების სიმკვრივე მაშინვე მოუვიდა თვალში.
თავად პატრონს,
უკვე მისი ზემდგომისთვის რომ ეამებინა,
თან მე,
ღვთისა და შემთხვევითობის წყალობით მის ბაღში მოხვედრილად კი არა,
მისი ხელით გამოყვანილად რომ გავესაღებინე,
ჩარჩო მომარგო.
წითელი საღებავით მომინიშნა გასასხლავ-მოსაკვეცი ტოტები,
ფესვებთან სარწყლულებელი არე ერთი ორად დამივიწროვა და მაშინ,
როცა ჩემზე უფრო დაბალი ხეების არ დაფარვის მიზნით ყელზე გამობმული თოკით თავი მხრების
ქვემოთ დამაწევინა,
განრისხებულმა ტოტი ავკარი.
სულ ლაწა-ლუწით გავიმართე წელში და ნირწამხდარ მებაღეს თვალი თვალში გავუყარე...
განა რა მრჯიდა სიჩუმეს და წყრომის ყლაპვას,
რომ სათქმელი გულში ჩამეხვია...
შენ რომ ამხელა მებაღე ქვია,
განა არ უნდა იცოდე,
რომელი ხე ეგუება გასხლვას და რომელი არა?
განა, არ უნდა იცოდე,
რომელ ხესა აქვს მიწაში ზედაპირულად ჩაყრილი ფესვები
და რომელს მიწის გულზე კაუჭად გამობმული?
განა ვერ უნდა გაარჩიო,
ვინ იდგამს თავზე სათამაშო გვირგვინს
და ვინ ქედსაც არ იხრის?
ამიტომაც რაღა დამრჩენოდა?
მივხვდი,

არ იყო ჩემი კისერი ხიბორკალსა თუ ხიმინჯებთან შემგუებელი
და ფესვებიანად წამოვიმართე.
ჯერ ერთი მუხლი გავმართე,
მერე მეორე და
ისევ ფესვაკრეფით დავიძარი იმ იმედით,
რომ ოდესმე მაინც ვიპოვი ბაღს მებაღის გარეშე...

სიზმრის დამჭერი

ჩემი სახლი,
რომელიც ქალაქში იდგა,
ამოვთხარე ქუჩიდან და ტყეში გადავრგი.
იქ აღარ ვარ,
სადაც მნახულობდით ხოლმე.
ბევრჯერ დაგპირდით და
ერთხელაც მართლა წავედი.
არც ხახვის ფურცელი დამიყრია გზაზე
და არც ნივრის.
თუ მოსვლა გინდათ,
ივლით, ივლით და ოდესმე მომაგნებთ.

მანამდე მინიშნებებს დავტოვებ...

ჩემს ტყეში,
ჩემს უდაბურ საბუდარში,
სადაც ბინულები გულში მიხუტებენ და ობობები შირმებს მიქსოვენ,
შიშველი დავდივარ უღმერთობის იმედით.
ჩემს სამოთხეში ღმერთი არ დადის,
ჩემს ტყეში ავი სულების დასაფრთხობად ჯვრებს არ დგამენ...
აქ მხოლოდ მისნები ჯადობაზობენ.
ახლა ჩემი ეპოქა დადგა.
აღარ მსურს თქვენი აზრების მოსმენა ჩემზე.
ისედაც ყელამდე ვარ ჩემი უკუღმართობით.
საკუთარ თავს თქვენზე არანაკლებ ვამკობ.
რატომღაც იმ აზრამდე მივედი,
რომ კურდღლის სიფრთხილითა და სიმარდით გაქცეულთა დევნას
ქარების დევნა მირჩევნია...

ოდესღაც,
როცა რაღაც სასიამოვნოზე ვფიქრობდი,
ჟრუანტელი მივლიდა.
ახლა ჭიანჭველები მივლიან და თავად უვლით ჟრუანტელი ჩემზე შეხებისას...

კარგი ყოფილა ტყეში.
რომ რამე,
აქაც მრავლადაა ჭაობი.
ოღონდ, აქ ნამდვილი ბაყაყების ყიყინსა და ქვეწარმავლების სისინს ვაყურადებ.
მერწმუნეთ,
ზიზღისა და შიშის მიუხედავად,
თქვენს ჭორებზე
ბევრად საინტერესოა მათი მოსმენა...

კიდევ კარგი,
რომ ვერასდროს ჭორაობთ ჩემზე,
კიდევ კარგი თქვენთვის,
აბა, მე მკითხეთ,
რად დამიჯდა ისეთი ცხოვრება,
თქვენ რომ ვერაფერზე გექილიკად...

განა, მე ვერ გავრისკავდი გაურისკავს?
განა, მეც ვერ დავანგრევდი დასანგრევს?
განა, აკრული თვალებით დავდიოდი რომ ის ვერ დამენახა,
რაც თქვენ დაინახეთ?
არა, ჩემო კეთილებო,
არა და არა!
არც თქვენზე ბეცი ვყოფლვარ
და არც მშიშარა.
რაც დღეს ვარ,
ის ვიყავი ყოველთვის,
შეიძლება უარესიც...
მაგრამ მაშინაც დღევანდელი დღისთვის ვცხოვრობდი,
მაშინაც დღევანდელი დღის მადლი მამხნევებდა
და მაშინაც დღევანდელობიდან დახატული ხვალინდელობა მედგა თვალწინ...

ახლა კი,
ამ ტყეს შეფარებული,
ქალაქიდან ბაბუაწვერებად გამოზიდული სულის ამარა დავტანტალებ და
ყველაზე ნაკლებად თქვენზე ვფიქრობ.
თქვენს ნაცვლად ობობებთან და ხოხბებთან ვმეგობრობ.
ისინი სულის გადარჩენაში მეხმარებიან...
ერთი მიქსოვს,
მეორე ფერადი ბუმბულით მამარაგებს...
მე კი მხოლოდ რკალებს ვაკეთებ
და ტყეში სიზმრის დამჭერებს ვკიდებ...
იქნებდა გამოჩნდეთ,

ჩემო სიზმრად ქცეულებო.
მაგრამ სიზმრის დამჭერის ბადეში არ გაებათ ავი სიზმრებივით...
იქნებდა მანამ,
სანამ ისევ მოხვალთ ჩემამდე,
ცოტათი მაინც განიწმინდოთ სული
და ხოხბის ბუმბულზე დაცურებულებმა, ჩემს ქვეცნობიერშიც შემოაღწიოთ...

ჩემი სახლი კი,
ქალაქში სასახლე და ტყეში ჩიკუნა,
თუ არ გეცნოთ,
არ შეგეშინდეთ,
დაკაკუნების გარეშე შემოაღეთ;
თუ არადა,
ფანჯარასთან მაინც ჩამომიჯექით
და ფარდების ნაცვლად ჩამოკიდულ ზანზალაკებს დაუგდეთ ყური,
იქნებ თქვენი დადუმებული გულის ის ხმები გაიგონოთ,
მე რომ ოდესმე მესმოდა
და მე რომ ოდესმე მარწმუნებდა თქვენს გულისხმიერებაში...

სიმართლე გითხრათ,
არ ვიცი,
რა გაიგეთ თქვენ ამ ნაწერიდან,
არც ის ვიცი,
რატომ ვპარავ საკუთარ თავს დროს ამის წერაში,
მაგრამ ერთია,
თუ ათასჯერ მაინც არ დავჩხაპნე რამე,
ნაკაწრები მომიშუშდება,
და მერე,
იმ ერთის მოხელთებისას,
აღარ მეტკინება სული...

ისე ერთხელ,
როცა სუვენირების მაღაზიაში სიზმრის დამჭერი ვიყიდე,
მივხვდი,
რომ რაღაცაში გავები...
დიდი ხნის დავიწყებულმა სიამემ გამკრა გულში
და მერე,
ქალაქიდან ამოგლეჯილი სახლით ტყისკენ წასულმა,
ბაბუაწვერებთან ერთად
ხელს პეპლებისა და სიზმრების დამჭერი
გამოვაყოლე...
არადა, პეპლები არასდროს დამიჭერია,

უბრალოდ მახსოვს,
რომ ყოველთვის მქონდა პეპლების ბადე,
რომელშიც ჰაერს ვიჭერდი წამით
და მერე,
მთელი ცხოვრება,
დაჭერილი წამის სიამით ვტკბებოდი...

მე სუროს ქალი ვარ!

მიუხედავად იმისა რომ ვერ ვიტან როცა მეხვევიან და მითუმეტეს – მახრჩობენ,
მაინც მიყვარს სურო.
სულ რომ შემისრუტოს,
სულ რომ შემისახსროს,
რომ რამე,
მაინც ამოვსხლტები მისი მარწუხებიდან ჯინივით
და მტრის ჯინაზე,
ავფრინდები ცაში...

მე სუროსავით ბალანწარაც მიყვარს,
ასე ეძახიან ჩვენში გარეული ბალის ჯიშს და მიკვირს,
ასე რამ გაგამწარათ ეს ხარისგულა ბლის მოყვარული ხარბუნიები.
მე ხომ ის ქალი ვარ,
თქვენი თურაშაული ერთ შაურადაც რომ არ მიღირს
და ჩემი ედემის პანტა ვაშლი,
სამოთხის მ(ი)სხალ სასელასავით,
ქვეყანას მირჩევნია...

მე ის ქალი ვარ,
ოდესმე ოცნების ბაღი თუ მეღირსა,
ვარდების ნაცვლად
რომ მოვაშენებ გვიმრას
და დაველოდები,
ვინ რა უნდა მითხრას,
ვინ რა უნდა დამიწუნოს,
ვინ რა უნდა დამაკლოს ამ ერთ კაკალა უკუღმართს
და მერე ნახავთ,
ჩემს მიერ წკლიპურტით აყრილ
არამკითხავების
ყირამალა ვარდნებს მათი ვარდების ბაღში...
მეკი ამ დროს,

სუროსა და გვიმრებს შორის მზეზე გველივით გაწოლილი,
შორიდან დავაკვირდები,
თუ როგორ ძრწიან
ჩემი შემყურე,
მოძრავ სტადიებს მოკლებული ძოწეულები.

* * *

თუ ჩემი ვნება განიზრახე,
ადი მაჭახლის ხეობაში და ტყის მარწყვები ფეხით გათელე,
მაყვლის ბუჩქზე გაწოლილ გველს ნაყოფი მოპარე,
მდინარისკენ მიმავალ ბილიკზე აკრეფილი კერკეტა თხილი კბილით გატეხე,
საძიძგველში ჩემს მიერ ჩარგულ მინდვრის ყვავილებს სული ამოგლიჯე,
ფუტკრის ბზუილში კარჩხლის გაბზარული ხმის ექო ამოქოლე,
სახლიდან გაღმა გზამდე გაბმულ ძაფებზე ასხმული კენჭები ჩამოკრიფე
და თუ გენებოს,
ქარაფიდან გადაყარე...
თუმცა თვალი ბოლომდე არ გააყოლო,
გადაგიყოლებს!
...და ღმერთმა ნუ ქნას,
შენც ის ღმერთი დაინახო,
ამ ხრამებზე გადაკიდულ ჩემს ბავშვობას რომ მფარველობდა ქვემოდან
და თვალი აგარიდოს...
თუ შენ მართლა ფიქრობ,
რომ ჩემი ვნება შეგიძლია,
მაშინ ჩემი სიყრმის წაქცეული ხეების იმედად ნუ დარჩები,
იმათი ფესვებიც ამოთხარე,
რადგანაც ჩემი
ხელუხლებლობის,
მოუხელთებლობისა
და უვნებლობის შელოცვილი მარცვლები,
სწორედ ამ ფესვებში შეყუჟულ ციცინათლებს აქვთ მიბარებული
და თუ ამ ფესვებს ძირფესვიანად არ აღმოფხვრი,
მაშინ სათითაოდ უნდა სდიო მანათობლებს და
სულის შებერვით თუ ვერ,
ტაშის შემოკვრით მაინც ჩააქრო...
თუმცა გაფრთხილებ,
ჩემი ჭინკები,
რომლებიც ზოგჯერ სხვის დაკრულზეც გამოდიან სამალავიდან,
თუ არ ემათე,
ჩემზე უარეს ხათაბალად დაგემართებიან

და მერე ნუ დაიწყებ თავის მართლებას მათგან გათელილი,
ნურც ჩემსკენ გამოიშვერ თითს...
თუ არ იცოდი,
ამის შემდეგ გეცოდინება
რაოდენ ხელშეუხებელი ვარ
და რაოდენ უტოპიურია,
ყველაფერ ამის გადაულახავად,
ჩემს ვნებაზე ფიქრი...

მე!

მე არც გახლავართ და
არც – ვმოღვაწეობ!
ის კი არა,
მწერლობასაც ვერ ვიჩემებ ამ გადამწერლებულ ქვეყანაში.
უბრალოდ ვცხოვრობ,
ვხედავ,
ვლაპარაკობ
და შიგადაშიგ ვწერ იმაზე,
რაზეც წაყრუება დანაშაულად მიმაჩნია...
ჩემდა ჭირად
ვერ გამოვდექი ვინმეს მხარედ,
ვერ შევდექი დასაყრდენ ძალად
და ვერც საჩემო ყურეს მივადექი ღუზის ჩასაშვებად...
ამიტომაც, მოვეშვი...
რა ვუყოთ,
თუ ძაღლივით არ ძალმიძს ნაკბენის ალოკვა,
ვერც კატასავით ვისუფთავებ ჭუჭყაკიდებულ ტანს...
ისე, ვერაფრით გამიგია
რა უსაშველოს ვაშავებ ყეფით,
რომ თქვენს გადაღლაზეც ვიღელვო?
მთავარია, არასდროს ვკრუტუნებ თავზე ხელის გადასმისას...
დღემდე ისე მოვედი,
მხოლოდ ჩემს მიმართ გამოთქმულ კომპლიმენტებს ვუყურებ ეჭვის თვალით
და ვთვლი,
რომ სულაც არ მაკნინებს ჩემი ქალური კენტავრობა.
დიახ, მანამ ვიჯდები საომარ ცხენზე,
სანამ კანჯართა ბრბო უტიფრად დაბაკუნობს პარნასის სცენაზე
და სულაც არ ვნაღვლობ,
ამდენ ბრძოლაში,
მართლა თუ შევეზრდები ცხენს როგორც თავი და

დავკარგავ ცივილურ სახეს...
სახის დაკარგვაზე იმან იდარდოს,
ვისაც პერო თვალში აქვს გაყრილი...
მეკი, როგორც ამორძალი,
ხშირად მკერდში
და იშვიათად სარტყელში
სატევარგაყრილი ვივლი და დარწმუნებული ვარ,
ამ საბრძოლო იარაღთან ერთად,
ვარდებსაც აუცილებლად ჩამაყოლებენ საფლავში,
როგორც მეომარ ქალს...
აი, პეროები კი,
თქვენი საკარნავალო პეროები,
გაყრილი იქ,
სადაც გსიამოვნებთ,
თქვენთვის დაიტოვეთ!

გამოსათხოვარი

წუხელ ბოლოჯერ წავუკითხე ლექსი ბათუმს.
განა,
არც ადრე გამომიდია თავი ლექსების კითხვით,
(სულ რამდენიმე მაგალითი მახსენდება),
მაგრამ იყო ასეთი სულზე ანატკეცი ბედნიერი მომენტებიც ჩემს ცხოვრებაში...
თავხედობა სულში კი მაქვს გამჯდარი,
მაგრამ ჩემი ქალაქი
იმდენად დიდი მწერლების გულისყურთან ფეთქავს,
რომ ვერასდროს გავბედე ჩემი წილი ნაწიბურებიც გამეღიავებინა მის დანესტრილ სულზე...

წუხელ ბოლოჯერ წავუკითხე ლექსი ბათუმს,
განა მხოლოდ ვკითხლობდი,
მარცვალ-მარცვალ ამომქონდა მეხსიერებიდან მომენტები
და დაჭიმულ მყესებზე,
როგორც თქვენსა და ჩემს შორის მიმოსასვლელ ბილიკებზე,
მონეტებად ვფენდი.
თქვენ რომ მესამე თვალი გქონოდათ
და ყურთასმენაც ისეთივე მახვილი,
როგორც მე,
აუცილებლად შენიშნავდით ამ მონეტების ბრწყინვალებას
და საამო წკრიალს...
აუცილებლად,
მაგრამ მონეტები კი არა,

მე როგორ გემშვიდობებოდით,
მე როგორ გესიყვარულებოდით
და გეფერებოდით,
ისიც ვერ შენიშნეთ...

წუხელ ბოლოჯერ წავუკითხე ლექსი ბათუმს...
ბოლოჯერ,
რადგან აღარ მინდა უწმინდურთა მიერ დაწინდულ გარემოში სულის წარწყმედა.
რადგან აღარ მინდა იმ საზოგადოების წევრობა,
რომელსაც ყველაფერზე შეუძლია თვალის დახუჭვა,
რომელსაც არათუ ბრძოლის წამოწყება,
არამედ უკეთურებასთან სხვისი ჯახირის ყურებაც აღელვებს თურმე...

წუხელ ბოლოჯერ წავუკითხე ლექსი ბათუმს...
ბოლოჯერ!
მაგრამ, გგონიათ ვერ გადავრჩები?
გგონიათ, თქვენი გულგრილობითა და გულუმართლობით სილაგაწნულს,
გამიჭირდება თქვენსა და ჩემს შორის გაგლეჯილი ბაგირის თავიდან დაწნა?
მე რომ არ გითხრათ,
მე რომ არ შეგჩივლოთ,
მე რომ არ შეგასმინოთ,
თუნდაც ტელეპატიურად,
განა, თქვენ ვერ უნდა იგრძნოთ როგორ გამიუპატიურეს,
გამისვარეს თუ
გამითახსირეს აურა ჩემს ქალაქში გაჩენილმა მეტასტაზებმა?

წუხელ ბოლოჯერ წავუკითხე ლექსი ბათუმს...
ვკითხულობდი და თვალნათლივ ვგრძნობდი,
როგორ მექცეოდა ცა,
როგორ ტორტმანობდა მიწა
და ამ დროს,
როგორ მყარად და უგრძნობად იდექით თქვენ...
ვკითხულობდი და არა მარტო ფრაზებად,
არამედ ძვლებშიაც დაშლილს,
მყარად მეჭირა ცისკენ აწვდილი ემბაზი,
რომელშიც თავზე ჩამოქცეულ ცას ვაგროვებდი,
რომ ოდესმე,
თუკი ისევ მომინდება ბათუმისთვის ლექსის წაკითხვა,
მასში განვიბანო
და ცოდვებდაყრილმა,
ჩამოყრილი ხელების თქვენსკენ წამოწევა შევძლო ჩასახუტებლად...

* * *

რაც ზრდასრულ ქალად შევიგრძენი თავი,
სულ ფეხის წვერებზე დავდივარ
და ფეხისგულებით
თითქმის არ გეხები, დედამიწავ...
ქუსლებზე სიარულში ისე გავიწაფე,
ასე მგონია,
ფეხშველამ რომ ვიარო,
ჩემს თავ-პირის მტვრევას საშველი არ ექნება...
დილით,
როცა ვიღვიძებ და სარკის წინ ვდგები,
თავის მოწესრიგების ნაცვლად თმებს ვიჩეჩავ,
ამონათებულ უპეებს ხელოვნურად ვიმუქებ,
თვალშისაცემი ტუჩების შესაფუთად უფერულ ტუჩსაცხს ვისვამ
და თუ იმ დღესაც უჩინმაჩინობას ვეპირები,
ვიმოსები მწვანედ...
მწვანეა ჩემთვის ზესკნელიცა და ქვეც...
მწვანეა ჩემი სული,
თვალებიც...
კი მსურდა ხმაც ხავერდოვანი მქონოდა,
მაგრამ ისეთი ხრიწიანი მაქვს,
საკუთარ თავს ჩუმად ყოფნას ვეხვეწები
და მხოლოდ ბარათებს ვუწერ...
ვუწერ და ვუტოვებ იქ,
სადაც გულის ნაწილს ვტოვებ,
სადაც სული მელევა,
სადაც სული მიმდის...
ვუწერ და ჩემი გულმავიწყობის გადამკიდე,
ველარ ვაგნებ მერე...
მხოლოდ მე და ჩემმა ღმერთმა ვუწყით,
რამდენი სათქმელი დამეკარგა,
რამდენ საქმეს ვერ მოვაბი თავი,
და რამდენსაც ვერ მოვაბამ მანამ,
სანამ საკუთარ თავს,
აქა-იქ მინიშნებად თუ სანიშნებად ჩატოვებულს,
სათითაოდ არ წამოვკრეფ,
არ ჩავყრი ქვასანაყში
რომ თავიდან ჩავნაყო,
ჩავასუნელო

და ახალ სურვილებჩათქმული
თავიდან შემოვანაწილო იქ,
სადაც წესით უამისოდაც უნდა მაგნებდეთ...
თუმცა...

* * *

სხვებთან ურთიერთობას მაშინ ვესწრაფვი,
როცა ვგრძნობ,
რომ ზედმეტადაა მოჭარბებული ჩემსკენ პოზიტიური კოსმიური ძალები
და მინდა ეს ძალა სხვებსაც გავუზიარო.
როცა შუბლის ზევით რაღაც მტკივა
და სხეულში სისხლი უკუღმა ბოგინობს,
ანუ ტანში ვერ ვეტევი,
ჩემდა უნებურად ვიწყებ წერას და წვეთ-წვეთობით ვიწურები,
ვიცლები და ვთავისუფლდები.
ყველაზე მეტად ქვიშის საათის მდგომარეობაში ყოფნა მსიამოვნებს...
ხშირად მაქვს მოქცევის პერიოდები...
მაგრამ არის პერიოდი,
როცა არავისი დანახვა მსურს და მხოლოდ სარკეში ვიყურები.
სარკეში კი მხოლოდ თვალებს ვაკვირდები და ვმარჩიელობ.
მისი ანარეკლი ხელისგულზე გადმომაქვს და მასში,
როგორც თივაში ნემსს,
ისე ვეძებ ჩემთვის საინტერესო ადამიანებს და გულზე,
როგორც ნემსის ბალიშზე, ისე ვირჭობ.
ალბათ ხვდებით, როგორი მტკივნეულია ეს.
მაგრამ მე უფრო მეტის ატანაც შემიძლია...
...რომ არა ენერგოვამპირები,
უფრო მეტსაც შევძლებდი.
მაგრამ ისინი ხომ იმისთვის არსებობენ,
რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი აგვაგლიჯონ გულიდან,
სულის აპკსაც გაჰკრან კლანჭი
და კაკალ-კაკალ ნაგროვები არსებობის სურვილი გაგიბნიონ...
ბევრჯერ მიფიქრია გაქცევაზე...
კიდევ საკუთარ თავთან შეხიზვნასა და იმ ასტრალში დაბრუნებაზე,
საიდანაც შემთხვევით მოვხვდი თქვენგან,
მაგრამ ფეხს ვითრევ და ამდენ თრევაში,
თქვენს შორის ზოგიერთ უვარგისს ფეხმრუდი ვგონივარ,
ზოგსაც – ორჭოფი და არიან ისეთნიც,
ვისთვისაც წყალგაუსვლელი ეჭვიანი ვარ.
არადა, ამდენს რომ ვფიქრობდე, როგორღა მოვაღწევდი თქვენამდე?

როგორღა მოგაგნებდით თივაში ნემსებს?
როგორღა ამოგირჩევდით გულზე მისაჩხვლეტებლებს...
მე თქვენ ფიქრის, განსჯისა და სარგებლის გარეშე მიყვარხართ, ადამიანებო!
თქვენ მჭირდებით იმისთვის,
რომ ძალიან მალე არ წავიდე იქ,
საიდანაც მოვედი და ახლა,
ადამიანის სურნელაკიდებული დავდივარ ამ უსუნო თუ უყველაფრო სამყაროში
და იმ ადამიანებს ვეძებ,
ვისაც ჩემნაირებთან ყოფნა აშინებს კი არა პირიქით – ესწრაფვიან...

* * *

როგორც ავტორი,
ავტომატურად ვტოვებ უფლებას
ვიყო პროზაიკოსი ან პოეტი მაშინ,
როცა ვწერ.
როცა ვწერ,
არასდროს ვფიქრობ ლიტერატურულ ნორმებზე,
ლიტერატურის კრიტიკოსებსა
თუ თავად ლიტერატორებზე...
როცა ვწერ,
არასდროს ვიცი რომელ სათქმელს გავაჟღერებ,
რომელი განცდისკენ გადამიცდება ფეხი
ან რომელი კალთიდან ამოვბერტყავ ჩემი სულის საზრდოს ნაფხვენებს...
მე ყველაზე უბრალო და უსარგებლო
ავტორი ვარ ავტორთა შორის
და რომ არა თქვენი ლიტერატურული ნორმები,
და რომ არა თქვენი ლიტერატურული დოგმები,
იქნებ უფრო ადრე შევრეოდი მწერალთა მოდგმას...
როგორც ავტორი,
ძალიან ვწუხ,
რომ ამდენი ხანი ვერ დავეწიე საკუთარ თავს,
რომ ვერ შევუთამამდი საკუთარ შესაძლობლებებს,
რომ ურნაში გადავყარე საკუთარი უნარები,
რომ ამდენი ნააბორტალი ნაწარმოებია ჩემი ცოდვების ბორტზე
და მიუხედავად ამდენი პროფესიული კრახისა,
მაინც მჯერა,
რომ საათი არასდროს ჩამოკრავს თორმეტჯერ ისე,
რომ ჩემი პოეტურ-მეტაფორული ეტლი
კვახად გადაიქცეს...

ციური მესხიშვილი

წუხელ შავშეთი მესიზმრა

წუხელ შავშეთი მესიზმრა,
მესხთა სოფელი საიხვე,
ერდოზე ცელქი ბიჭუნა,
საკოცნელად რომ გავიხმე,
მწვანე ფერდობიც დავლანდე,
რძე მოსდიოდა კორდიდან,
ოქროსყელიან ჭრელ იხვებს,
სოფლის მამალი კორტნიდა...
კიდევ მესიზმრა უშვილო,
ტოტებშემხმარი ალვისხე,
შესციცინებდა საბრალოდ,
მსხლისგან ფეხმძიმე ბალის ხეს.
დოლისყანაში დავრბოდი,
ვეძებდი ციხის ქონგურებს,
გზაზე ოსტატი შემომხვდა,
ბავშვებს უთლიდა ჩონგურებს.
ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ,
ძველი მესხები მღერაში
და განდაგანას ცეკვავდნენ
თურქეთის მაჭახელაში.
პეპერა სტვირით უხმობდა
შავშვი წვერიდან ქორბუდებს,
მეც, სტვირის ხმაზე მივაგნე
შავი შაშვების ორ ბუდეს.
გულისსაკლავად გალობდნენ,
როგორც ცისკარზე ბერები...
დათვი ტორს თავზე იცემდა,
რომ დაეკარგა ბელები...

ჭრელი წინდები ჩაეცვა,
გორაკზე შემდგარ ნალიას,
კაკანით ეზო აეკლო,
მამლის ძებნაში ვარიას.
კარაქს მიდღვებდა დიდედა,
თოკზე ეკიდა ვარია,
პეპერას ბოძზე მიეყრდნო,
ომში დაჭრილი მხარია...
საქვეზე ჩამომჯდარიყო,
კემსავდა ხარის ქალამანს,
სურდა კვლავ შებრძოლებოდა,
მამულისათვის ყარამანს!
გამომეღვიძა! – მთლად დაღლილს,
ჭრელი პეპლების ჭერაში!
საეჭვო ცეცხლი ავარდა
თურქეთის მაჭახელაში.

დიდედ!

დიდედ! – შენ რომ ნენეი გერქვა,
პაპი! – შენ რომ პეპერა,
დღეს, ის ტაო მენატრება,
წამიყვანე ერთხელაც.
სიზმარ-სიზმარ გამოგყვები,
სულ ფეხდაფეხ დავივლი,
თუთის ძირში რომ ვიპოვო,
საოცნებო ყვავილი.
იმერეთში რომ ეძახდა,
საპოვნელას მარიკა,
გახსოვს, პაპი, რომ დავარქვით,
ჩვენს დაკარგულ ვარიკას?!..
სად არ ვძებნეთ ის სულელი,
მინდორსა თუ ყანაში,
იქ გავიგეთ ვახტანგ მეფე,
ჯვარს იწერდა ბანაში,
სადედოფლო ტახტზე იჯდა
ტურფა სითი ხათუნი,
ფანასკერტის სილამაზე,
მთელს ტაოში განთქმული...
მერე, უცებ დრო გაგიჟდა!..
გახდა ცივი და რთული,

იმ ბანაში ჩაკვდა, როცა
მესხთა სული ქართული...
გახსოვს, პაპი! – ბაღჩის ბოლოს
ხე რომ დარგე ურთხმელის?!
სიზმარში ის მეუბნება,
რაც შენ დაგრჩა უთქმელი:
ჩვენი ტაო და კლარჯეთი,
ერთიანი სულ იყო!..
აქ კი არა, – იქ მღეროდნენ
იშხნელები სულიკოს!..

ჩაძირული ტაო

(კავკასისძეების ციხეს)

ტ ა ო-კლარჯეთო, შავშეთო!
სიზმარში, შემძრეს ზარებმა!..
ვინ იცის, მსგავსი ზმანება,
რამდენჯერ დამეზმანება?!..

სიზმარში: გაღმა მხარეზე,
ცაზე ვარსკვლავი ელავდა,
ჩამოეკიდათ მთვარეზე
პაპის ნაქონი ხელადა...

ვიღაცას, ჭრელი ოდები,
კოხტად რომ გამოერანდა,
მტერს, სასიმინდეთ ექცია,
ჩვენ რომ ვხმარობდით ვერანდად!..

აღარ ტიროდა ტაოში,
მზის ჩამოქნილი სანთელი,
სანთლითაც კი ვერ მოვძებნე,
პ ა რ ხ ა ლ ი ს ახლოს ქართველი...

შემოხვეოდა იოლად
უხსენებელი, ვერაგი,
გადაეყლაპა ი ო ნ ა –
ღვთისმშობლის ჯაჭვის პერანგით...

გემის ჩაძირვას უცქერდა,
გონდაკარგული პლანეტა,

ღმერთმაც კი თავის უფლებას,
მგონი,... აქ გადაამეტა(?)!..

ჭალის საყდართან ვაგროვე,
ცრემლები მუხის კოკებით,
ბ ა ნ ა ს თ ა ნ, მუჭებით ვკრიფე
ყაყაჩო – სისხლის კოკრებით...

კიდევ, მესიზმრა ყორნები,
საყდრის კედლებს რომ
კენკავდნენ,
ტბა, ვერ გავცურე ბორნებით, –
შორია ფანასკერტამდე!..

გლოვაა ი უ ს უ ფ ე ლ შ ი,
შვილი – ეყრება, დედასა!..
საყდარი წვება წუმპეში
ციხე – დასტირის ცხედარსა!..

ჯვარზე გაუკრავთ არწივი,
შავი აცვია ქედანსა,
ჩოხას ამწყდარი ყაწიმი
დასტირის თავის მხედარსა!..

საცაა ჩამოეშლება
„კ ა ვ კ ა ს ი ს“ ციხეს ქონგური,
ვ ა ი! რამდენი მტერი მყავს?!..
ვ ა ი! რამდენი ორგული?!..

მარტოსულ ციხეს (აღწერით),
ჩემი სამშობლოს ბედი აქვს,
არვინ ჰყავს გულის დამწველი,
შეჰყურებს მთვარეს – ბნედიანს!..

ვერ შევაშველე მხარი და,
ვერც ფარი და ვერც აბჯარი,
ჰოდა, მსურს, გულში ჩავირტყა,
ფანასკერტელთა ხანჯალი!..

ალვები, თავებს იხრჩობენ,
ველარ მიდიან ო თ ხ თ ა შ ი,

საფლავებიდან (იმ შორეთს)
ისმის ტირილი ოთხ ხმაში!..

ცოტაც და ჭოროხის წყალი,
ყელში, ციხესაც წასწვდება,
გაცოცხლებულა პეპერა, –
მისი ქვითინი ცას სწვდება!..

მე კი ვერაფერს ვერ ვშველი,
წყალმა წაიღო საძვალე,
ტბაში დაეხრჩო მზეს – შველი,
როგორ ვუშველო, მასწავლეთ!..

მინდა რომ გადავარჩინო,
ციხიდან – წყალში ვეშვები...
ღმერთი, დამიდგა საჩინოდ
ცრემლები მასვა პეშვებით...

ფრთამალებს ბუდე მოშლიათ,
ვერ გაფრენილან პეპლებიც,
იხრჩობა ლეკვი – გოშია
და შველას ითხოვს ვედრებით...

მთვარემ შეღება ცა – ბაცად!
მზეც, გულსაკლავად დაგვყურებს,
ჰგონიათ, წყალმა წარგვტაცა
თამარ დედოფლის საყურე...

უმწეოს, ვერ შეგეხიდე,
მტერი, დღემდე მყავს აშარი,
ციხევ! – ცაში რომ ეკიდე,
ვერ დაგახურე ჯავშანი...

წყალმა წაიღო ყოველი,
თვით თამარ მეფის თავშალიც,
გთხოვთ, მუჭით გამომიგზავნოთ,
იმ ციხის ჩამონაშალი!..

ჭალის საყდარში მზე დამრჩა,
გაქრა, ა ხ ა ლ თ ა... ხ ა მ ზ ე თ ი,
რით გავუმშრალებ სველ ფარჩას,
რომელ მთვარით და რა მზეთი?!..

სანამ ცოცხალ ვარ, მე, ციდა,
არ მოგასვენებთ ყვედრებით:
უფალს მოვიხმობ ზეციდან,
მტერთან მებრძოლი მხედრებით!..

ქართველთა „ტ ი ტ ა ნ ი კ ი ა“,
კლდის გემს, – საყდარი ამშვენებს,
თუ მაინც ჩაიძირება,
მე გავუგზავნი მაშველებს...

მაშველმაც თუ არ მიშველა
და წყალს გაჰყვება ოცნებაც,
დამხერხეთ (!) ფიცარ-ფიცარ და
ციხეს შეუდგით ბ ო ძ ე ბ ა დ!!!...

საფარის ტყეთა სიჩუმე
(ბალადა)

ანგელოზთაც კი აოცებს
საფარის ტყეთა სიჩუმე,
ჭადარს, ქარმა რომ აკოცა,
მიველ და წავუჩურჩულე:
– შენ ხომ ათასი წლისა ხარ? –
ჰოდა, შენ გემახსოვრება,
ათაბაგების თავადთა
ტიპიკონებით ცხოვრება...
ამ ტყეში ირმებს დასდევდა,
მზესთან შემტკბარი ნათელა,
სამშობლოს ისტორიას რომ
შემორჩა თაფლის სანთელად!...
ის დადნა და სხვა განათდა,
ზეცაშიც სულ სხვა გაბრწყინდა,
საფარაშია დიდ მესხთა
მირონცხებული მთაწმინდა!...
სიზმარში მუდამ იქა ვარ,
უფლის მიწაა – ნაცნობი,
მზის კაბა ხომ იქ გამიცვდა
ფარსმანდუკებთან ანცობით...
ვინ იცის, ვისთან ცელქობდა,
ვისთან ანცობდა ნათელა,
როცა მერცხალმა სამცხეში –
ბუდე კვერცხისთვის გათელა...

ცხენთა ჭიხვინმა დააფრთხო,
ძლივს შეძლო თვალთა გახელა,
ოქროს გვირგვინზე ეწერა –
„მეფე დემეტრე“ სახელად!...
ტანკენარ ჭადარს ელდისგან
დაუსკდა მწვანე დუყები,
არისხეს სამცხის ზარები,
მდევარს მოუხმეს ბუკებით!..
მარიამობის თვე არის,
დაპურებულა ფამფარა,
უჰ, როგორ მომნატრებია,
ნათელავ, შენი საფარა!
ტაძრის სვეტთ კვლავაც ატყვია,
შენი თითების სითეთრე,
საფარა არის რომ დღემდე,
მაბერებს და თმას მითეთრებს.
ცხვარი, – თავისი მეცხვარით,
ქვაქარგულად ჰყავს ქვის კედლებს,
ბუდეს მომწყდარი მერცხალი,
უბეში შემოვიკედლე!..
ციხე-კოშკებთან ტრიალი,
გალაღებდა და გიყვარდა
მზე, ზანზალაკთა წკრიალი
საღვთოდ შეწირულ თიკანთა!
ძველი წერილი ვიპოვე
ფიქლით გატიხრულ ტიხართან
და მივხვდი რომ შენც, ჩემსავით
მზის უფლისწული გიყვარდა!..
ყაყაჩოს კაბაც ვიპოვე,
შავ ღრუბლით ნათივთიკარი,
ვიღაცას უღვთოდ დაეკლა
უენო, თოთო თიკანი...
ამას მოწმობდა წერილი,
– მეფე დემეტრეს ფირმანით...
შეჩერებულა ტაძრში
საბაწმინდაზე წირვანი...
ცეცხლი მომედო, ცოდვისგან
კვლავ შენი ცოდვით დავიწვი,
ადამის ნეკნი ამტკივდა
და ევას ბზარი ლავიწის...
იქ, შენ წყაროსთან მივედი,
მოვძებნე თიხის კოკურა,
წყაროს ვაკოცე შენს ნაცვლად,

შერცხვა და პირი მოკუმა...
ზეცის ნამცვრევი წვეთები,
მზეს ცრემლად წამოეპკურა,
ჭადრის ქვეშ ჩიტიმარინა,
გაგვიმასპინძლდა მეფურად!..
ბზუოდნენ უფლის ფუტკრები,
ძველ, არამეულ ენაზე,
ერთი პეპელაც ამიძღვა,
– ანგელოზივით ენამზე!..
იმდენი ქნა რომ მომხიბლა
და მიმიყვანა მდელომდი...
ვთქვი: როგორ შეძელ პეპელავ
ერთ დღეში შეგყვარებოდი?!..
– ერთი დღე განა ცოტაა?!
– როცა წუთია – სოფელი?! –
წამში შეიქმნა სამყარო
მარადისობის მოფენით!..
შეხედე, ტაძრის სამრეკლოს,
სამკუთხა პირამიდებით,
აღარ სურს ზარი დარეკოს,
გვემდურის პირარიდებით...
დანგრეულ ბუდეს ვუყურებთ,
ცარიელ ბუდეს მერცხლისას, –
იმ მერცხლის დედის საფლავი,
გუშინ შევღებე ვერცხლისფრად!..
გაფრინდნენ ჩვენი მერცხლები,
შორს, როგორც ემიგრანტები,
თბილ ბუდეს ეშურებიან,
მწვანე ბარათის გრანტებით!..
აქ დარჩათ ტკბილი სამშობლო,
ნახანძრალ-ნაპარტახალი...
ვაითუ, ესეც, დაკარგონ,
როგორც ხანძთა და პარხალი!..

წითელკაბით

(სალაღობო)

„ნ უ რ ი ს ტბასთან ნეკერჩხლები,
წითელ კაბებს იხდიან“...
შუაღამით, ვარსკვლავებთან,
ქორწილს გადაიხდიან!..

ვინ არის ის ბედნიერი,
უპატარძლო სასიძო?!..
აჭარიდან – ჩემს მესხეთში
მინდა ჩამოვასიძო!..
დანდალოში დამპატიჟეს,
მერე მაყრად ქედაში,
შავი შაშვი გადავცვალე –
მთაში გაზრდილ ქედანში.
მახარობელს მისახსოვრეს
აჭარული წინდები,
ჩავიცვამ და ხვალ საღამოს
შენთან დავქორწინდები!
დიდი ნენეს საჩეჩელო,
ბაბაის ხმლით ნალესო,
წინდები რომ მომიქსოვე
უნდა მოგეალერსო!..
„ნურის ტბასთან ნეკერჩხლები
წითელ კაბებს იხდიან“!..
მე ჩავიცვამ შუაღამით,
ქორწილს გადამიხდიან...
ვინ არის ის ბედნიერი,
უპატარძალო სასიძო?
აჭარიდან – ჩემს მესხეთში,
მინდა ჩამოვასიძო!!!

ნატალია ჯეიტრიშვილი

CARPE DIEM 4

ჩემს ეზოში ბავშვი დაეცა
მუხლებგადატყავებული შემომყურებდა თვალცრემლიანი
და მე შემნატროდა
მე კი – მას.
მინდოდა მეთქვა აეტანა ტკივილი და
მანამ ერბინა თუ ეფრინა, სანამ კინეტიკური ენერგია ეყოფოდა,
სანამ სული ისე არ დაუმძიმდებოდა რომ
ფრენას ვეღარ შეძლებდა,
რომ მყარად სიარული არაა თვითმიზანი
და მუხლის გადატყავება ვერ შეედრება სულისას,
მაგრამ დავდუმდი.

ჩემს უბნის მაღაზიაში
თინეიჯერმა ჩიფსი აწაპნა.
სალაროსთან შემომყურებდა მავედრებელი თვალებით
და ალბათ, მე შემნატროდა,
დეიდას გოლდ ბარათით ხელში,
მე კი მას – ჩიფსით.
მინდოდა მეჩურჩულა მისთვის
რომ მე უფრო დიდი ქურდი ვიყავი, ქალი რომელიც
დროს და ბედნიერებას პარავს საკუთარ თავს,
რომ აქლემის და ნემსის ქურდი ერთი არაა,
რადგან შეიძლება ეს ნემსი იმ მკერავისაა,
ვისი ერთადერთი მარჩენალიც ისაა.
მაგრამ, ვიყიდე საწამლავის ულუფა და განვშორდი.
სადღაც სკოლაში გამოცდას ვატარებდი.

ბავშვები შემომყურებდნენ და შემნატროდნენ,
მე კი – მათ.

ნეტა ყოველდღე გამოცდას ვაბარებდე, ოღონდ
ცხოვრებისეული გამოცდები არ მედგას რიგად,
საპასუხისმგებლო და საშიში, რომელში ჩაჭრისასაც,
ხელმეორედ გადაბარების შანსი არ გვეძლევა.
მინდოდა მეყვირა მათთვის რომ
დაეჭირათ მომენტი, არ გაეფლანგათ დრო და
დამტკბარიყვნენ ბავშვობით,
მაგრამ ავიყვანე თავი ხელში,
მოვირგე სიმკაცრის ნიღაბი და გავაგრძელე
მერხებს შორის წარბაწეულმა სიარული.

ჩემს ცხვირწინ პოლიტაქტივისტი დააკავეს.
მან წამით შემომხედა და მომესმა „ეჰ, შენ რა გიჭირს“ –
მომეჩვენა, ჩემი ცხოვრება ინატრა –
მშვიდი რუტინული ყოველდღიურობა...
მაშინ როცა მე იმ წამს მის ადგილას ყოფნას ვნატრობდი.
მინდოდა ხმა მიმეწვდინა,
მომენახულებინა და მეთქვა რომ
ის გაცილებით უფრო თავისუფალია
გისოსებს მიღმა,
ვიდრე მე თავისუფლებაში.
განა გისოსები შეედრება სხეულისა და მოვალეობების ციხეს?
განა თავისუფლება ქუჩებში, ველებში და მინდვრებშია?!
მაგრამ შემრცხვა, ცოტაც დამეზარა და გადავიფიქრე.

მერე კი მივხვდი, რომ...

ჩემს ქალაქში ყველა ყველას შეჰნატრის.
და
შეჰნატროდე ცოდვა როდია?!
სხვისი ტყავი ხომ უფრო თბილი და ფაფუკია?!
ბედნიერებისკენ სწრაფვა – ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილება –
განა რაა ამაში შესაცხადი ან საოცარი?!
მაგრამ სევდიანი ნამდვილად არის, რადგან...

ჩემი ქალაქი აუხდენელი ოცნებების და ნატვრების ქალაქია,
სადაც თოვლის პაპას და კიჭა ფერიას არ მოაქვთ საჩუქრები,
სადაც აფთიაქებში სულის ტრანკვილიზატორი დეფიციტშია.
სადაც დედებს უკვდებიან სულით ნაბერი ბავშვები...
სადაც უძლური ხარ ბევრ რამესთან და ამ უძლურების პატიება რთულზე რთულია!
სადაც ბიძიები ერთნიშნა ნომრებში იხდიან ხუთნიშნა თანხებს,
მაშინ როცა პატარები შიმშილს ებრძვიან.

სადაც იმათ, ვისაც ვუხდით ლუკმის მეხუთედს
სულაც სრულადაც და სულგრძელად ფეხზე ვკიდივართ
სადაც პოეტებს მოუმარჯვიათ ხმლებად ლექსები
და უჩინმაჩინ, მოქრიალე დრაკონს ებრძვიან.
სადაც ეზოში მწოლიარე მყაყე ლოთ საშას
დედა ჰყავს სახლში – თვალები რომ ჩაუშავდა ღამის თევისგან.
სადაც ამდენი სადაცაა, ამდენი „მაშინ“, ამდენი „როდის“, „როგორმე“
და ამდენი სევდა.
ჩემი ქალაქი გადამფრენი ჩიტებისაა
და მეც გადამფრენ ჩიტად ყოფნას ვნატრობ დღეიდან.

12.10.2020

ჩემი შვილის თმა

„ჩემს შვილს გამხმარი მანდარინისფერი თმა აქვს.
მისი თმის ზედაპირზე მოციალე ფოტონები,
მის კულულებში მოთამაშე ათინათებად...
ეს ერთადერთია რაზეც მინდა ვიფიქრო ახლა.
ახლა, როცა თურქი დალაქი მის ლამაზ, გრძელ, პრიალა და რბილ ნაწნავს ძირში აჭრის,
თავისი უზარმაზარი, შემზარავი, ჟრუანტლის მომგვრელი რკინის მაკრატლით.

ჩემს შვილს გუდიაშვილის ნახატი ქალების მაგვარი თითები აქვს.
გრძელი, ბოლოში აპრეხილი...
ამ ლამაზი თითებით უყვარს თავისი კულულების თამაში.
ახლა ამაზე მინდა ვიფიქრო, დავხუჭო თვალები და არ ვუყურო,
სასტიკი თურქი დალაქი როგორ პარსავს,
პრიალა სამართებლის საშიში მოძრაობით,
მის თავთუხისფერ თმას.

ჩემს შვილს დიოს და ბრუს დიკენსონის სიმღერები უყვარს.
ყურსასმენებით ფანჯარაში მომზირალი
ბევრჯერ გართულა ოცნებებში და გაჰპარვია დრო.
ახლა მის ოცნებებზე მინდა ვიოცნებო...
მისი ოცნებები არ მინდა დაშრეს, არ მინდა დასრულდეს...
როგორც ამ დღეებში – სულ რომ სძინავს, რეალობისგან გასაქცევად – როგორც ამიხსნა.

ჩემს შვილს ფიქრები, გეგმები და ოცნებები უყვარს.
მის მიხაკისფერ, გრემა თვალებში ვარსკვლავები რომ აკიაფდებიან,
ვხვდები რომ ჩვენთან არაა და სადღაც დაფრინავს, ფერად სამყაროში.
მის ოცნებებში მინდა ვიფრინო ახლა, ოღონდაც გუშინდელი დღე დავივიწყო
– მისი თმები, გახლართული ჩემს თითებში,

– დაუსრულებლად, შემოდგომის ფოთლებივით რომ ცვიოდა მისი თავიდან...
და აბაზანამ როგორ მიიღო სასტიკი კუბის ფორმა, ჩემი იმედების კუბოდ როგორ იქცა და გამყინა ცხელ წყალში – პარადოქსი.
როგორ ვმალავდი თმებით სავსე ხელებს მისი ლამაზი თვალებიდან და ვლოცულობდი ერთს:
გამაძლებინე უფალო!

ჩემი შვილი ძლიერი გოგოა! ჩემზე ძლიერი, ბევრზე ძლიერი და
ის არ იმჩნევდა ჩემს ხელებს, თმით სავსე ხელებს ვითომც ვერ ხედავდა.
არც ახლა იმჩნევს ცივ სამართებელს მის ნაზ კანზე.
მხოლოდ 3 დღით არჩია დუმილი და მთხოვა გამეგო მისთვის.
მე კი მართლა რკინის კი არ ვარ?!
და მეც, ფოლადისად რომ მომაქვს თავი და დამჭკნარი პომიდორიც ვერ ვარ,
მისი ძილიანობისას მის მაგივრად ვესაუბრებოდი ჩემს საცოდავ თავს.
მის მაგივრად მივმართავდი და შევაჩვენებდი ყველა წმინდანს, ვინც მისი დედის ლოცვა ვერ შეისმინა და მისი დასამართნი უბედურებანი მის დედას არ დამართა.
დიდი ხანია დედამისი „ყველა დედას შვილი კარგად უმყიფეო“ ასე ლოცულობს.
ახლა კი მხოლოდ ძალას სთხოვს და რწმენის შენარჩუნებას!

ჩემს შვილს იასამნისფერი სული აქვს.
მრავალფერადი და სურნელოვანი იასამნები უყვავიან.
მაშინაც კი, როცა გადამეტებულს უწოდებს ჩემს სიკეთეებს,
მაშინაც, როცა ირონიით უყურებს ჩემს ლოცვას და მხოლოდ
ჩემი ხათრით იწერს პირჯვარს და ჩემი გულისთვის წაიბურტყუნებს
„უფალო შემიწყალენ“, მაშინაც უფრო ღვთისნიერია, ვიდრე ნებისმიერი მორწმუნე და
მომლოცველი დედამიწის ზურგზე.

ჩემს შვილს დიდი საქმეები აქვს წინ.
მე ჩემი მოვრჩი.
სწორედ ამიტომ,
ახლა, ოღონდაც ფიქრებით მაინც სადმე გავიქცე და...
ჭაღარა თურქ დალაქს, რომელიც არც ისე სასტიკია სინამდვილეში, როგორც აქამდე
წარმოგიდგინეთ,
არც მისი სამართებელი თუ მაკრატელია იმდაგვარად შემზარავი, მე რომ მომეჩვენა,
ვართმევ ჩემი შვილის ლამაზ გრძელ ნაწნავს და მაგრად ვიხუტებ გულში,
რათა კვლავ, რათა ისევ, სადღაც იისფერ მორევში გადავეშვა და
ჩემი შვილის ოცნებებზე ვიოცნებო“.

რამაზ ხანდახე

* * *

ვსუნთქავ ხანდახან, იშვიათად ანუ დრო და დრო,
ვიჭრი, ამ თითებს საპირჯვაროდ შუბლთან მიტანილს
ანუ სამყოფელს, ქვიშის საათს, მხოლოდ ნებას ვთხოვ,
გამოვიძახო სულის ზეცად ლანგრით მიმტანი.
ანუ ჩამოვხსნა, ყველა მხრიდან გემზე აფრები,
ღუზა ჩავუშვა, სანაპიროს ახლოს მარჯვნიდან,
სანამ ყველაფერს მიაწერენ ამ ჩემ გაფრენას,
სიცოცხლისათვის სისხლს ვაწვეთებ პეპლებს მაჯიდან.
იქნებ ვაცოცხლო, ამ სამ დღესთან, კიდევ სამი დღე,
იქნებ მოიკლას, ამ სიცოცხლის ჟინი პეპლური,
უნდა პეპლების გვირილებთან ტრფობით გავერთო
და დღე გავლიო პოეტური ანუ მეფური.
ანუ დავწერო, ტკივილზე და სახლი გავყიდო,
ღამე გავტეხო ხეზე მჯდარი ჩიტის სმენაში,
და ამ ლექსებმა, სიმღერებმა, სუნთქვამ გამყიდოს
თუ შვება არის, თივის ზვინში ნემსის ძებნაში.
ქუჩის ბოლოში ნამთვრალევი, როცა მოვლანდავ
შენი ხვეული თმების თქეშს და ტანის სითხელეს,
ახლა ვხვდები, რომ მირჩევნია ყველა მოვლენას
ბოთლი, ღვინო და ეს უძილო,
მძიმე,
სიმთვრალე.
ანუ სანამ ვარ, სანამ მთვრალი და კიდევ ანუ,
მრავალწერტილებს გადავაქცევ მძიმე წერტილად
და სანამ ხელზე კვლავ შემომრჩა თითები სამი,
ხვალ შევეცდები აღსარება, რომ ვთქვა მარტივად.

* * *

ჰგავს უშენობა როიალზე დამწვარ კლავიშებს;
ჰგავს, ეს დღეები, სიმარტოვის პირველ განთიადს...
გარეთ ისე წვიმს, რომ პატრონი ძაღლს არ გაუშვებს
და ჩემს ოთახში სიგარეტის ბოლი ანთია.
დაჯვარულ მაჯებს, ჩემო კარგო, სისხლი გაუშრა;
მე კი – ეს სული სხეულიდან რით ვერ გავუშვი,
რომ შევეგუო სიმარტოვეს, ეს რომ დავუშვა,
აზრი მითხარი ამ სიცოცხლის შემდეგ რაუნდში?!
დაუშვა ზეცამ ეს წვიმები სულს, რომ ალბობენ,
და დედამიწას სხვანაირი სუნი აქვს ახლა;
ამ გულს წვეთების სიხშირე და სითბო ათბობენ,
დღეს ნაადრევად ამ წვიმებსაც დაეწყოთ დაღლა.
მაგრამ მაინც წვიმს და პატრონიც ძაღლს არ გაუშვებს,
ჩემს ოთახში კი – ბოლო ღერის ბოლი ანთია...
ჰგავს უშენობა როიალზე დამწვარ კლავიშებს,
ჰგავს ეს დღეები სიმარტოვის პირველ განთიადს

* * *

– შენზე დავწერო?! გეკითხები, ნუღარ იცინი.
ნუ გააწითლებ მაგ ლოყებს და თვალებს ნუ მალავ.
– კი, დამიწერე, მეუბენები, და თან სიცილით;
მე კი გპასუხობ – დაგიწერ, და მაგასაც ნახავ.
ნახავ თუ გრძნობა გულის ფეთქვას როგორ აჩქარებს,
თუ როგორ ერწყმის უძილობა დილით ალიონს.
და ეს დღეები უშენობით როგორ მადარდებს,
როგორ ვეწევი ამინდებს, და სულში ყალიონს.
როგორ, მტანჯავენ შენი თმების ხეთა შრიალი,
როცა უღმერთოდ, სახის ნაკვთებს ურცხვად გიმალავს.
და რომანტიკულ შუალედში მინდა ღრიალი,
რადგან თვალები, შენი მსგავსი ჯერ არ მინახავს...
რადგან თვალებით, ყველა გრძნობის ჰგავდი დედოფალს.
და შენ წინაშე, ანგელოზნი მათ ფრთებს კეცავდნენ...
ყველას უყვარდი, ვინც გხედავდა ყველას უყვარდი...
მაგრამ მოსვლას და შენთან ჩურჩულს ვეღარ ბედავდნენ.
მეკი გავბედე, მოვედი და ვამბობ მიყვარხარ!..
მიყვარს მაგ ტუჩის სიმწიფე, და ლოყის სიწითლე...
სწორედ ამ გრძნობას სამყაროში გიდად მივყავარ,
შენ დამიბრუნე ამ სხეულში სულის სიმშვიდე.

ზურა ინასარიძე

* * *

ქარაფის ქვემოთ დაქროდა ქარი,
ქირქაწაქცეულ ქვევრივით სუნთქავს.
ოქროა ქალი და საფიქრალი,
უქადაგიათ, უქიათ, უთქვამთ.

წამოწვა წამი წვერზე წიწვების,
მიაწყდნენ წამწამს წუწკი წვიმები.
წაწალთან წოლის წუთით ვიწვები.
წახვალ წაწანწკვლით, აწიწინდები.

ჩამოიყოლა ჩანჩქერმა ჩეჩქი,
ჩამოეშალა ჩადრი მარჩიელს.
ჩაფიქრებული ჩირაღდანს შევრჩი,
ჩემს ჩურჩულებში აღმოგაჩინე.

მიყვება მდორედ მიმინო მინდორს.
მითვლიდა თურმე მთვარე მიმიკებს.
მეც მინდა ჩუმად გამოგეკიდო,
მაგრამ, შენ მაინც გამაქილიკე.

შიშველი შვრია შრიალებს შიშით,
შაშპრაზე შურით შეშლილა შრეში.
დამშვიდობებას, შორიდან გიშლი.
შურთხის მშვენება შევნიშნე შენში.

გულმა გუგუნით გასცა განგაში,
გაზაფხულიდან გავყევ ვაგონებს.
განა, მაგიდის წიგნად გადაგშლი.
განა, გალობის ხმას გაგაგონებ.

დადუდღუნობენ დიდი დარდები,
დადუმდებიან დიდების დამდეგს.
დღეიდან, ჩემში დაბინავდები
და ეს იცოდე, გჯეროდეს, გწამდეს.

მამცნეს გედებმა, რომ უკვე გვიან
ყოფილა, შენთვის მჭირდები მეთქვა.
რომ თურმე, სხვისი „ძვირფასო“ გქვია
და შენშიც სხვისი სამყარო ფეთქავს.

ბოლო ლექსი

ერთჯერადია ყველაფერი არაფრის გარდა,
არაფერია საკუთრება ჩემი რომ ჰქვია.
შარშანდელივით ეს ზამთარიც მარტივად დადგა,
ჩვენც შეგვახვედრებს განთიადი, ადრე თუ გვიან.

მერკური მზის შუქს ჩამოუდგა, გავყურებ ბეჭედს,
ამ დაბნელებით მინდა ჩვენი ნიშნობა მოვრთო.
თბილისურ დილას თოვა მოჰყვა და მაინც ვერ დებს,
ქარი ნეკერჩხალს აბორტივით აცლიდა ფოთოლს.

მე სხვის სიშორეს, გულში ისე არ დავიტევდი,
ყოველ ღამე რომ, უცხო სახეს სიზმრად მოველი.
მგონია ხშირად, ოკეანის მარგალიტები
შენი თვალები, ცრემლისთვისაც მიუწვდომელი.

ხელები წერით გადავღალე და მაინც სდუმან,
გულის გულისთვის, გულის ხათრით, გულის წვალებით.
ამ ტაეპებით კიდევ ერთხელ, მე მოვალ სტუმრად
და მერე, ლექსსაც დავასრულებ გარდაცვალებით...

* * *

სამომხმარებლოდ გადაიქცა გული დაღლილი,
ცდილობ ოცნების სათავდებო ფიცი გატეხო.
შენი ცრემლები იქნებიან ყელში ჩაღვრილი,
ყველა შეხების, ყველა კოცნის პირგასამტეხლო.

ალბათ სფინქსივით გაძეგლებას ერთი გაფრენით,
სჯობს რომ დავტოვო ეს პლანეტა სულის ღრიალით.
ფიქრები შენით ათასი გზის ნაალაფევი.
შიშნეულია ამ ცხოვრების მიწყივ რიალით.

წახვედი მაგრამ ნაბიჯები დაგრჩა სილაზე,
არც მოქცევას და აღარც ტალღებს არ სურთ აყარონ.
ხელის გულებზე მეტეოდა შენი სინაზე,
როგორც ჯვარცმაში დაიტია ღმერთმა სამყარო.

ვცდილობთ და ვიბრძვით... თუმცა მერე როგორ ვნებდებით,
მარადიული არის მხოლოდ მოგონებები.



ჯონ მილტონი

„განათლების შესახებ“

სწავლულ სამუელ ჰარტლიბს
დაწერილია ოცი წლის წინათ

ბატონო ჰარტლიბ,

დიდი ხნის წინ დავრწმუნდი, რომ როდესაც ისეთ რამეს ვამბობთ ან ვაკეთებთ, რომელიც დამახსოვრებისა და მიბაძვის ღირსი გახდება, ჩვენ უნდა გვამოძრავებდეს მხოლოდ და მხოლოდ ღმერთისა და კაცობრიობის მიმართ სიყვარული. ახლა მე გწერთ განათლების სფეროს გარდაქმნის შესახებ. ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდებული და კეთილშობილი საქმე გახლავთ მათ შორის, რაზედაც ღირს ადამიანმა რომ იფიქროს. ეს საჭიროა ჩვენი ერისათვის. უამისოდ იგი დაიღუპება. ამ დროისათვის მე ჩემს აზრს სრულყოფილად არ ჩამოვაყალიბებდი, რომ არა თქვენი გულწრფელი თხოვნა და სერიოზული შეგონებანი. ამჟამად ჩემი გონება მიმართულია იმ საკითხებისაკენ, რომლის ცოდნა და გამოყენება სხვას არაფერს მოგვიტანს, გარდა ჭეშმარიტების განდიდებისა და მშვიდი, პატიოსანი ცხოვრებისა. პირადი მეგობრობის ვერანაირი წესი და კანონი ვერ მაიძულებს მე, რომ შევიცვალო ჩემი ადრინდელი შეხედულებანი, თუმცა მე კვლავ ვხედავ იმ მიზნებს და მოქმედებებს, რამაც თქვენს მიმართ ჩემი პატივისცემა გამოიწვია. ეს გახლავთ თქვენი შესანიშნავი გზავნილი შორეული ქვეყნიდან. იგი ჩვენს კუნძულს უდიდესი სიკეთისა და წარმატებისაკენ უბიძგებს. როგორც მე მსმენია, თქვენ ასეთივე რეპუტაციით სარგებლობთ ყველაზე განათლებულ ავტორიტეტთა შორის, რომელთა სიბრძნეც საყოველთაოდ არის აღიარებული; რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ცნობილ მიმოწერაზე, რომელიც თქვენ უცხო ქვეყნებთან გაგაჩნიათ. ასევე თქვენს მიერ შესრულებულ არაჩვეულებრივ სამუშაოზე და იმ შრომისმოყვარეობაზე, რომელსაც თქვენ ავლენთ როგორც აქ, ჩვენს სამშობლოში, ისე – ზღვის გადაღმა, შორეულ ქვეყანაში ყოფნის დროს. ეს ან ყოვლისშემძლე ღმერთის ნებით ხდება, ან ბუნების ამოუცნობი ძალით, რომელიც ასევე ღმერთის შემოქმედებაა. მე არ შემიძლია ვიფიქრო, რომ ისეთი რეპუტაციის მქონე, პატივსაცემი და დაფასებული ადამიანი, როგორიც თქვენ ბრძანდებით, დაკარგავდით თქვენს გამჭრიახობას და რაიმე უვარგის ან

ზედმეტად მოსაწყენ არგუმენტს მოიშველიებდით. მაგრამ თქვენ აღიარებთ, რომ მიიღეთ უდიდესი კმაყოფილება იმ დისკუსიებისგან, რომლებიც ჩვენ გვქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით. თქვენ მზადყოფნას გამოხატავთ და თითქმის დარწმუნებული ხართ, რომ იმას, რასაც თქვენ ჩემგან ითხოვთ, მე სამომავლოდ არ გადავდებ. ამ საქმის გადადება არც შემიძლია და არც შეიძლება, იმდენად დიდია ამჟამად მისი განხორციელების საჭიროება. ჩვენ დიდი შესაძლებლობა გაგვაჩნია რომ შევეცადოთ იმის გაკეთებას, რაც ღმერთს უკვე წინასწარ აქვს განზრახული. მე არ შევეწინააღმდეგები თქვენს მიერ ჩემზე დაკისრებულ ვალდებულებას, იმის მიუხედავად, ადამიანურია იგი თუ ღვთაებრივი. თქვენი თხოვნის თანახმად, მე წერილობით გადმოგცემთ იმ აზრებს, რომლებიც აქამდე ჩემს გონებაში უჩუმრად არსებობდნენ. ეს გახლავთ ჩემი მოსაზრება განათლების უკეთესი სისტემის შესახებ. იგი მოცულობით და შინაარსით საკმაოდ დიდია, მაგრამ მისი მიღწევა და განხორციელება ბევრად მოკლე დროში შეიძლება იმასთან შედარებით, რაც აქამდე პრაქტიკაში ყოფილა. ვეცდები სათქმელი მოკლედ გადმოვცე. რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის უკიდურეს საჭიროებებს ლაპარაკზე მეტად მოქმედება სჭირდება. მე გაგიზიარებთ იმას, რაც შევისწავლე ძველი, სახელგანთქმული ავტორებისაგან. ჩემი ინტუიცია მკარნახობს, რომ მე უკვე აღარ უნდა ვეძებო და ვიკითხო სხვადასხვა ენის სწავლების შესავალი ნაწილები ანდა თანამედროვე პედაგოგიკა. მე რელიგიური და საერო ცოდნის ძიებაში, მასზე შრომასა და ფიქრში მრავალი წელი გავატარე და მსურს გაგიზიაროთ იმ დაკვირვების რამოდენიმე შედეგი, რომლებიც მე საუკეთესოდ მიმაჩნია. თუ თქვენ მიიღებთ და გამოიყენებთ ჩემს განახლებულ ხედვას, იგი თქვენს განკარგულებაშია. განათლება დასრულებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ მაშინ, როცა შევძლებთ გამოვასწოროთ ჩვენი პირველი წინაპრების (გულისხმობს ადამს და ევას) ღვთისადმი დაუმორჩილებლობის შედეგები. ამისკენ მიმავალი გზა გახლავთ ღმერთის შესახებ ცოდნის მიღება, მისი სწორი გზით შეცნობა, ამ ცოდნაზე დაყრდნობით უფლის შეყვარება, მისი მიბაძვა და მცდელობა, რომ მისი მსგავსი გავხდეთ, იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია ადამიანისათვის. ჩვენმა სულებმა ჭეშმარიტი სათნოება უნდა შეიძინონ და თუ მას ზეციური რწმენის მადლთან გავაერთიანებთ, მივიღებთ უმაღლეს სრულყოფილებას. ადამიანში ცნობიერება ასე თავისთავად ვერ გაჩნდება. ცნობიერება მხოლოდ ისეთ საგნებს აღიქვამს, რომლებიც შეიძლება ჩვენი გრძნობის ორგანოების საშუალებით აღვიქვათ – დავინახოთ, მოვისმინოთ ან შევეხოთ. ადამიანს უჭირს უხილავი ცნებების იოლად აღქმა და ღმერთის შეცნობამდე იგი ასე ადვილად ვერ მიაღწევს. თუმცა იგი ხილულ მიწიერ არსებებს თანმიმდევრულად და გულმოდგინედ შეისწავლის. ამიტომაც ღმერთის შესახებ ცოდნის მისაღებად კეთილგონივრულად უნდა გამოვიყენოთ იგივე მეთოდი. მე ვხედავ, რომ ყველა ერს არ გააჩნია სწავლების ყველანაირი მეთოდის გამოყენებისათვის საკმარისი გამოცდილება და ტრადიციები. ჩვენ ძირითადად გვასწავლიან იმ ხალხების ენებს, რომლებიც ითვლებიან ყველა დროის უბრძენეს და შემდგომ ამისა, ყველაზე შრომისმოყვარე ერებად. ენა მეტი არაფერია, თუ არა ინსტრუმენტი, რომელიც გადმოგვცემს ინფორმაციას, რომლის ფლობაც ჩვენთვის სასარგებლოა. და მიუხედავად იმისა, რომ ლინგვისტმა უნდა იამაყოს საკუთარი თავით, თუ იგი ფლობს ყველა იმ ენას, რომლებიც ბაბილონის გოდოლის დანგრევის შემდგომ მსოფლიოში წარმოიშვა; თუ მას არ შეუსწავლია რაიმე ღირებული ამ ენების გამოყენებით, ისევე, როგორც მან სიტყვები და ლექსიკა შეისწავლა, იგი ვერანაირად ვერ ჩაითვლება განათლებულ ადამიანად, ისევე, როგორც ნებისმიერი გლეხი ან ვაჭარი, რომელიც მხოლოდ თავის მშობლიურ დიალექტს ფლობს კარგად. ამის შედეგად ჩნდება ბევრი შეცდომა, რომელთა გამოც სწავლა ზოგადად ასეთ უსიამოვნო და წარუმატებელ საქმიანობად არის ქცეული. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ჩვენ ძალიან შეუფერებელად და არასწორად მიგვაჩნია სიცოცხლის შვიდი ან რვა წლის ასე უბრალოდ დაკარგვა მხოლოდ იმისათვის, რომ ცოტაოდენი საცოდავი ლა-

თინური ან ბერძნული შევაკოწიწოთ, მაშინ, როცა შეიძლება ეს ენები სხვა მეთოდის გამოყენებით ადვილად და სასიამოვნოდ ვისწავლოთ მხოლოდ ერთ წელიწადში. ცოდნის მიღებას ძალიან აფერხებს სკოლებსა და უნივერსიტეტებში დაკარგული წლები, უმეტესწილად უსაქმურად გატარებული არდადეგები და ასევე ის დრო, რომელსაც ბავშვები მასწავლებელთა უაზრო მოთხოვნების დაკმაყოფილებაში ფლანგავენ. ბავშვების ჯერ განუვითარებელ გონებას აიძულებენ შექმნან თხზულებები, ლექსები და ორატორული გამოსვლები, მაშინ, როცა ეს საქმიანობა მხოლოდ მომწიფებული გონებისათვის არის განკუთვნილი. ეს ყველაფერი შეიძლება იყოს შემაჯამებელი სამუშაო მხოლოდ იმ გონებისთვის, რომელიც ხანგრძლივი კითხვისა და დაკვირვების შედეგად უკვე სრულად განვითარებულია და შეთვისებული აქვს ელეგანტური მაქსიმები და მეცნიერების სხვადასხვა დარგში არსებული მრავალმხრივი გამოგონებები. და თუ ეს საცოდავი ახალგაზრდები წარმატებას ვერ აღწევენ, ეს მათი ბრალი სრულებითაც არ არის, ისევე როგორც ადამიანის ბრალი არ შეიძლება იყოს ცხვირიდან სისხლდენა, რადგან ეს ბუნებრივად ხდება და ადამიანს ამისი კონტროლი არ შეუძლია. მათი მეცადინეობა შეიძლება შევადაროთ ნაყოფის მოწყვეტის მცდელობას მაშინ, როცა ის ჯერ ისევ მკვახეა. ისინი ითვისებენ უვარგის ლათინურ ფრაზებს, ბერძნულ იდიომებსა და თვითნებურად ნასწავლ ანგლიციზმებს, რომლებიც წასაკითხად არასასიამოვნო და საძაგელია. თუმცა მათ წაკითხვას გვერდს ვერ ავუვლით იმ ავტორებთან ერთად, რომელთა წიგნებიც უნდა დავღეჭოთ და გადავყლაპოთ. ისინი უგემურნი არიან, მაგრამ თუ გარკვეული მომზადებისა და მეტყველების საფუძვლის შექმნის შემდეგ ენის ზოგიერთი კონსტრუქცია მათ მეხსიერებაში დარჩება, ეს მოსწავლეებს მიიყვანს პრაქტიკამდე, რაც რამოდენიმე მცირე მოცულობის რჩეული წიგნის ზედმიწევნით შესწავლას გულისხმობს. ამის შემდგომ ისინი დაუყოვნებლივ განაგრძობენ სასარგებლო საგნების შინაარსის გაცნობას, სათანადო თანმიმდევრობით შეისწავლიან ხელოვნებას. ამით სტუდენტები სწრაფად შეძლებენ მათ მიერ შესწავლილი ენა პრაქტიკაში გამოიყენონ. მე ამას მივიჩნევ ენების სწავლის ყველაზე რაციონალურ და შედეგიან გზად და დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენ ახალგაზრდობის წლებს ნაყოფიერად გავატარებთ და ღმერთთან მართალნი ვიქნებით. რაც შეეხება ხელოვნების სწავლების ამჟამად მიღებულ მეთოდს, მე მიმაჩნია რომ ეს უნივერსიტეტების უძველესი შეცდომაა, რომელიც ჯერ არ არის სრულად გამოსწორებული ბარბაროსული ეპოქის სქოლასტიკის უცოდინარობის შემდგომ. იმის მაგიერ, რომ სწავლება ხელოვნების მარტივი დარგებიდან დაეწყოთ, რაც ასე ცხადი და ჭკუასთან ახლოა, ახალბედა სტუდენტებს, რომლებიც ჯერ ასეთი დონის ცოდნის მისაღებად მზად არ არიან, ასწავლიან ყველაზე ინტელექტუალურ აბსტრაქციებს ლოგიკაში და მეტაფიზიკაში. სტუდენტები ახლახანს გრამატიკის წყალმარჩხ ადგილებში სულელურად იყვნენ გაჩხერილნი, სწავლობდნენ რა რაღაც საცოდავ სიტყვებსა და კონსტრუქციებს, და უეცრად აღმოჩნდნენ სრულიად სხვა გარემოებასა და კლიმატურ პირობებში. აქ ისინი თავიანთი არასტაბილური და არასაიმედო ცოდნით, დაბნეულნი და გაურკვევლობაში მყოფნი ბრმად მიიკვლევენ გზას და აქეთ-იქით ეხეთქებიან მათთვის სრულიად გაუგებარი საკამათო საკითხების სიღრმეებში. ეს, უმეტეს შემთხვევებში, სწავლის მიმართ სიძულვილსა და ზიზღში გადაიზრდება. ისინი მოტყუებულნი რჩებიან უაზრო ცნებებით და არათანმიმდევრული და მათთვის გაუგებარი საუბრებით, მაშინ როდესაც მათ მიმზიდველი და ღირებული განათლების მიღების მოლოდინი ჰქონდათ. სიღარიბე ან ახალგაზრდობის წლები მათ დაუყოვნებლივ უბიძგებს სხვა გზას დაადგნენ. ისინი ხშირად მოექცევიან ხოლმე მეგობრების გავლენის ქვეშ. ან კიდევ ამბიციური, მერკანტილური, მაგრამ უმეცარი მინისტრის კარიერის გაკეთებისაკენ მიისწრფვიან. ზოგიერთი ახალგაზრდა კანონის მსახური გახდება. მათი მიზნები უნდა ემყარებოდეს ბრძნულ განჭვრეტას და სამართლიან თანასწორობას. მათ უნდა იმოქმედონ ღვთის ნების შესაბამისად და არა ისეთი გზებით, რომლებიც ემსახურება მათ

ეგოისტურ ინტერესებს. მაგრამ განათლებას არ მოუმზადებია ისინი ამ მიზნებისათვის. ამის მაგიერ ისინი იყენებენ „სამართლებრივ“ ენას, აჭიანურებენ საქმეებს და მხოლოდ საკუთარი ჯიბის გასქელებაზე ფიქრობენ. სხვები სახელმწიფო სამსახურისაკენ მიისწრაფვიან, მაგრამ ისინი იმდენად უპრინციპონი არიან სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის საკითხში, რომელიც არასოდეს შეუსწავლიათ, რომ მლიქვნელობა, სასამართლო თაღლითობა და მონარქიის ტირანიის გამამართლებელი აფორიზმები უმაღლეს სიბრძნედ მიაჩნიათ. მათ უნაყოფო და უსიცოცხლო გულებში ფესვგადგმულია უპატიოსნება, რაც განათლების ამჟამინდელ სისტემაში მორალისადმი უყურადღებობით არის გამოწვეული. ამიტომ ასეთი ადამიანები ამორალობის მონებად არიან ქცეულნი, რისგანაც, ჩემი აზრით, ვერასოდეს გათავისუფლდებიან. სხვები უფრო მეტად სასიამოვნო და მსუბუქი განწყობით და ზერელე სულიკვეთებით გადიან პენსიაზე. უზრუნველობისა და ფუფუნებისაგან სიამოვნების მიღებაზე უკეთესი ამქვეყნად არაფერი ეგულებათ. თავიანთ ცხოვრების დღეებს დროსტარებასა და მხიარულებაში ატარებენ. ეს ნამდვილად ყველაზე ბრძნული და უსაფრთხო გზაა, ვინაიდან ისინი იმ პატიოსნებითა და მორალური სიწმინდით ვერ დაიკვეხნიან, რაც ქრისტიანს უნდა ახასიათებდეს. ეს სკოლებსა და უნივერსიტეტებში მათი უსარგებლოდ გატარებული ადრეული ახალგაზრდობის ნაყოფი გახლავთ. უკეთესი განათლება რომ მიეღოთ, ისინი შეძლებდნენ ყოფილიყვნენ სამართლის ღირსეული მსახურები. ჩვენ უმეტესწილად სწორედ ასე ვიქცევით – შევისწავლით უბრალო და უმნიშვნელო სიტყვებს ან კიდევ ისეთ საგნებს, რომლებიც ჯობდა რომ საერთოდ არ გვესწავლა. მე აღარ დაგაკარგვინებთ დროს იმისი ჩამოთვლით, რას ვაკეთებთ არასწორად, არამედ პირდაპირ გიჩვენებთ სწორ გზას სათნო და კეთილშობილი განათლებისაკენ. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ეს გზა ძალზე შრომატევადია, მაგრამ იგი ახალია, სწორი და ისეთი სავსე დადებითი პერსპექტივებით და ყოველი მხრიდან გარემოცული მელოდიური ჰანგებით, რომ ამაზე მომხიბვლელი ორფეოსის ქნარის ხმაც კი არ იქნებოდა. მე ეჭვი არ მეპარება რომ თქვენ ბევრი შრომა მოგიწევთ ჩვენი მოსაწყენი და უზარმაცესი ახალგაზრდებისათვის, რომელთაც ამჟამინდელი განათლების სისტემის უვარგისობის გამო ცოდნის მისაღებად შესაბამისი საფუძველი ვერ შეიქმნეს. ჩვენ მოგვიწევს ძალით გამოვათრიოთ ჩვენი ყველაზე რჩეული და იმედისმომცემი გონების მქონე ახალგაზრდები იმ სულელური ნადიმიდან, სადაც მათ წინაშე გაშლილია ყველანაირი საკვები და გასართობი. ეს მათ დაბრკოლებებს უქმნით ყველაზე სათუთ ასაკში, როცა ადამიანის გონება სწავლებას და აღზრდას ყველაზე ადვილად ემორჩილება. ამიტომ მე სრულყოფილს და ღირსეულს ვუწოდებ ისეთ განათლებას, რომლის მიმღები შეძლებს იმოქმედოს სამართლიანად, პროფესიონალურად და დიდსულოვნად ყველანაირ კერძო თუ საჯარო სამსახურში, ომისა თუ მშვიდობიანობის დროს. ეს უნდა გაკეთდეს თორმეტიდან ოცდაერთ წლამდე, იმაზე ნაკლებ დროში, ვიდრე ამისათვის ახლა არის გამოყოფილი გრამატიკისა და სოფისტიკის ტრივიალური წვრილმანებისათვის. განათლების პროცესი უნდა დალაგდეს აქ მოცემული თანმიმდევრობით. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოიძებნოს საკმარისად დიდი შენობა და მიწის ისეთი ნაკვეთი, რომელიც აკადემიისათვის შესაფერისი იქნება. იგი საკმარისი სიდიდის უნდა იყოს, რომ იქ დაახლოებით ასორმოცდაათმა ადამიანმა შეძლოს ცხოვრება. აქედან დაახლოებით ოცი ადამიანი მომსახურე პერსონალი იქნება, რომელთაც ერთი ხელმძღვანელი ეყოლებათ, რომელსაც ექნება უნარი, რომ გონივრულად მართოს ყველაფერი ან მოახდინოს ყველანაირი საქმის ზედამხედველობა და კონტროლი. ეს ადგილი ერთდროულად უნდა იყოს სკოლაც და უნივერსიტეტიც, რათა სტუდენტებს არ გაუჩნდეთ სხვა სასწავლებელში გადასვლის საჭიროება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ეს იქნება სპეციალიზებული სამართლის ან სამედიცინო კოლეჯი, სადაც ისინი პრაქტიკულ სწავლებას გაივლიან. მაგრამ რაც შეეხება იმ ზოგად განათლებას, რომელსაც მთელს ჩვენს დროს დავუთმობთ, უილიამ ლილის წიგნებით

დაწყებული, ხელოვნების მაგისტრის ხარისხით დამთავრებული, ეს უნდა იყოს სრულყოფილი და ყოვლისმომცველი ცოდნა. ამ ნიმუშის მიხედვით, შეგვიძლია იმდენი შენობა გადავაკეთოთ ამ დანიშნულებით გამოსაყენებლად, რამდენიც საჭირო იქნება ყველა ქალაქში მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეს ყველგან აამაღლებს განათლებისა და მოქალაქეების შეგნების დონეს. დაახლოებით ის რაოდენობა უნდა შეგროვდეს, რამდენიც ქვეითთა ასეულში ან კავალერიის ორ საჯარისო ნაწილშია. მათი ყოველდღიური საქმიანობა, როგორც წესი, სამ ნაწილად უნდა დაიყოს: სწავლა, ფიზიკური ვარჯიში და კვება. რაც შეეხება სასწავლო პროცესს, იგი, პირველ რიგში, უნდა დაიწყოს გრამატიკის მთავარი და აუცილებელი წესებით, იმით, რომელსაც ჩვენ ახლა ვიყენებთ, ან რაიმე კიდევ უფრო უკეთესით. ამასთან ერთად სტუდენტების მეტყველებისათვის საჭიროა მკაფიო და სუფთა გამოთქმის ჩამოყალიბება, რომელიც, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად ახლოს იქნება იტალიურთან. ეს განსაკუთრებით ხმოვნებს ეხება. ჩვენ, შორეულ ჩრდილოეთში მცხოვრები ინგლისელები, ჩვენს ცივ ჰაერში პირს ფართოდ არ ვაღებთ, რათა სამხრეთულ ენაზე თანაბარი და ელეგანტური გამოთქმით ვისაუბროთ. მაგრამ სხვა ყველა ერთან შედარებით ნაკლებად ხმაურიანნი და თავშეკავებულნი ვართ. ინგლისელის პირით ლათინურის შებილწვა ისევე საშინლად ჟღერს, როგორც სასამართლოში სასაუბრო ფრანგული. ამის შემდგომ სტუდენტები უნდა ვაქციოთ გრამატიკის ყველაზე საჭირო საკითხების ექსპერტებად. ამასთან ერთად, ჯერ კიდევ ადრეულ წლებში უნდა ჩავუნერგოთ სათნოების და ჭეშმარიტი შრომის მიმართ სიყვარული, იმაზე ადრე, ვიდრე მათ აქა-იქ ხეტიალის დროს რაიმე სხვა მაამებელი ცდუნებები ან უსარგებლო პრინციპები არ შეუთვისებიათ. უნდა გავაცნოთ მათ რაიმე მარტივი და სასიამოვნო საგანმანათლებლო წიგნი, რაც ბერძენი ავტორებისაგან შემოგვრჩა, მაგალითად ცებესი, პლუტარქე და სოკრატეს დიალოგები. მაგრამ, ჩვენ არ გვაქვს შემორჩენილი არც ერთი კლასიკოსი ავტორიტეტის ნაწარმოები ლათინურ ენაზე, გარდა კვინტილიანეს პირველად დაწერილი ორი-სამი წიგნისა, და სხვა რამოდენიმე რჩეული ნაწარმოები. მაგრამ აქ სწავლების მთავარი უნარი და საფუძველი ის არის, რომ გამოვიყენოთ ყველანაირი შესაძლებლობა და შესაფერის დროს მივაწოდოთ ისეთი ლექციები და ახსნა-განმარტებები, რითაც სტუდენტებს მორჩილებისა და სწავლის სურვილს ჩავუნერგავთ და მათში გავაღვიძებთ სათნოების მიმართ აღტაცებას, რაც შერწყმული იქნება უმაღლეს ცხოვრებისეულ იმედთან – გახდნენ მამაცი ადამიანები და ღირსეული პატრიოტები, რომლებიც სახელგანთქმულები არიან ყველა ეპოქაში და იმსახურებენ ღმერთის სიყვარულს. მათ შეიძლება გაუჩნდეთ ზიზღი მათი ბავშვური და ცუდი აღზრდით მიღებული ჩვეულებების მიმართ და აღფრთოვანდნენ მამაკაცური თვისებებით და იმ საავარჯიშოებით, რაც მათ ჯენტლმენებად გახდომაში დაეხმარებათ. მასწავლებელმა, ვისაც გააჩნია ამ მეთოდისათვის შესაბამისი ხელოვნება და მჭევრმეტყველება, უნდა გამოიყენოს ნაკლებად მკაცრი, მაგრამ შედეგიანი და დამაჯერებელი მიდგომა და თუ ამის საჭიროება იქნება, გაუზიაროს სტუდენტებს გაცნობიერებული შიშიც. მაგრამ ძირითადად მან უნდა საკუთარი მაგალითით ასწავლოს და მაშინ შესაძლებელი გახდება უმოკლეს დროში შესძინოს მათ გასაოცარი სიბეჯითე, შრომისმოყვარეობა და სიმამაცე; აავსოს მათი ახალგაზრდა გულები ისეთი გულწრფელი, უმანკო და კეთილშობილი სულისკვეთებით, რომელიც მათს უმეტესობას სწორუპოვარ და სახელგანთქმულ ადამიანებად აქცევს. ამავდროულად, დღის სხვა მონაკვეთში, მათ შეიძლება შეისწავლონ არითმეტიკის წესები და ამის შემდგომ მალევე გადავიდნენ გეომეტრიის ელემენტებზეც, როგორც ეს სწავლების ძველი წესით ხდებოდა. საღამოს, ვახშმის შემდეგ, დაძინებამდე საუკეთესო დროა რომ მათი გონება რელიგიის მარტივი საფუძვლებისა და წმინდა წერილის შესწავლას მივაპყროთ. შემდგომი ნაბიჯები იქნება იმ ავტორების გაცნობა, რომლებიც მიწათმოქმედების შესახებ წერენ: კატონი, ვარო და კოლუმელა, რადგან ესენი შედარებით მარტივი საკითხავია. და თუ ენა რთული

აღმოჩნდება, ეს უკეთესია, რადგან ეს სირთულე მათი ასაკის შესაბამისი იქნება. ეს იქნება მათი წახალისება და შესაძლებლობის მიცემა, რათა შემდგომში უკეთ შეძლონ მათი ქვეყნის ნიადაგის დამუშავება, ცუდი ნიადაგის აღდგენა და იმ ნარჩენების გადამუშავება, რომლებიც ვარგისია. ამ თემას ეხება ერთ-ერთი ჰერკულესის ქებათაგან. მანამ, სანამ ამ ავტორების ნახევარს წაიკითხავენ (რაც მალე ყოველდღიური მძიმე შრომა გახდება), მათ სხვა არჩევანი არ აქვთ გარდა იმისა, რომ დაეუფლონ ყოველდღიური ცხოვრებისეული მოვლენების აღმწერ პროზას. ამის შემდეგ ისინი საფუძვლიანად იქნებიან მომზადებულნი იმისათვის, რომ აირჩიონ სასწავლად ნებისმიერი თანამედროვე ავტორი, ისწავლონ გლობუსისა და ყველანაირი რუკის გამოყენება, თავდაპირველად ძველი სახელწოდებები და შემდეგ – ახალი. მათთვის შესაძლებელი გახდება წაიკითხონ ბუნებრივი ფილოსოფიის ნებისმიერი კომპეტენტური ნაშრომი. ამასთან ერთად შეიძლება ბერძნული ენის შესწავლის დაწყებაც, იგივენაირად, როგორც ზემოთ ლათინურის შესახებ მოგახსენეთ. ასე გრამატიკის სირთულეები მალე გადაილახება, და მათ წინაშე არისტოტელეს ფიზიოლოგია და თეოფრასტეს ნაშრომები გადაიშლება. და მე ვფიქრობ, რომ სტუდენტები სათანადოდ დააფასებენ იმ ღვაწლს, რაც მათ ბუნებისმეტყველების განვითარებაში შეიტანეს. იგივენაირი წვდომა ექნებათ მათ ვიტრუვიუსის, ცელსუსის, მელას, სოლინუსის, პლინიუსის და სენეკას ნაშრომებზე. ამგვარად არითმეტიკის, გეომეტრიის, ასტრონომიის, გეოგრაფიის და ფიზიკის ძირითადი მოკლე კურსის შესწავლის შემდეგ მათ შეეძლებათ გადაინაცვლონ მათემატიკაზე, ტრიგონომეტრიის გამოყენებით მეცნიერებაზე და ამის შემდეგ უკვე გადავიდნენ ფორტიფიკაციის, არქიტექტურის, სამხედრო ინჟინერიის ან ნავიგაციის შესწავლაზე. ბუნების ფილოსოფიის ფარგლებში მათ თავისუფლად შეუძლიათ შეისწავლონ მეტეორები, მინერალები, მცენარეები და ცოცხალი ორგანიზმები და მივიდნენ ანატომიამდე. ამის შემდეგ უკვე შეიძლება წაიკითხონ რომელიმე ავტორის ნაშრომი მედიცინის შესახებ, რომელიც ძალიან დამღლელი და მოსაწყენი არ იქნება. ისინი შეისწავლიან ადამიანის ტემპერამენტის ტიპებს ან თუ როგორ გაუმკლავდნენ საჭმლის მონელების დარღვევას. და ის, ვინც შეძლებს ამის გონივრულად და დროულად გაკეთებას, იქნება არა მხოლოდ დიდებული ექიმი თავისი თავისთვის ან მეგობრებისათვის. ასეთ ექიმს შეუძლია საჭირო დროს მთელი არმია გადაარჩინოს ეკონომიური ან სრულიად უფასო საშუალებებით და ნება არ მისცეს ახალგაზრდა მამაკაცების ჯანმრთელ და ძლიერ სხეულებს სადღაც სახლიდან შორს დალპნენ ამ დისციპლინების არცოდნის გამო. ეს დიდად სამწუხარო იქნებოდა და ასევე დიდი სირცხვილი მეთაურისათვის. რა უშლის ხელს ბუნებისმეტყვლებისა და მათემატიკის წინ წამოწევას? გარდა ამისა, მათ შეიძლება შეიძინონ მონადირეების, ბაზიერების, მეთევზეების, მწყემსების, მებაღეების, აფთიაქარების საჭირო და სასარგებლო გამოცდილება. ასევე სხვა დარგის მეცნიერები – არქიტექტორები, ინჟინრები, მეზღვაურები, ანატომები – ზოგი საზღაურის სანაცვლოდ და ზოგიც საკუთარი კეთილი ნებით დაეხმარება ასეთ იმედისმომცემ სასწავლებელს. ეს სტუდენტებს მისცემს ისეთი ბუნებრივი ცოდნის ნაერთს, სადაც თეორია რეალურ პრაქტიკასთან არის გაერთიანებული და რომელიც ადამიანს არასოდეს ავიწყდება. პირიქით – ეს ცოდნა დღითიდღე განსაცვიფრებლად იზრდება და სრულყოფილი ხდება. და ის პოეტები, რომლებიც ამჟამად რთულად წასაკითხად ითვლებიან, იქნებიან ადვილად და სასიამოვნოდ გასაცნობნი – ორფეოსი, ჰესიოდე, თეოკრიტე, არატუსი, ნიკანდრი, ოპიანე, დიონისე. ასევე ლათინურ ენაზე ლუკრეციუსი და მანილუსი და ვერგილიუსის ის ნაწარმოებები, რომლებიც სოფლის ყოფა-ცხოვრებას ეხება. ამ დროისათვის განვლილი წლები და ათვისებული კარგი ზოგადი მცნებები განუვითარებს სტუდენტებს გონიერების იმ უნარს, რასაც ეთიკაში პროაირეზს უწოდებენ: ეს ნიშნავს რომ მათ შეეძლებათ სიკეთისა და ბოროტების გარჩევა, მათი განსჯა და გონების თვალით განჭვრეტა. ამის შემდგომ აუცილებელია ჯანსაღი დარიგებების მუდმივად მიცემა, რათა

გავაძლიეროთ და სწორ გზაზე დავაყენოთ ისინი. გავაფართოოთ და წარვმართოთ მათი შეხედულებები სათნოებისა და მანკიერების სიძულვილისაკენ, მაშინ, როცა მათი ახალგაზრდა და მერყევი გრძნობები პლატონის, ქსენოფონტეს, ციცერონის, პლუტარქეს, ლაერტუსის, ქალაქ ლოკრის დანატოვარის გავლენას განიცდის. მათი საღამოს სწავლების დრო უნდა შემცირდეს, რათა დღის დასასრულს მათ ჰქონდეთ საშუალება გაეცნონ ძველ აღთქმას, დავითის ფსალუნებსა და სოლომონის შეგონებებს, სახარებასა და სამოციქულო წერილებს. როდესაც პირადი მოვალეობის გრძნობას, ქცევის წესებს და ღვთის მორჩილებას სრულყოფილად გაითავისებენ, მას შემდეგ მათ შეუძლიათ დაიწყონ ეკონომიკის შესწავლა. ამ დროისათვის ან მანამდეც სტუდენტები იოლად შეძლებენ იტალიური ენის შესწავლას. მათთვის სასარგებლო იქნება რომ მალევე მივცეთ ნება დააგემოვნონ მათთვის გულმოდგინედ და სიფრთხილით შერჩეული ბერძნული, ლათინური ან იტალიური რჩეული კომედიები. ასევე წაიკითხონ ის ტრაგედიები, რომლებიც ოჯახური ცხოვრების საკითხებს შეეხება, როგორიცაა სოფოკლეს „ტრაქინია“, ევრიპიდეს „ალკესტი“ და მსგავსი ნაწარმოებები. ამის შემდეგ უნდა გადავინაცვლოთ პოლიტიკის შესწავლაზე, რათა მათ იცოდნენ პოლიტიკური საზოგადოებების საწყისი, დასასრული და მათი მიზეზები, რათა მომავალში ისინი არ გახდნენ საკუთარი თავის რწმენის და მყარი შეგნების არმქონენი და არ დაემგვანონ სუსტ და დრეკად ლერწამს, როგორც ეს კრომველის თანამეგობრობის დროს ხდებოდა და ასეთი სისუსტე ამ ბოლო დროს ბევრმა ჩვენმა დიდმა მრჩეველმაც გამოავლინა. პირიქით, ისინი უნდა გახდნენ ჩვენი სახელმწიფოს მტკიცე ბურჯები. შემდგომ ეტაპზე სტუდენტები საფუძვლიანად უნდა ჩაუღრმავდნენ კანონების და იურიდიული მართლმსაჯულების საფუძვლებს, მათ შორის პირველი და გარანტირებულად საუკეთესო გახლავთ მოსე. და რამდენადაც ადამიანურ სიბრძნეს და წინდახედულებას შეგვიძლია ვენდოთ, დიდებული და ქების ღირსი ბერძენი კანონმდებლები: ლიკურგე, სოლონი, ზალეკუსი, ქარონდასი. და ამის შემდგომ იმპერატორ იუსტინიანეს მიერ შექმნილი რომაული კანონები. აქედან სტუდენტები გადაინაცვლებენ საქსონიისა და ინგლისის ზოგადი კანონებისა და წესდებების შესწავლაზე. ასევე კვირა დღეები და ყოველი საღამო შესაძლებელია მოხმარდეს ისეთ ამაღლებულ საგნებს, როგორიცაა თეოლოგია და ეკლესიის უძველესი და თანამედროვე ისტორია. მანამდე უნდა გამოიყოს დრო ივრითის შესასწავლად, რათა წმინდა წერილების წაკითხვა ორიგინალში იყოს შესაძლებელი. აქვე შესაძლებელია ქალდეური და სირიული დიალექტების დამატებაც. როდესაც ამ საქმეს წარმატებით დაასრულებენ, მაშინ უნდა შევურჩიოთ ისტორიები, გმირული ლექსები და ატიკური ტრაგედიები, ყველაზე ცნობილი პოლიტიკური გამოსვლები უმაღლესი დონის სახელმწიფოებრივი საკითხების შესახებ, რომლებიც მათ არამხოლოდ უნდა წაიკითხონ, არამედ ზოგიერთი მათგანი ზეპირადაც უნდა ისწავლონ და წარმოთქვან შესაფერისი საზეიმო ინტონაციითა და გრაციით. მათი სწავლება უნდა დავასრულოთ დემოსთენეს, ციცერონის, ევრიპიდეს ან სოფოკლეს სიმტკიცისა და სულისკვეთების ჩვენებით. და ბოლოს, მოდის დრო, როდესაც მათთან ერთად უნდა გავეცნოთ ლოგიკას, რიტორიკას და პოეზიას, რომლებიც ხელოვნების ერთ მიმდინარეობაში ერთიანდებიან. მათი შესწავლა ადამიანს შესაძლებლობას აძლევს იმსჯელოს და წეროს ნათლად, ელეგანტურად და შესაფერისი სტილით, იქნება ეს ამაღლებული, საშუალო თუ მდაბალი. ვინაიდან ლოგიკა ძალზე სასარგებლო რამ გახლავთ, მას უნდა დაეთმოს შესაბამისი ყურადღება სათანადოდ დალაგებული თემებითა და საკითხებით, სანამ არ დადგება დრო რომ გავაცნოთ სტუდენტებს გრაციოზული და მოხდენილი საგანი – რიტორიკა, რომელიც უნდა შეისწავლონ პლატონის, არისტოტელეს, ფალერიუსის, ციცერონის, ჰერმოგენეს და ლონგინუსის წესების მიხედვით. ამას მოჰყვება პოეზია, ან შეიძლება წინაც უსწრებდეს მას, რადგან პოეზია ნაკლებად დახვეწილი და სათუთია ორატორობასთან შედარებით. მაგრამ იგი მეტად მარტივი, მგრძნობიარე და ემოციურია. მე აქ არ ვგულისხმობ ლექ-

სის პროსოდიას, რომლის შესწავლა მათ არ შეეძლოთ, მაგრამ მაინც ეცნობოდნენ მას გრამატიკის საფუძვლებთან ერთად. ეს ამაღლებული ხელოვნება, არისტოტელეს პოეტიკაში, ჰორაციუსთან და კასტელვეტროს, ტასოს, მაცონის და სხვათა იტალიურ კომენტარებში გვასწავლის ჭეშმარიტი ეპიკური ლექსის კანონებს, დრამატული იქნება ის თუ ლირიკული; გვასწავლის რას წარმოადგენს დეკორაციისა და სტილის შესაბამისობის პრინციპები დრამასა და ეპოსში და რომელია ის უდიადესი შედევრები, რომლებსაც უნდა დავაკვირდეთ და შევისწავლოთ. ეს აიძულებთ მათ მალე მიხვდნენ, რა საძაგელი არსებები არიან ჩვენი მელექსეები და დრამატურგები და აჩვენებს მათ, რა დიდებული გამოყენება შეიძლება ჰქონდეს პოეზიას როგორც რელიგიური და ღვთაებრივი, ისე ადამიანური შინაარსით. აქედან მოყოლებული დგება შესაფერისი დრო, რათა მოხდეს სტუდენტთა ჩამოყალიბება მწერლებად და კომპოზიტორებად უმაღლეს დონეზე, როდესაც მათი გონება აღჭურვილი იქნება უნივერსალური ხედვით სხვადასხვა საგნის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ისინი მომავალში სიტყვით გამოვლენ პარლამენტში ან საბჭოში, ანდა ეკლესიის ამბიონიდან წარსდგებიან საზოგადოების წინაშე, სადაც ისინი ყურადღებას და პატივისცემას ელიან, უმეტესწილად მრევლი მათ ქადაგებას მოთმინებით, თუმცა ინტერესის გარეშე მოუსმენს. ეს გახლავთ ის მეცნიერებები, რომლებსაც ჩვენმა კეთილშობილმა და თავაზიანმა ახალგაზრდობამ, თორმეტიდან ოცდაერთი წლის ასაკის ჩათვლით, დისციპლინირებულად უნდა მიუძღვნას თავისი დრო, თუკი ისინი გარდაცვლილი წინაპრების მემკვირდეობის იმედად არ აპირებენ ცხოვრებას, იმის მაგიერ, რომ საკუთარი ცოცხალი თავის იმედი ჰქონდეთ. ეს მეთოდური კურსი ითვალისწინებს სწავლის სწრაფ ტემპს. შესაფერის დროს კი უნდა დავიხიოთ უკან შესწავლილის გასახსენებლად. ხანდახან საჭიროა დავუბრუნდეთ იმას, რაც უკვე ნასწავლი გვაქვს, სანამ იგი კარგად არ განმტკიცდება და ისე მტკიცედ არ გაერთიანდება სრულყოფილ ცოდნაში, როგორც რომაული საბრძოლო ლეგიონი. ახლა კი ღირს გადავხედოთ საუკეთესო სავარჯიშოებსა და დასვენებას, რომელიც სასწავლო კურსს შეადგენს. სავარჯიშოები და წვრთნა აქ მოკლედ აღწერილი სწავლების კურსი, როგორც მე წაკითხულიდან დავასკვენი, მოწონებული იყო პითაგორას, პლატონს, სოკრატეს, არისტოტელეს და სხვების მიერ, რომელთა მოძღვრებაზე აღიზარდა მრავალი ცნობილი ფილოსოფოსი, ორატორი, ისტორიკოსი, პოეტი და მთავარი მთელს საბერძნეთში, იტალიაში და აზიაში, რომ აღარაფერი ვთქვათ კირენეს და ალექსანდრიის აყვავებულ საგანმანათლებლო კერებზე. მაგრამ ჩვენი განათლების მეთოდი მასზე უკეთესი იქნება და ასევე გამოასწორებს იმ დეფექტს, რომელსაც პლატონი იწუნებდა სპარტის საგანმანათლებლო სისტემაში. ეს ქალაქი, მათი აკადემია და ლიცეუმი, ახალგაზრდებს უმეტესწილად ომისთვის ამზადებდა; ხოლო აღზრდის ის ინსტიტუტი, რომელზეც მე აქ ვსაუბრობ, თანაბრად მოამზადებს ახალგაზრდებს ომისა და მშვიდობისათვის. ამიტომ შუადღისას, სადილამდე დაახლოებით საათნახევრით ადრე, სტუდენტებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა რომ ივარჯიშონ და შემდეგ დაისვენონ. მაგრამ ეს დრო შეიძლება გავუზარდოთ, იმის მიხედვით, თუ რამდენად ადრე ადგებიან ისინი დილით. პირველი სავარჯიშო, რომელსაც მე პირველ რიგში მივესალმები, არის იარაღის მარჯვედ მოხმარება, რათა შეეძლოთ თავდაცვა და მისი პირით ან წვერით ზუსტი დარტყმის მიყენება. ეს გახდის მათ ჯანმრთელს, მოქნილს, ძლიერს, ამტანს და გაუჯანსაღებს ფილტვებს. ასევე ეს ყველაზე უტყუარი საშუალებაა რომ გაიზარდნონ მაღალი და ძლიერი და შეიძინონ ვაჟკაცობა, უშიშარი გამბედაობა და სიმამაცე. ეს თვისებები ყალიბდება ჭეშმარიტი სიმტკიცისა და მოთმინების შესახებ დროული ლექციებით და შემეცნებით და გარდაიქმნება ბუნებრივ და ჰეროიკულ ვაჟკაცობად. ეს აიძულებს მათ სძულდეთ სიმხდალე და არასწორი მოქმედება. სტუდენტებს ასევე უნდა ვასწავლოთ ჭიდაობის ილეთები, მოწინააღმდეგის მოჭიდება და შებოჭვა, რადგან ბრძოლის დროს შეიძლება ხშირად იყოს მათი გამოყენების საჭიროება. ამაში ინგლისელები ყოველ-

თვის საუკეთესოები იყვნენ. მე ვფიქრობ ეს საკმარისი იქნება მათი ძალის გამოსაცდელად და სავარჯიშოდ. რეგულარული შუალედური შესვენებები ვარჯიშის დროს და ასევე კომფორტული დასვენება სადილის წინ – ეს ორივე იქნება მათთვის სასარგებლო და სასიამოვნო საკუთარი თავის და ჭირვეული ხასიათის შეცვლის საქმეში, თუ ამას თან დაერთვის საზეიმო და ღვთაებრივი მუსიკის მელოდიების მოსმენა ან შესწავლა. როდესაც დახელოვნებული ორგანისტი ასრულებს ნელ და საზეიმო დისკანტს, დიდებულ ფუგას ან მთლიან სიმფონიას, წარმოუდგენელი ოსტატობით და გრაციოზულობით ეხება ინსტრუმენტს და ასრულებს რომელიმე რჩეული კომპოზიტორის გულმოდგინედ შესწავლილ აკორდებს. ზოგჯერ მანდოლინა ან ორღანი შეჩერდება რელიგიური, საბრძოლო ან საერო სიმღერების აჟღერების მოლოდინში. და თუ ბრძენნი და წინასწარმეტყველნი სასტიკად არ ცდებიან, მუსიკას გააჩნია ადამიანის ხასიათსა და ქცევაზე ზემოქმედების უდიდესი ძალა და შეუძლია გაუთლელი სოფლელი გლეხის უხეშობა და უკონტროლო ემოციები შეარბილოს და თავაზიანობად გარდაქმნას. ასევე მიზანშეწონილად მიმაჩნია მუსიკის მოსმენა ხორციანი კერძების მირთმევის შემდეგ, რაც მათ მონელებაში დაეხმარება. ხოლო ამის შემდეგ დაკმაყოფილებული და კარგ განწყობაზე მყოფი სტუდენტების გონება კვლავ სწავლისაკენ უნდა მივმართოთ. ვახშმამდე დაახლოებით ორი საათით ადრე მოულოდნელი განგაშის სიგნალით მოვიხმოთ სტუდენტები მასწავლებელთა ზედამხედველობის ქვეშ ჩატარებულ სამხედრო წვრთნებზე ღია ცის ქვეშ ან საფარში, სეზონის მიხედვით, როგორც ეს რომაელების ჩვეულება იყო, თავდაპირველად ქვეითად, შემდეგ კი, მათი ასაკის მიხედვით, ცხენზე ამხედრებულნი შეისწავლიან კავალერიის მთელ ხელოვნებას. სტუდენტები სპორტით არიან დაკავებული და ასევე უდიდესი სიზუსტით და ყოველდღიური სამხედრო შეკრებებით ასრულებენ თავიანთ პირველად მოვალეობას; ეუფლებიან ბრძოლისათვის საჭირო ყველანაირ უნარებს, როგორიცაა ლაშქრობა, დაბანაკება, გამაგრება, ალყაში მოქცევა და შებრძოლება; სწავლობენ ყველანაირ უძველეს და თანამედროვე სტრატეგიას, ტაქტიკას და ძირითად საომარ პრინციპებს, ისე, თითქოს ხანგრძლივ ომში მონაწილეობდნენ. მათ შეუძლიათ გახდნენ სრულყოფილი და ცნობილი სამხედრო მეთაურები და ჩადგნენ თავიანთი ქვეყნის სამსახურში. და თუ მათ მიანდობენ იმედისმომცემ არმიას, ისინი ასეთ შემთხვევაში არ დააზარალებენ მას ბრძნული დისციპლინის უქონლობით ან უსამართლო მმართველობით. ისინი არ იქნებიან ისეთი შეუგნებელი პოლკოვნიკები, ვინც ატყუებს თავის ჯარისკაცებს და იპარავს მათ ხელფასებს. ისინი არ მოითმენენ ლოთობას ან ძალადობას. თუ მათ ექნებათ ის განათლება, რაც კარგ ადამიანს და კარგ მმართველს უნდა ჰქონდეს, ისინი არ ჩაიდენენ ამ საზიანო საქმეებს. მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს ინსტიტუტს. მუდმივ ვარჯიშისა და მუშაობის გარდა, არსებობს კიდევ გამოცდილების მიღების სხვაგვარი სასიამოვნო შესაძლებლობა, როგორიც არის საზღვარგარეთ წასვლა. გაზაფხულობით, როცა ჰაერი მშვიდია და სასიამოვნო, თუ არ გინდა გარეთ გასვლა, ბუნების მშვენიერების ნახვა და არ გახდები მონაწილე დედამიწაზე სამოთხის მსგავსი მხიარულებისა, ეს ნამდვილად სისულელე და ბუნების მიმართ ჩადენილი დანაშაული იქნება. მე ვერ დავიყოლიებ სტუდენტებს, რომ მათ ბევრი ისწავლონ ამ პერიოდში. სწავლის ორი ან სამი წლის შემდეგ, როდესაც ისინი კარგად შეითვისებენ მეცნიერების საფუძვლებს, მაშინ გავგზავნიდი მათ ქვეყნის ყველა მხარეში არსებულ კომპანიებში სერიოზული და წინდახედული თანმხლებების ზედამხედველობის ქვეშ, რათა დააკვირდნენ და გაეცნონ ყველა ადგილს, სადაც რეალურად მუშაობს ხალხი – ყველანაირ ნაგებობასა და ნიადაგს, ქალაქებსა და სამეურნეო მიწებს, ნავსადგურებსა და სავაჭრო პორტებს. ასევე უნდა მოინახულონ პორტები და ზღვა, რათა შეისწავლონ და შეძლებისდაგვარად მიიღონ პრაქტიკული ცოდნა ზღვაოსნობაში და სამხედრო-საზღვაო საქმეში. უნდა გამოვიყენოთ ყველანაირი გზა, რათა გამოვავლინოთ ბუნებისაგან ბოძებული მათი უნიკალური ნიჭი. თუ მათ შორის იქნება ვინმე, ვისაც ფარული

აღმატებული შესაძლებლობები გააჩნია, მივცეთ მათ თავის წარმოჩენის და წარმატების მიღწევის სამართლიანი შესაძლებლობა. მათი წინსვლა სიკეთედ დაუბრუნდება მათ ქვეყანას. ისევ გავხადოთ პოპულარული ის სათნოებანი და ღირსებანი, რასაც ძველად ასე ვაღმერთებდით და თან მივანიჭოთ მათ მეტი უპირატესობანი და აღვავსოთ ქრისტიანული ცოდნის სიწმინდით. მაშინ აღარ დაგვჭირდება პარიზელი ბატონები, რათა წაიყვანონ ჩვენი იმედისმომცემი ახალგაზრდები მათი ექსტრავაგანტული და მფლანგველი მეურვეობის ქვეშ და გამოგზავნონ უკან გადაქცეულნი მაიმუნებად და უსარგებლო, არასერიოზულ ადამიანებად. მაგრამ თუ მათ სურთ სხვა ქვეყნების ნახვა 23-24 წლის ასაკში, არა სასწავლებლად, არამედ ბრძნული და გონივრული დაკვირვებისათვის და გამოცდილების გასამდიდრებლად, ამ დროისათვის ისინი დაიმსახურებენ ყველა შემხვედრი ადამიანის და საზოგადოების პატივისცემას იქ, სადაც ისინი გაემგზავრებიან, და მოიპოვებენ საუკეთესო და გამორჩეული ხალხის მეგობრობას. შესაძლოა მაშინ სხვა ერებმა მოისურვონ და სიამოვნებით გვეწვიონ, რათა მოგვბაძონ და ჩვენთან მიღებული ცოდნა თავიანთ ქვეყნებში გამოიყენონ. და ბოლოს, მათი კვების შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ საუკეთესო შემთხვევაში კვება იმავე შენობაში უნდა მოხდეს, რადგან სხვა ადგილას წასვლაში ბევრი დრო დაიხარჯება. კვება უნდა იყოს უბრალო, ჯანსაღი და ზომიერი. ჩემი აზრით, ეს საკითხი საკამათოც კი არ არის. ასე რომ, ბატონო ჰარტლიბ, თქვენ გაქვთ ჩემი ძირითადი მოსაზრებები წერილობითი სახით, როგორც თქვენ გსურდათ. ეს ის საკითხებია, რაზეც ჩვენ რამდენიმეჯერ გვიკამათია და რომელიც ეხება განათლების ყველაზე საუკეთესო და კეთილშობილ გზას. იგი აკვნიდან არ დაგვყვება, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს, და ამის შესახებ ნამდვილად ღირდა სხვადასხვა მოსაზრებების გამოთქმა. მე რომ სათქმელი ასე მოკლედ არ გადმომეცა, კიდევ ბევრ გარემოებას მოვიხსენიებდი, მაგრამ ის, რაც მოგწერეთ, სრულიად საკმარისია მცდელობისათვის, საკითხისათვის ნათელის მოფენისა და მიმართულების განსაზღვრისათვის. მე მჯერა, რომ სწავლება – ეს არის ის მშვილდი, რომლის ხელში აღება და მოხმარება ყველა ადამიანს არ ძალუძს. მათ რომ თავი მასწავლებლებად მიიჩნიონ, ამისათვის საჭირო იქნება იმ ძალისა და უნარების ფლობა, რომელიც ჰომეროსმა ულისეს უბოძა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველაფერი გაცილებით ადვილი და თვალსაჩინო ჩანს ამ წერილში, ვიდრე ეს სინამდვილეში იქნება. თუმცა იმედი მაქვს, რომ ყოველივე ამის გაკეთება არც ისე ძნელია, როგორც მე წარმომიდგენია. ეს წარმოდგენები მე არაფერს არ მაძლევს, მაგრამ მანიჭებს უდიდეს ბედნიერებას და საუკეთესო სურვილების აღსრულების შესაძლებლობებს, თუ ღმერთი ამას ინებებს და ამ ეპოქას აღმოაჩნდება საკმარისი სულისკვეთება და უნარი, რომ ამას გონების ძალით ჩასწვდეს და შეიგნოს.

ინგლისურიდან თარგმნა **ნინო კვიწინაძემ**

ნინო
დარგაისელი

ოპუსები

1. ღამურა – ეზოპესი, ღამურა – აკაკისი

მართლა ვერ წარმოვიდგენდი, აკაკის „ღამურას“ თუ მისწვდებოდა ქართველთმოძულეთა ხელი.

ალ. ტოლსტოიმ – თითქმის სიტყვა-სიტყვით, პროზად გადმოიღო ეზოპეს იგავი, საკუთარი სახელი მიაწერა და მის ქმნილებად მიიჩნევენ;

აკაკიმ – ეზოპეს იგავის პროზაული სიუჟეტიდან მხოლოდ ფაბულა აიღო, ანუ ჩონჩხი, მერე ახალი სიუჟეტი, ახალი ნაწარმოები შექმნა ლექსად, სრულიად სხვა კონცეფცია ჩადო მასში და ალ. ტოლსტოის ნაწარმოების თარგმანიაო...

ამაზეა ნათქვამი, ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს, ზოგისა – ოქროც არაო.

აკაკის „ღამურა“ ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან ყველას ნასწავლი გვაქვს, როგორც პატრიოტული ლექსი და ბოლო დრომდე ასეც მიიჩნეოდა.

ბოლო დროს კი ინტერნეტში გაჩნდა აზრი, რომ ეს მისი ორიგინალური ქმნილება კი არაა, წარმოადგენს ალ. ტოლსტოის ზღაპრის თარგმანს.

კლასიკა იმისია, რომ სულ გვახსოვდეს, მაგრამ ვის გაახსენდა სწორედ ახლა ამ თემის გააქტუალურება და რა მიზნით, ვინაა პირველწყარო – საინტერესოა.

მაშ ასე! – აკაკის „ღამურა“.

საკითხი, რომელზეც ახლა მინდა საუბარი, ალბათ უკვე მრავალგზის იქნება დამუშავებული ქართულ ლიტმცოდნეობაში.

აკაკი ხომ ის პოეტია, რომლის ნათელიც ზემოდან ეფინება გალაკტიონის შემოქმედებასაც. ნუ ჩამითვლით პათეტიკად. თავად გენიოსი გალაკტიონი მთელი ცხოვრება ეტოლებოდა მას, როგორც პოეტის იდეალს.

არსებობს ნამდვილი წერილი-აღმოჩენა ივანე ამირხანაშვილისა აკაკის პატრიოტული საქმიანობის შესახებ.

პირადად რამდენჯერმე მედო საკუთარ გვერდზე, რათა ბევრ მეგობარს წაეკითხა.

მე აქ „შემოქმედების“ ნაცვლად სიტყვა „საქმიანობა“ შემთხვევით როდი გამოვიყენე.

აკაკის შემოქმედების პატრიოტულ ნაწილს მიეკუთვნება ლექსი, იგავ-არაკი „ღამურა“.

მეპატიოს, თუ აქაც და სხვაგანაც არცთუ იშვიათად, რაღაცეების თქმა პირველაღმომჩენივით მიწევს.

უცხოეთში ქართულ სპეციალურ ლიტერატურაზე ფიზიკურად ხელი არ მიმიწვდება და გამომდის, რომ მეცნიერულ ეთიკას ვარღვევ, ვერ მოვიხსენიებ კოლეგებს, რომელთაც ჩემთვის საინტერესო საკითხი ფუნდამენტურად ექნებათ შესწავლილი. ამას ხომ საქართველოში ყოფნისას არაფრის დიდებით არ ვიზამდი.

ამ აუცილებელი რევერანსების მერე ახლა პირდაპირ საკითხზე:

ვნახოთ ალ. ტოლსტოის ზღაპარი ღამურა, რომელიც აკაკის ლექსის პირველწყაროდ სახელდება.

В давнишние времена была сильная война между зверями и птицами. Летучая мышь не пристала ни к тем, ни к другим, и всё выжидала, чья возьмёт. Сначала птицы стали побивать зверей, и тогда летучая мышь пристала к птицам, летала с ними и называла себя птицей, но потом, когда звери стали одолевать, летучая мышь передалась зверям. Она показала им свои зубы, и лапы, и соски и уверяла, что она зверь и зверей любит. Под конец всё-таки птицы победили, и тогда летучая мышь опять передалась птицам, но птицы прогнали её. И к зверям ей уже пристать нельзя было, и с тех пор летучая мышь живёт по погребам, по дуплам, и летает только сумерками, и не пристаёт ни к зверям, ни к птицам.

ვიცი, წესის თანახმად, უნდა მეთარგმნა და ისე დამედო ტექსტი, მაგრამ ჯერ ერთი დარწმუნებული ვარ, ამდენი რუსული ჩემს მკითხველებს ეხსომებათ და თანაც, ორჯერ გამომივა თითქმის იდენტური ტექსტის დადება, რადგან ტოლსტოის ზღაპარი ავტორისეულ მიგნებას კი არ ეყრდნობა, ანტიკური ავტორის, ეზოპეს იგავს თითქმის ზედმიწევნით იმეორებს.

ეზოპეს, ქრისტეს შობამდე ექვსი საუკუნით ადრე დაბადებულ, ბერძენ უცნობილეს მეამბე-მეიგავეს საქართველოში უძველესი დროიდან დღემდე არანაკლებ იცნობდნენ, ვიდრე რუსეთსა და ზოგადად ევროპაში. ზოგი ვერსიით – იგი მონა იყო, ერთი მახინჯი, კუზიანი ადამიანი, (სხვათა შორის, ძველ ქართულ ხელნაწერებში მისი ცხოვრების თარგმანიც გვქონია, იქნებ გამოცემულიც კია).

მას მიეწერება ოთხასზე მეტი სიუჟეტი. ყველა მათგანი მართლაც მას ეკუთვნოდა თუ არა, დღეს ვინ იტყვის.

მნიშვნელოვანია ის, რომ მის ტრადიციად ქცეულ სტილში ჯდება, მისი სკოლის ნიშანი აზის. გამოთქმაც ხომ გვაქვს, ვინმეს გადატანითი ნათქვამის შესახებ, რაიმე ალეგორიულ გამონათქვამებზე, ეზოპეს ენაზე თქვაო.

ეზოპეს ამბები იმთავითვე ზეპირსიტყვიერადაც ხომ ძალიან გავრცელებული იყო, ანტიკურ ხანაშივე ტრადიციად იქცა ამ ამბების ლექსად გაწყობა.

ლექსად გაწყობა, პოეტური მეტყველების ენაზე გარდათქმა რაიმესი კი, მოგეხსენებათ, თან მოიყოლებს შესაბამის ცვლილებებს ტექსტის სხვადასხვა დონეზე.

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს და არც კონტექსტიდან გავიდეთ, მოკლედ აღვნიშნოთ, მისი იგავებით მოსარგებლეთა შორის ჩვენთვის ყველაზე ცნობილია: ლეონარდო და ვინჩი ლაფონტენი, ლესინგი, კრილოვი... უი, რუსებიდან ლომონოსოვი და პუშკინი არ გამოგვრჩეს და ქართველი – სულხან-საბა.

ქნ-მა მერი წიკლაურმა მომაშველა ცნობა, რომელსაც კომენტარში ვდებ და რომლის თანახმადაც ეზოპეს ეს იგავი ფართოდ გავრცელებულია უამრავ ქვეყანაში.

დღესდღეობით, არაერთი გამოცემა არსებობს ეზოპეს იგავთა და შეგონებათა სრული კრებულებისა ინგლისურ და რუსულ ენებზე. შესაძლოა, ქართულადაც არის გამოცემული, მე ინფორმა-

ცია არა მაქვს. ადრე რაღაცაში დამჭირდა და ეზოპეს ორი იგავი ვთარგმნე პროზად და გავრითმე თავშესაქცევად. იქნება სადმე ინტერნეტში., მოსაძებნია.

ღამურას თემას ეზოპე არაერთხელ ეხება. მართლაც საინტერესო არსებაა ღამურა, ბიოლოგიურად – ცხოველად, ძუძუმწოვარადაა მიჩნეული, ფრთები კი აქვს! იგი რაღაც გარდამავალად მოიაზრება ცხოველთა და ფრინველთა შორის.

ჩემეულ ინტერპრეტაციას სჯობს, პირდაპირ ეზოპეს ის პატარა იგავი გითარგმნოთ, ძალზე პოპულარული რომაა ევროპა-ამერიკაში, მულტფილმებიც რომაა მასზე შექმნილი, სკოლებში რომ ისწავლება და ადრევე, მეცხრამეტე- მეოცე საუკუნეში საფუძვლად რომ დაედო ღამურას თემაზე შექმნილ რუსულ იგავებს:

„ერთხელ ცხოველები და ფრინველები საომრად წაიკიდნენ. ღამურამ აღარ იცოდა, რომელი მხარე დაეჭირა. როცა მის ქანდარასთან ფრინველებმა ჩაიარეს, შესთავაზეს, მათ არმიას შეერთებოდა, მაგრამ მან უპასუხა, „მე ხომ ფრინველი არა ვარ, ცხოველი ვარო“, საბედნიეროდ, ცოტა ხანში ომი აცილებულ იქნა და ფრინველ-ცხოველები დაზავდნენ. ღამურამ მიაშურა ფრინველებს, რომ მათთან ერთად ეზეიმა მშვიდობის დადგომა, მაგრამ ზურგი აქციეს და ისიც იძულებული გახდა, მარტოდდარჩენილი გაფრენილიყო. მივიდა ცხოველებთან, მაგრამ შეატყო, რომ იქ მისი ადგილი არ იყო, შეიძლებოდა ცხოველებს დაებრდღვნათ კიდეც.

„ოჰ, თქვა ღამურამ მაშინ, გასაგებიაო“.

მორალი ანუ შეგონება:

ის, ვინც დაპირისპირებული მხარეებიდან არც ერთს ეკუთვნის და არც მეორეს, უმეგობროდ რჩება“.

ამრიგად, თანამედროვე ენაზე რომ გადმოვიტანოთ, ამ იგავში გადმოცემულია მედროვე, მანიპულატორული, ორბუნებოვანი არსების გარდაუვალი მიუღებლობა მხარეთა მიერ და საბოლოო სიმარტოვე.

ახლა გავიხსენოთ აკაკი წერეთელი.

ღამურა

(ზღაპარი)

ერთმა უგნურმა თაგუნამ
იუკადრისა თაგვობა,
დასწყევლა თვისი გაჩენა,
ბუნების იწყო მან გმობა:
„იმ უსამართლო ბუნებამ
თაგვად რად გამაჩინაო?
მე სხვაგან ყოფნა მინდოდა,
მან ჭერ-ქვეშ მომცა ბინაო!
„ვის ეკადრება თაგვებთან
კუდის ბზეკა და ლხენაო?
მე შემშვენოდა ჩიტობა,
რომ მეწყო აღმა ფრენაო.
„რომ ვინმე ჩიტად მაქცევდეს,
გამომაბამდეს ფრთებსაო,
გავფრინდებოდი, ერთს წამსა
გადავივლიდი მთებსაო!“
რომ დაასრულა ეს ნატვრა,
ნახა, რომ ფრთები ესხმება
და მეტის სიხარულითა
საბრალოს თავბრუ ესხმება...
ზიზღით შეხედა თვის ტოლებს,
დაუყოვნებლივ ავარდა,
ჩიტებში გამოერია,
იმანაც გაინავარდა...
ჩიტებმა ახედ-დახედეს,
სთქვეს: „ვინ მოსულა ესაო?
რა სჯულის ცხოველი არის?
ჩვენთან ვინ გააწესაო?

„თვალ-ტანადობა თაგვს უგავს,
ფრთები ასხია ჩვენიო!
როგორღაც კეთილ სულს არ ჰგავს...
ჭირი არის და სენიო!“
ეგება მტრებმა მოგზავნეს,
შემოჩენილი იყოსო!
არიქა, ფრთხილად იყავით,
არავინ გაგვაბრიყვოსო!...“
დაჰჟღივლეს, ჩაუნისკარტეს,
გაჰკრეს-გამოჰკრეს ბრჭყალები,
სისხლი ადინეს ღამურას,
გამოუბნელეს თვალები!
დაღმა დაეშვა ღამურა,
მიმართა ისევ ძველ სადგურს...
მაგრამ იქ უფრო შავი დღე
დაუდგა მაშინ უბედურს:
თაგვებმა აითვალწუნეს,
აღარ მიიღეს, რომ ნახეს,
მივარდნენ ერთად საკბენად,
„ჰკა მაგასაო!“ დასძახეს...
მაშინ კი მიხვდა ღამურა,
რომ ანგარიში წაუხდა
და მისი ნატვრა უგნური
საჭირბოროტოდ აუხდა!
გვიანღა იყო! გაფრინდა
გაკიცხულ, თავლაფდასხმული,
ერთ ძველ ნანგრევში შეფრინდა
და მოიბრუნა იქ გული.
მას შემდეგ ნანგრევში ბუდობს,
დღე-დღე ვერ ჩნდება სირცხვილით
და მუდამ ამას წრიპინობს
კვნესით და გულის ტკივილით:
„კრულ იყოს მისი სახელი,
ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!
თვის ტომის დამწუნებელსა
ჭირი მიუვა კარზედა!
„ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა
და ნუ სცვლის თვისსა ენასა,
თორემ ბოლო დროს მოიმკის
ჩემსავით ცრემლთა დენასა!“
გადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია!
მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია!“
ძველ ტომში გამოსხლეტილსა
არ მოუშლიან კბენასა
და ახალ ტომშიც გაჰკიცხვენ:
დაუწუნებენ ფრენასა!“
კრულია მისი ხსენება,
ვინც დაჰგმობს დედა-ენასა,
თვის ტომს ჰღალატობს და მითი
თვით ჰფიქრობს მაღლა ფრენასა!“.

1880

მასალების მოძიებისას მერი წიკლაურმა ასეთი რამ მაცნობა:

„ეზოპეს ამ იგავის მოტივს თურმე ლიტერატურული დამუშავება მრავალ ქვეყანაში განუცდია: ფინეთში, ესტონეთში, ლიტვაში, ლატვიაში, ფრანგულში, ესპანურში, პორტუგალიურში, ჰოლანდიურში, გერმანულში, ჩეხურში, უნგრულში, ბერძნულში, ინდურში, ჩინურში, ლაოსურში, იაპონურში, ჩრდილო ამერიკის ინდიელებში, ნიგერიელებში. თავად ამ იგავის მოტივის ზღაპარი განთავსებულია აარნე ტომპსონის განახლებულ გამოცემაში Hans-Jorg Uther “The Types of Interanatinal Folktales”, volumes I, II, III, Helsinki, 2004.

სამწუხაროდ, საქართველო და ჩვენი საამაყო აკაკი ვერ მოხვდა, იმ მიზეზის გამო, რომ დღევანდელი ქართველი ფოლკლორისტები ნაკლებ ინტერესს იჩენენ უცხოელ კოლეგებთან კონტაქტების დასამყარებლად. მე ბრიტანელთან დევიდ ჰანტთან ვმეგობრობდი 1998 წლიდან და 2016 გარდაიცვალა 86 წლის. მან უსასყიდლოდ თარგმნა ელენე ვირსალაძის „სამონადირეო მითი და პოეზია“, „ქართული გადმოცემები და ლეგენდები“ და „ქართული ხალხური ზღაპრები“ – 100 ზღაპარი (96 ზღაპარი + ჩავრთეთ 4 მარჯორი უორდროპის მიერ თარგმნილი)“.

* * *

ჩემთვის ცნობილი რუსული დამუშავებანი ამ თემისა (დ. ხვოსტოვი, ფ. მორავსკი და ა. შ.) ეზოპეს კონტექსტში რჩებიან.

ვისურვებდი, აქ გადაჭრით შემეძლოს თქმა, აკაკი წერეთელი პირველწყაროდ, ძველბერძნული ორიგინალიდან ეზოპეს იღებს-მეთქი, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ კრილოვის იგავ-არაკთა უბადლო მთარგმნელმა აკაკიმ, რუსულად გამოცემული ეზოპეს კრებულით ისარგებლა.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცეს დასაწყისში ეზოპეს ცალკეულ იგავთა რამდენიმე გამოცემა არსებობდა და ერთის ფოტო ჩვენც გვედო აქ.

ასეა თუ ისე, ერთი რამ გარკვევით შეიძლება ითქვას. აკაკიმ გაიზიარა იმდროინდელ რუსულ-ევროპულ ლიტერატურაში არსებული ტრადიცია ეზოპეს იგავის გალექსვისა, მაგრამ უბრალოდ კი არ გალექსა იგი, სიუჟეტი ძირეულად გადაამუშავა და პატრიოტულ ლექსად აქცია საკუთარი ქმნილება.

მის ლექს-ამბავში ცხოველთა და ფრინველთა ომის თემა მოხსნილია, ღამურა – თაგვობით იწყებს და საკუთარი სურვილით, ოცნებით „გაფრინველდება“, ანუ ახალ ბუნებას შეიძენს განგების ძალით. კონფლიქტი აკაკისთან – ეზოპეს დარად, ღამურას თანდაყოლილ ბუნებასა და ინტელექტს, განზრახვას შორის კი არა, არამედ საკუთარი არჩევანით – ახდენილი ოცნებით შეძენილ ახალ ბუნებასა და რეალობას შორისაა.

სხვაგვარად: ეზოპესთან თუ ღამურა მასში უკვე ჩადებული ორბუნებოვნების მარჯვედ, მანიპულატორულად გამოყენებას ცდილობს, აკაკის ღამურა მომგებიანად მიიჩნევს „გაორბუნებოვნებას“, გარეგნულად – „ფრთები ესხმება“, მაგრამ არსით ისევ ერთბუნებოვანი – თაგვია.

ორაზროვნების გასაფანტად, დასკვნის სახით, მინდა ვთქვა გამოკვეთილად:

აკაკიმ ეზოპეს სიუჟეტიდან აიღო ფაბულა, ჩონჩხი და ახალი ხორცი შეასხა მას – არა მხოლოდ ლექსად გარდათქვა, არამედ აქცია სრულიად სხვა სიუჟეტად, სხვა კონცეპტუალურ ღერძზე გადაანყო და ჩვენი ერის სატკივარი გამოთქვა!

აკაკიმ მორალიც პატრიოტული დაურთო.

როგორ თანამედროვედ ისმის ეს შეგონება დღესაც:

კრულია მისი ხსენება,
ვინც დაჰგმობს დედა-ენასა,
თვის ტომს ჰღალატობს და მითი
თვით ჰფიქრობს მაღლა ფრენასა!

ჩვენში რატომღაც დღემდე არასწორი დამოკიდებულებაა ფაბულა-სიუჟეტის მხატვრული დამუშავების პრობლემისადმი. აკაკის ეს ლექსი ამ მხრივ პატარა, მაგრამ მარჯვე პარადიგმაა.

თუ რასაც მე ვამბობ, აქამდე საამისოდ არავის მოუცლია, იქნებ ფაბულასა და სიუჟეტის ორიგინალობის, რაგვარობის პრობლემებზე მომუშავე რომელიმე მკვლევარს გამოადგეს.

P. S. წერილში რომ ვამბობ, ეზოპესი ადრე რაღაცეები მითარგმნია-მეთქი, მოვიძიე და ესაა:

ღამურა, იხვი და ეკალი

(ეზოპედამ)

ღამურა, იხვი და ეკალი შეამხანაგდნენ,
ბიზნესი ვცადოთ, ჩვენც შევძლებთო სხვებივით მაგდენს.

მე ფულს ვისესხებ მდიდრისაგან, უთხრა ღამურამ,
მისცა მდიდარმა, ისე მიესიასამურა.

მე სპილენძს ჩავდებ, შეურია ყიყინში რიხი
და წილით – ფრთისქვეშ დაუბრუნდა მეგობრებს იხვი.

მე რაღა ჩავდო! არ მერჩია, დარდს მოვეკალი?
ძვირფას ტანსაცმელს დავამატებ, ამბობს ეკალი.

იშოვეს გემი, გზას გაუდგნენ გმირები ჩვენი,
და შუა ზღვაში გახდნენ სხვისი გადასარჩენი.

ვინ დაეძებდა ფულს ან სპილენძს, ან ძვირფას სამოსს,
ნაპირზე მდგარნი შეჰხაროდნენ სიცოცხლეს ამოს.

მას აქეთ არის, რაც ღამურა თავის მევალეს
დღით ემალება, შორით უთვლის „ხვალეს და მალეს“!

იხვი დაცურავს წყალში ყვინთვით – სპილენძს დაეძებს,
უყვართ ბღაუჭი სხვის სამოსზე ეკლებს და ძეძვებს.

მორალი ეზოპესი:
ეს საერთო აქვთ, მაძიებელ კაცებს თუ მხეცებს, –
– ყველა ნასესხებს, თავის წილს და დანაკარგს ეძებს!

მორალი მთარგმნელ-გამლექსავისა:
თუ საკუთარი არა გაქვს რა, ასეა წესი,
არ წამოიწყო ნასესხებით რამე ბიზნესი!

მორალი მეორე მთარგმნელ-გამლექსავისა:
რაც გაბადია ან გისესხია, მთლად ერთ საქმეში
არ დააბანდო! თუ წააგე, გახდები ლეში.

მორალი მეოთხე, მკითხველისა (თქვენ დაამატეთ!):

2. რიდე – ციური თუ ცბიერი

„გალაკტიონის ცეცხლი და ბურუსი“ ზურაბ კიკნაძის საუკეთესო წერილების რიგს მიეკუთვნება. https://burusi.wordpress.com/2010/12/09/galaktion-tabidze-29/

იგი ეძღვნება გალაკტიონის ერთი ლექსის ანალიზს. გავიხსენოთ იგი:

სანამ წვიმა გადივლიდეს,
გზები გამშრალდებოდეს,
ნუ მოაცლი ციურ რიდეს,
რომ ბურუსში ჩნდებოდეს.
თითქო სული სადმე ვლიდეს,
და გულს ცეცხლი სდებოდეს.
სანამ წვიმა გადივლიდეს,
გზები გამშრალდებოდეს.

ავტორი შესავალშივე, ვიდრე ვარიაციების გზით ამ ერთი ქმნილების სამყაროში გაგვიძღვებოდეს, დეტალურად აღწერს ხელნაწერს:

„ჩვენს წინ არის პოეტის ერთი ობოლი ლექსი, რომელსაც არც სათაური აქვს და არც თარიღი უზის. ავტორს მისი გამოქვეყნება არ უცდია. პირველად მისი სიკვდილიდან თოთხმეტი წლის შემდეგ დაიბეჭდა აკადემიური გამოცემის VII ტომში. ავტორი ამ, ერთი შეხედვით, მინიატურულ ლექსს, როგორც ჩანს, არ მიბრუნებია. დაუწყია მისი ჩაწერა ფანქრით, გაუგრძელებია მწვანე მელნით და მწვანე მელნითვე უსწორებია მთელი თხზულება, და ასე დაუტოვებია“.

ზურაბ კიკნაძის წერილში წინ მკითხველს მართლა ვრცელ მისტიკურ სივრცეში მოგზაურობა მოელის. ეს სივრცე არა მხოლოდ ევროპული აზროვნების ჰორიზონტებს მოიცავს, არამედ კაცობრიობის ისტორიის უღრმეს ძირებს სწვდება, ჩვენ წინ იშლება მისტიური სანახები: ბიბლია, დაო დე ძინის, სუფისტების სამყარო...

ამ წერილის წაკითხვა მართლაც ერთი სიამოვნებაა.

საკუთრივ ბიბლიასთან დაკავშირებით ნათქვამია რიდისა და კულულის, როგორც ღვთაებრივი ემანაციის, გამოსხივების, ასევე საიდუმლოს დამფარავი საგნის მნიშვნელობასა და არსზე. აქვეა ვერლენისა და ფრანგული სიმბოლისტური გამოცდილების კონტექსტი.

ხომ მართლა შთამბეჭდავია ეს ყველაფერი, არა?

შთამბეჭდავადაც დარჩებოდა, რომ არა ერთი, თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ კონცეპტუალურად უაღრესად მნიშვნელოვანი რამ:

გალაკტიონის ანუ ავტორისეულ ხელნაწერში არის არა „ციური რიდე“, არამედ „ცბიერი რიდე“. რაც გარკვევით იკითხება და აკადემიური თორმეტტომეულის გამომცემლებს ან კორექტურა გაეპარათ, ან თვითნებურად „გააშინაარიანეს“ ტაბიძის ლექსი, ხოლო წერილის ავტორი ენდო მათ გამოცემას და ააგო ვარიაციათა მთელი შენობა ისე, რომ საბოლოოდ ძალიან, ძალიან კი არა საერთოდ ასცდა და დაუპირისპირდა გალაკტიონის ჩანაფიქრს.

მართლაც, თითქოს დიდად არც განსხვავდება ორი სიტყვა „ცბიერი“ და „ციური“, ფონეტიკურადაც ახლოა, ჟღერადობა, მარცვლოვანება და ასე შემდეგ. კონცეფციას თუ არ გავითვალისწინებთ.

„ციური რიდე“ – სავსებით ითავსებს ყველა იმ ბიბლიურ, დადებით მნიშვნელობას, რასაც წერილის ავტორი აღნიშნავს. იფარავს იდუმალს, აკავებს ემანაციის მოქმედებას და ასე შემდეგ. მაგრამ ეს როდია რიდის ერთადერთი სახეობა ბიბლიაში.

არსებობს მისი საპირისპირო, ასე ვთქვათ, „სატანური რიდეც“, (პირდაპირ ასე მოიხსენიებს ყურანი), სხვაგვარად – ცოდვის რიდე, რომელიც გვეფარება რა, უფლისგან ჩვენს ადამიანურ სახეს ფარავს, ანუ იგი „ცბიერი რიდეა“. მის შესახებ საუბრობს პავლე მოციქული (მეორე კორინთელთა 3:7-13-15,16-18 და ა. შ.).

7. და თუ მსახურება სიკვდილისა, ქვაზე ასოებივით გამოსახული, იმდენად სასახელო იყო რომ ისრაელის ძენი თვალს ვერ უსწორებდნენ მოსეს სახეს, მისი დიდებული იერის გამო, რომელიც, თავისი დიდებულების მიუხედავად, მაინც წარმავალი გახლდათ, –

8. რამდენად უფრო სასახელი იქნება სულის მსახურება დიდებით?

9. რადგანაც, თუ განკითხვის მსახურება დიდებაა, მით უფრო მეტი იქნება დიდება სამართლიანობის მსახურებისა,

10. იმდენად, რომ იმ დიდებას აღარც კი ეთქმის დიდება ამ უზენაეს დიდებასთან შედარებით.

11. ვინაიდან თუ წარმავალს ჰქონდა დიდება, რამდენად უფრო მეტია დიდება წარუვალისა.

12. ამიტომ ასეთი სასოების მქონენი უფრო თამამად ვმოქმედებთ,

13. და არა როგორც მოსე, რიდე რომ ჩამოიფარა სახეზე, რათა ისრაელის ძეთ არ ეხილათ დასასრული წარმავალისა.

14. მაგრამ დაჩლუნგდა მათი გონება, რადგანაც იგივე რიდე, ძველი აღთქმის კითხვისას, დღემდე ჩამოუხსნელი რჩება, ვინაიდან მხოლოდ ქრისტეში იხსნება იგი.

15. ასე რომ, დღემდე, მოსეს კითხვისას, იგივე რიდე უბურავთ გულს.

16. მაგრამ როცა უფლის მიმართ მიიქცევიან, ჩამოეხსნებათ საბურველი.

17. უფალი სულია, ხოლო სადაც უფლის სულია, იქვეა თავისუფლება.

ქრისტეში შესვლა არის გათავისუფლება ამ „ცბიერი“ რიდისგან, ანუ გალაკტიონისეულ ხელნაწერში გვაქვს, საიტ galaktion.ge-ზე: https://galaktion.ge/?page=Poetry&id=2520

სანამ წვიმა გადივლიდეს,
გზები გამშრალდებოდეს,
ნუ მოაცლი ცბიერ რიდეს,
რომ ბურუსში ჩნდებოდეს.
თითქო სული სადმე ვლიდეს,
და გულს ცეცხლი სდებოდეს.
სანამ წვიმა გადივლიდეს,
გზები გამშრალდებოდეს.

თუ ლექსს წავიკითხავთ ისე, როგორც ხელნაწერშია, იგი კვლავ შეინარჩუნებს მისტიკურ საბურველს, ოღონდ ქრისტიანული კონცეფცია ზურაბ კიკნაძისეულის საპირისპიროდ შეიცვლება.

გამოვა, რომ ლექსი ამბობს, ვიდრე ავდარია, ვიდრე წვიმს და გზები სველია, დაე, ფარავდეს მას, (ვიღაცას თუ რაღაცას) ცბიერი რიდე, ღმერთს, ქრისტეს არ ეჩვენოს თავისი ნამდვილი სახით, იყოს ბურუსოვანი, ამის გამოა, რომ სული სადღაც ვალს, გულს ცეცხლი ედება, მაგრამ გზები გამშრალდება, ანუ გამოიდარებს, საბოლოოდ დადგება დარი და ყოველივე ცხადი შეიქმნება.

გალაკტიონი ამაყობდა, რომ მოსკოვში უმაღლესი სარჟისორო კურსები დაამთავრა, იგი ძალზე განიცდიდა, რომ ხელმოკლეობის გამო არ მიეცა საშუალება, მიეღო უმაღლესი განათლება საკუთარი ბიძაშვილი ტიციანივით. მას რეალურად, მიღებული ჰქონდა სასულიერო განათლება, ჯერ ქუთაისში, შემდგომ თბილისში.

იგი არ ყოფილა ორთოდოქსი მორწმუნე, ცალკე შესწავლის თემაა და ვინ იცის, უკვე შესწავლილიც დემონიზმის გამოვლინებანი მის შემოქმედებაში, მაგრამ ბიბლიურ ცოდნას კი ნამდვილად ფლობდა, რაც ვფიქრობ, ამ რეფრენული რკალით შეკრულკომპოზიციიანი, პატარა ლექსის მისეული ჩანაფიქრითაც დასტურდება.

ერთი პერიოდი, ვფიქრობდი, რომ როდესაც ავტორის ამა თუ იმ ქმნილებას ვაანალიზებთ, აუცილებელია, წარმოდგენა შევიქმნათ მის მაშინდელ თეზაურუსზე, რათა ჩვენი ცოდნის პირობებში, გარედან არ შევიტანოთ მის შემოქმედებით, კონცეპტუალურ ველში რაიმე ისეთი, რაც მას არ შეიძლება, იმ დროს სცოდნოდა (მაგ. დაო დე ძინი).

ახლა ვფიქრობ, რომ ეს არის მეტისმეტად ბუკვალური მიდგომა, რადგან გამორიცხავს სწორედ იმას, რითაც გალაკტიონი არის დიადი – გენიალურ ინტუიციას.

გენიალური ინტუიცია არის სწორედ ის რაც განაპირობებს „უეცარ ფეთქებას“, ნახტომს დროსივრცულად დაშორებულ სამყაროში.

დასასრულს, მინდა გარკვევით განვაცხადო: ამ ჩემი მცირე ოპუსის მიზანს არ წარმოადგენს ზურაბ კიკნაძის ნააზრევის კრიტიკა. ეს ჩემი მხრიდან უდიდესი კადნიერება იქნებოდა. მკითხველს ვურჩევდი, გულდასმით წაიკითხოს მისი ყოვლისმომცველი წერილი, რომელსაც ერთადერთი ნაკლი აქვს, – გალაკტიონის რეალურ ჩანაფიქრს ასცდა, იმის გამო, რომ შეცდომა – ადამიანურია, შემდგენლებმა, რომელთაც თავის დროზე მართლაც დიდი შრომა გასწიეს, თავიდან არასწორად ამოიკითხეს ორიგინალი და შემდგომ ყველა გამოცემაში ასე, შეცდომით გავრცელდა ლექსი.

3. თარგმანი? ორიგინალი?

რა არის საკმარისი, რომ უცხოური ტექსტის თავისუფალი თარგმანი ორიგინალურ ლექსად მივიჩნიოთ?

საკითხი, რომელსაც აქ ვაყენებ, – ჩემთვისაც ბოლომდე უპასუხოა.

ამას წინათ აკაკი წერეთლის ორიგინალური, პატრიოტული ლექსი განვიხილეთ „ღამურა“, რათა ცხადგვეყო, რომ ტყუილია ინტერნეტში მავანთა მიერ კონიუქტურულად გავრცელებული აზრი, თითქოს იგი რუსული პოეზიიდან თარგმანს წარმოადგენდეს.

იქ სურათი ცხადი და აშკარა იყო, ფაქტები მთლიანად ჩემს მხარეს ამაგრებდა; აქ – საკითხი ცოტა სხვაგვარადაა. არსებობს ასეთი ლექსი გალაკტიონისა, რომელსაც სავარაუდო თარიღად 1927 წელი უზის:

როგორც კი დილა გათენდება

როგორც კი დილა გათენდება ცისკრის ბურებით,
მთელი დღე ყველა ხევებში ისმის,
რომ თქვენ მინდვრებში მიეშურებით –
რომ უმანკოა თქვენი კისკისი.
მწარე სიცხისგან დაგიფარავთ ქუდი ჭილოფის,
სამოსი რაა? უბრალო ჩვარი!
არ გეშინიათ არც ეკლების, არც დაღლილობის,
უფრო კარგი დღე ქვეყნად არ არის.

თქვენ, ახალგაზრდა გატაცების უმანკო თასი
ნაზ და ცბიერი სიტყვების მახეს,
ამ ჭრილობისგან ყველამ იცის სიცოცხლის ფასი...
შეხედეთ თვალებს, შეხედეთ სახეს,
ამაო არის უსულგულო ზრუნვა და შრომა –
აი დღეებს რა აიადონებს.
ტყეთა კაბების ყვავილოვან ნაოჭთა კრთომა,
რითაც არ რთავენ თვითონ მადონებს.

[1927 წლამდე]

https://galaktion.ge/?page=Poetry&id=590

ალბათ ნებისმიერი პოეტი იქნებოდა დღეს კმაყოფილი, ასეთი თავისუფალი ლექსი რომ დაეწერა, ტრადიციული რიტმი რომ თითქოს არის და არც არის, იქვეა, „უკანა სცენიდან“ მოქმედებს...

რითმა – ჯვარედინი, სალექსო აქცენტების უცნაურობა...

და მაინც, თითქოს რაღაც, გალაკტიონისეულ ნახევარფაბრიკატს ვეხებით.

გალაკტიონი – თითქოს არის და არც არის. ფრაგმენტია, აშკარად სხვისი ინტონაციაც ისმის. იქნებ რამე ახალი სცადა?

ამონახსნი ამავე საიტ galaktion.ge-ზეა.

ეს არის ფრაგმენტი ტექსტისა, რომელიც თარგმანთა რუბრიკაში თუ განყოფილებაშია შეტანილი, თუმცა, ფრაგმენტის გარდა, კიდევ რაღაცას შეიცავს და მთლიანი სახე კი ასეთი აქვს.

პოლ ვერლენ

* * *

გულუბრყვილო და იისფერი ჩვენი თვალები
ძველ წელიწადთა რომანებში თუ იმალება.
და ყვავილები ჩვენი თეთრი თავსაფარავის
ისე, როგორც ჩვენ, აღარ ახსოვს ეხლა არავის.

ერთმანეთისთვის კარგის მეტი ჩვენ არ-რა გვინდა,
დილის სხივებიც არ არიან იმგვარად წმინდა,
ვით ჩვენი ფიქრი, სამუდამოდ გულს რომ დაყვება;
ცის ლაჟვარდივით სპეტაკია ჩვენი ზრახვები.

როგორც კი დილა გათენდება ცისკრის ბურებით,
ჩვენ მინდვრებისკენ სიხარულით მივეშურებით.
ვეძებთ ყვავილებს, ვიჭერთ პეპლებს, ისევ ის ისმის
ჩვენი სიცილი, ჟრიამული, ჩვენი კისკისი..

ამ სიცხისაგან ჩვენ გვიფარავს ქუდი ჭილოფის,
არ გვეშინია არც ჭორფლისა, არც დაღლილობის.

ჩვენი სამოსი უბრალოა – მსუბუქი ჩვარი,
ო, უფრო თეთრი ამ სამოსზე ქვეყნად არ არი!

კავალერები – რიშელიე და თვით აო-ბლაზი,
ან დე კოსადი – მათ იციან რა ჩვენი ფასი,
გვიგებენ ნაზი და ცბიერი სიტყვების მახეს,
რა ეშმაკურად ინაზებენ თვალებს და სახეს.

მაგრამ ამაო არის მათი ზრუნვა და შრომა,
ჩვენი კაბების ირონიულ ნაოჭთა კრთომა –
აი, პასუხი ღირსეული ამ ვაჟბატონებს,
არ დაინდობენ ისინი ხომ თვითონ მადონებს.

ამ გიჟებს ჩვენი სისპეტაკე უფრო აგიჟებს.
მართლა რომ ხელში ჩავუვარდეთ, აღარ გაგვიშვებს.
წმინდაა ჩვენი გულგრილობა და სულთა ცნობა,
თუმცა ხანდახან ჩვენი გული და ჩვენი გრძნობა

ამღელვარდება უცნაური რაღაცა ფიქრით,
ვაი თუ სადმე უფსკრულების ნისლებში მივქრით –
ჩვენ შიში გვიპყრობს, ჩვენ ვფითრდებით და ღელავს მკერდი,
მართლა არავინ შეგვიყვარდეს, არ გაწყრეს ღმერთი!

1925

https://galaktion.ge/?page=Translations&id=3147&fbclid=IwAR2WiLlFPJ4Ek6G5P_0axypnlHtx3jh1oTfPibgkD8oEQDMR9WDXc1_AM-g_aem_AfkfafHuXddwOzaTuCtjeFsn2hDcmha1IsK3TlLMkCdk4rItSaERnVl8bm6ftKM85D4&mibextid=Zxz2cZ

თვალსაჩინოებისთვის, ცალკე ვდებ მონაკვეთს, რომელიც ემთხვევა, ან ნაწილობრივ ემთხვევა ჩემ მიერ ამ ოპუსის დასაწყისში დადებულ ლექსად მოხსენიებულ ტექსტს, რომელიც სავარაუდოდ დათარიღებულია 1927 წლით:

როგორც კი დილა გათენდება ცისკრის ბურებით,
ჩვენ მინდვრებისკენ სიხარულით მივეშურებით.
ვეძებთ ყვავილებს, ვიჭერთ პეპლებს, ისევ ის ისმის
ჩვენი სიცილი, ჟრიამული, ჩვენი კისკისი...

ამ სიცხისაგან ჩვენ გვიფარავს ქუდი ჭილოფის,
არ გვეშინია არც ჭორფლისა, არც დაღლილობის.
ჩვენი სამოსი უბრალოა – მსუბუქი ჩვარი,
ო, უფრო თეთრი ამ სამოსზე ქვეყნად არ არი!

რამდენადაც მე ვიცნობ ვერლენის პოეზიას, იქ ასეთი ლექსი არ იძებნება.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არც არსებობს. მე აქამდე მოვედი და ამის იქით კონკრეტული სიტყვა უკვე ფრანგული პოეზიის მცოდნეებმა უნდა თქვან.

ორი რამ მაინც გასასწორებელი მგონია:

1. თავში მოყვანილი ტექსტის თარიღის დაზუსტება შეიძლება, იგი წარმოადგენს მეორე, 1925 წლით დათარიღებული ტექსტის ფრაგმენტს, იქნებ ფრაგმენტის ერთ-ერთ საწყისს, სამუშაო ვერსიას.

2. მისი გატანა დამოუკიდებელ ლექსად – გაუმართლებელია.

არ ვიცი, იქნებ ეს უკვე ასეცაა, გალაკტიონის აკადემიურ გამოცემაში, რომელიც ამ ორიოდე წლის წინ გამოვიდა და რომელზეც მე ხელი არ მიმიწვდება.

4. ანაგრამა

ტერმინ „ანაგრამას“ უამრავჯერ ვიყენებთ, გვისაუბრია მის შესახებ, სხვა ოპუსშიც შევხებივართ. არსებობს მისი ვიწრო და ფართო განმარტებანი. ასეთი მოკლე ახსნა, თუმცა მხოლოდ მისი ერთი ასპექტის მომცველი, პირადად მე ჯერ არ მინახავს და მომინდა თქვენთვის გაზიარება:

“Anagram

A word spelled out by rearranging the letters of another word; for example, “The teacher gapes at the mounds of exam pages lying before her”.

ვთარგმნოთ:

ანაგრამა ეწოდება სიტყვას, რომელიც სხვა სიტყვის ასოთა გადაადგილებითაა მიღებული.

აქ განმარტების მერე ორიგინალში მოყვანილია მაგალითი, რომელშიც ინგლისური სიტყვის ანაგრამაა.

ეს, ცხადია, თარგმანში ასე ზუსტად ვერ გადმოვა,

პირობითად კი ასე იქნება:

მასწავლებელი უცქერს
გამოცდის მერე ფურცლებს:
– ერთი შეხედეთ ამათ,
ნაწერის მთელი მთაა!

(ამათ – მთაა)

თუმცა მაგალითისთვის, უმჯობესია, სახელდახელოდ შევადგინოთ მარტივი ქართული ანაგრამა:

მაგ.:

მობუზულია ვაცი, რადგან ძალიან ცივა.
გაპარსულია იგი, ვერც ვერაფერი იცვა.
ამიტომაა ახლა უმადოცა და ავიც.
თუ შეციებულს იცავ, თუ გეცოდება, აცვი!

აქ სიტყვა „ვაცი“ – ხუთჯერაა ჩაანაგრამებული:

ვაცი

ცივა
იცვა
ავიც
აცვი
იცავ

სახალისო დავალება:

ა. მოიფიქრეთ სხვა ანაგრამები

ბ. ეცადეთ, მოფიქრებული მაგალითი გააშინაარსიანოთ, დააკავშიროთ ერთმანეთთან და აქციოთ წინადადებად, მით უკეთესია, თუ გამოგივათ ლექსად.

გ. მოიძიეთ ანაგრამის ნიმუშები ქართული პოეზიიდან.

გეზი: ქართულ პოეზიაში ანაგრამა საუკუნეთა მანძილზე ცოტა როდია, ხოლო თანამედროვე პოეზიიდან მისი ნიმუშების სიმრავლით მკვეთრად გამოირჩევა პაატა ნაცვლიშვილის ლექსები.

5. რიტმული ინერცია ანუ შლეიფი

ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში ლექსმცოდნეობაში სხვადასხვა მკვლევართა მიერ დაფიქსირებული იყო ერთი მოვლენა, კანონზომიერება, რომელსაც საერთოს და ზოგადსაც ვერ ვუწოდებდით და რომელსაც ხან „რიტმული ინერცია“, ხანაც „რიტმული შლეიფი“ ეწოდება.

რას ნიშნავს ეს?!

მარტივად – შინაარსის მიბმას რიტმულ ფორმაზე, ვარიაციაზე, გამომსახველობაზე.

კიდევ უფრო მარტივად, ეს ნიშნავს, რომ როცა წინამორბედის რიტმს ითვისებს მომდევნო ავტორი, რიტმთან ერთად, ინერციით განწყობაც მოჰყვება და შინაარსობლივი აქცენტებიც.

მოდით, ვნახოთ ამისი საინტერესო მაგალითი ქართული ლექსის ისტორიიდან!

შოთა რუსთველის, ისევე როგორც ყოველი გენიოსის მოვლენების შემდეგ, მრავალ პოზიტიურთან ერთად, გამოიკვეთა ორიოდე ნეგატიური მოვლენაც: ეპიგონთა სიმრავლე და სფეროს განვითარების კონსერვაცია გარკვეული დროის მანძილზე.

ჩვენს შემთხვევაში ამ კონსერვაციამ საუკუნობით გასტანა, ვიდრე არ გამოჩნდა მის მერე ქართული ლექსის პირველი რეფორმატორი – დავით გურამიშვილი, რომლის „დავითიანშიც“, როგორც აკადემიკოსი თამარ ბარბაქაძე აღნიშნავს, ოთხმოცზე მეტი რიტმული საზომი და მათ შორის ოცდაათზე მეტი ორიგინალური, როგორც თავად უწოდებდა „ხმაა“ შემოტანილი (ციფრები მომყავს მეხსიერებით, მეტი დაინტერესების შემთხვევაში, გირჩევთ, მოიძიოთ მისი ნაშრომები).

გურამიშვილის ფორმობრივ ნოვაციათა შორის ქრონოლოგიურად პირველი უნდა იყოს ერთი „ხმა“, – მისი თავგადასავლის შედარებით ბოლო ნაწილიდან, თუმცა ზუსტად დათარიღება არ შეგვიძლია.

სხვა ხმა

მოწყალების კარო, შენს ზღურბლს მოვეკარო,
უსახლკარო ვარო, ვითხოვ, შემიფარო!
ვით მოწყალე ხარო, ცოდვილთ მეოხარო,
რაც მე მოგითხარო, შენ მით განმახარო,
მახუმრ-მამასხარო, მაცინ-მახარხარო,
დავითის მტერთ ხარო ძირით აღმოსთხარო!
(„დავითიანი“)

– გურამიშვილის შემდგომ ვინ იყო ქართული ლექსის ყველაზე დიდი რეფორმატორი, არა ქრონოლოგიურად, არამედ მნიშვნელობით?

– ცხადია, გალაკტიონი. მან გურამიშვილის არაერთი „ხმა“ – რიტმი გადაამუშავა შემოქმედებითად.

მაგალითად, „მე და ღამე“ („ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი“ – გენეტიკურად უკავშირდება გურამიშვილის „ხმას“... (მომყავს არა ქრონოლოგიურად ადრინდელი, არამედ უფრო პოპულარული მისი ნიმუში):

„ზუბოვკიდან მომავალმა ვნახე ერთი ქალი“.

ვნახოთ ერთი მაგალითიც!

გურამიშვილი ამბობს:

გულმან მითხრა: ადეო! რაღათ მაიცადეო?
თუ არა იქ, ვით იქნას, რაც რომ დაიქადეო?
ჯერ რაც უფალთ ყალანი გედვას, გარდიხადეო;
სთხოე, ძალა მან მოგცეს, ვისგანც დაიბადეო,
კვლავ წადი და განხეთქე მტერთ მახე და ბადეო;
მას კაცს, ღვთისა საყვარელს, მიჰყევ, თავი ანდეო,
ვისაც დავით ხადოდეს, უფლად შენ მას ხადეო!
(370, კე. სვინიდისის მხილება დავითისა, ოდეს დატყოებულმან გამოპარვა გაივლო გულშია)

ამ საზომის რიტმულ ვერსიას ამუშავებს გალაკტიონი თავის შედევრებში:

როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი...

„ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები“

და ა. შ.

ახლა ისევ გურამიშვილის პირველ ნიმუშს – „სხვა ხმას“ მივუბრუნდეთ.

შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონმა მოდერნისტულად დაამუშავა, გაამარტივა და „გაამსუ-ბუქა“ ეს „ხმა“, ლექსიდან, რომელშიც გურამიშვილი მისამდელი ტრადიციის დარად, მონორაიმს/მონორითმას იყენებდა, ანუ ყველა ტაეპს ერთ რითმაზე აწყობდა და მან რუსული პოეზიის დარად, ჯვარედინად გარითმა იგი. ასევე კატრენული (ოთხსტრიქონედი სტროფების ფორმა მისცა). თუმცა შინაარსობრივი, თემატური რიტმული შლეიფი გადმოიყოლა. გურამიშვილთანაც და გალაკტიონ-თანაც საუბარია „სახლზე“:

მთაგორეგის ზემო...

მთაგორების ზემო –
განდგომილთა ახლო,
არ გაშენებ, ჩემო
მშვენიერო სახლო!

მირჩევნიხარ სადმე
კვლავ ღარიბად მდგარი,
ვით დავთმევი, დათმე
შენაც ზენა-ქარი.

და ვიცხოვროთ ასე,
დაყრდნობილი მარად
მხოლოდ ჩანგის ხმაზე,
მხოლოდ ხალხის კარად.

მთაგორების ზემო –
განდგომილთა ახლო,
არ გაშენებ, ჩემო
მშვენიერო სახლო.

(გ. ტაბიძე, 1938 წლის 2 აპრილი)

თუმცა „რიტმული ჯაჭვი” აქ როდი მთავრდება.

ანა კალანდაძე ასევე მიმართავს გურამიშვილის ამ უნიკალურ, გათანამედროვებულ, შაირთან შედარებით მკვეთრად დამოკლებულ „ხმას“ (4/2) და ქმნის მის ვარიაციას, აუქმებს სტროფიკას, თუმცა ისიც გალაკტიონივით, ჯვარედინად რითმავს და მასაც გადმოჰყვება სახლის თემა, ოღონდ გაფართოებულ, კარ-მიდამოდ ტრანსფორმირებული:

აკაციის ტევრი...
წნელის სუსტი ღობე...
ქუდმოხდილი ქვევრი...
ღვინიანი კოპე...
აქ – მზით დამწვარ ხელში
ღვინიანი ჭიქა...

იქ-ცარიელ ქვევრში
დამწყვდეული ჭინკა...
პაპის მონაცემი,
მარად საოცნებო,
კარ-მიდამო ჩემი
დამილოცეთ ძმებო!
აკაციის ტევრი...
წნელის სუსტი ღობე...
ღვინიანი ქვევრი...
ღვინიანი კოპე...
(ანა კალანდაძე)

დარწმუნებული ვარ, თუ მოიწადინებთ, ამავე რიტმის არაერთ ვარიაციასაც აღმოაჩენთ სხვა ქართველ პოეტებთან.

ასევე აღმოაჩენთ მეტ ნიმუშს რიტმული ინერციისა ანუ შლეიფისა.

არაა გამორიცხული, თავადაც მოისურვოთ ნიმუშების შექმნა.

P. S.

ესეც – ჯაჭვის მეოთხე რგოლი იყოს, ვიდრე თქვენ რამეს მოიძიებდეთ!

ამ წუთას დავწერე გურამიშვილის გავლენით, სახლის თემაზე ეტიუდი. იმდენად ვერ გავკადნიერდები, რომ ძირითად ტექსტს მივაწერო ბოლოში და პოსტ სკრიპტუმად – რა უჭირს!

ნინო დარბაისელი სტრონი

სახლი
(ეტიუდი)

მთლად თბილისის ბოლოს, მთა-გორებთან ახლო,
მენატრები ჩემო ჩაკეტილო სახლო,
მოგონებებს ძველებს ფიქრი უნდა ვახლო
და ჭრილობა ძველი უნდა გავიახლო.
მანდ ტაძარიც არის სადღაც, ახლომახლო
და ძეძვებით სავსე ძველი სამოსახლო.
ლამის არის დარდებს შევრჩე, ჩავემძახლო,
გინდა, გარდასულის სული შეისახლო?!

ვარსკვლავებით მოჭედილი ცა აფხაზეთის თავზე

(ანონსი-გამოხმაურება კრებულისათვის „სადაც სახლი მელოდება“)



იდეის ავტორი – ბელა ალანია.
გამომცემლობა „საარი“, თბილისი, 2023.
შემდგენელნი – სარედაქციო კოლეგია: მაია მიქაია, ლია მეტრეველი, მარინა თექვთუმანიძე, ლია მიქაბერიძე და ჯუბა ღებელი.
მხატვარი – ელდარ ქავშბაია.
სპონსორი – ნუკრი დიასამიძე.

შარშან, დაახლოებით ამ დროს, პირად საუბარში ბელა ალანიამ თავისი იდეა რომ გამიზიარა, აფხაზეთისადმი მიძღვნილი ანთოლოგიური, პოეტური კრებული მინდა გამოვცეო, მართალი გითხრათ, ეჭვიც შემეპარა ამ იდეის მართებულობაში, არც დამიმალავს და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მსოფლიოში კარგად აპრობირებული გამოცემის ამ სახეობას – თემატურ ანთოლოგიას ჩვენში არცთუ ისე მდიდარი ტრადიცია აქვს... თუმცა მისი ისტორიული ნიშნულები – სამაგიდო, ან გულის მეხსიერებით სატარებელ წიგნებად გვექცა.

აქ მხოლოდ ორს დავასახელებდი – მურმან ლებანიძის შედგენილ „შედევრებსა“ და „სიყვარულის წიგნს“, გივი გეგეჭკორის, ემზარ კვიტაიშვილისა და ტარიელ ჭანტურიას მიერ შედგენილს, გურამ ასათიანის შესავალი წერილით, მე ვიტყოდი, პოეტური პროზით, რომელიც მჯერა, ყველა ქართველმა პოეზიის მოყვარულმა ჩემსავით ლამის ზეპირად იცის – „როგორ უყვარდათ საქართველოში“.

აქ ცოტა გადავუხვიოთ ჩვენი საუბრის ძირითად თემას და გურამ ასათიანის წერილის ფინალი გავიხსენოთ:

„ერთ მშვენიერ დღეს ბროწეულის ლორთქო ფესვები კადნიერად გაჰკვეთენ ქვიან ბალავარს და სარკოფაგის მრავალსაუკუნოვანი სიგრილიდან ისევ ამოგიზგიზდება, „ვით ბაზმა უქრობელი – ჩვილი და უმწეო, სამარადისო ხმა: „ძევახ, სიცოცხლეო ჩემო!“

დავუბრუნდეთ ისევ წიგნს „სადაც სახლი მელოდება“. მთავარი, რის გამოც დამაეჭვა ამ იდეის მართებულობამ, ის იყო, რომ ოფიციალურად, მთელი მსოფლიოს მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრების შიგნით აღიარებული აფხაზეთისადმი დამოკიდებულება, ამ წიგნში პოეტურ ენაზე გამოვლენილი, შეიძლებოდა, სულაც არ მომსახურებოდა დიდ და რთულ, კეთილშობილურ საქმეს, სწრაფვას ურთიერთნდობის, ურთიერთსიყვარულის აღდგენისაკენ.

ხომ უკვე სამი ათეული წელი გავიდა ძმათა შორის სისხლისმღვრელი იმ ომის შემდეგ, მაგრამ არცერთ მხარეს გულის ჭრილობები ჯერ არ მოშუშებია და ალბათ არც არასდროს მოუშუშდება, ვიდრე ისევ ერთად არ ვიქნებით. ამას კი დრო და ფრთხილი შრომა, სხვაც ცოტა რამ როდი სჭირდება.

ომში ანგელოზები იქნებ არსებობენ კიდეც, მაგრამ სამწუხაროდ, ის ანგელოზები გაოგნებულები, ფრთაშეტრუსულები დაფრენენ და ისინი – მიწიერი მეომრები არ არიან.

უპირველეს ყოვლისა კი საჭიროა, სიყვარულის ხიდი, ხიდი ურთიერთთანაგრძნობისა, ურთიერთშენდობისა – ახლიდან, ფრთხილად გაიდოს ჩვენს შორის.

იყო და არის ასეთი ლოზუნგი „გვახსოვდეს აფხაზეთიო“.

რაკი მე არ მჯერა, რომ ვინმეს შეიძლება, მართლაც როდესმე დაავიწყდეს იგი, ასე ვიტყოდი – „გვახსოვდეს აფხაზეთთან ერთობა!“. ამას უნდა ვესწრაფვოდეთ.

სარჩევი

როინ აბუსელიძე
ბელა ალანია
ლალი ასაბაშვილი
ბაღათერ არაბული
ნინო არსენაშვილი
ბექა ახალაია
ციცინო ბაბუციძე
მაია ბათიაშვილი
გიორგი ბალახაშვილი
ლინა ბარათაშვილი
ნომადი ბართაია
ეკა ბაქრაძე
ვასილ ბესელია
მანანა ბრაჭული
რონა ბუბუტეიშვილი
მანონ ბულისკერია
ეკატერინე გაბედავა
თამარ გაბოძე
ლეილა გაფრინდაშვილი
ლიპო გვაზავა
ლაშა გვასალია
ნათია გიორგაძე
ნონა გიორგაძე
გაგა გომართელი
მაყვალა გონაშვილი
გურამ გორდეზიანი
ბათუ დანელია
ნინო დარბაისელი
ნანა დემეტრაძე
მადონა დვალი
მაია დიაკონიძე
ნუკრი დიასამიძე
გენრი დოლიძე
ქეთევან დოლიძე
თემურ ელიავა
მირანდა ერისთავი
ილია ერქვანია
ვერონიკა ვერულაშვილი
ნატალია ზღვისპირელი
გიზო თავაძე
ივანე თარბა
მარინა თექთუმანიძე
გიორგი თუშიშვილი
ნუგზარ თუმანიშვილი
ირმა თხინვალელი
ნატო ინგოროყვა
ჯემალ ინჯია
მადონა კალანდია (საპოვნელა)
რუსუდან კაიშაური
მაია (მარინე) კახიძე
მთვარისა კერესელიძე
ნანა კვაშილავა
ეკა კვიციანი (კატერინა)
სერგი ლომაძე, კახა ბაციკაძე
ნინო ლორთქიფანიძე
ირმა მალაციძე
ნინო მარსაგიშვილი
თემურ მარშანიშვილი
რობერტ მესხი
ციური მესხიშვილი
ლია მეტრეველი
ნანა მეფარიშვილი
ლია მიქაბერიძე
მაია მიქაია
ნინო მოდრეკილაძე
მეგი მოლოდინი
ნანა მომცელიძე
თინათინ მღვდლიაშვილი
ნინიკო მშვიდობაძე
ლაშა ნადარეიშვილი
სოსო ნადირაძე
მზისო (ფისო) ნავროზაშვილი
ლია ნაროუშვილი
ვაჟა ოთარაშვილი
მარი უღენტი
თემურ უღენტი
ლია რუსიაშვილი
დიკა სალაყაია
ელდინო საღარაძე
ერეკლე საღლიანი
ბადრი სულაძე
ნინო ტარყაშვილი
მაგული ტერმაკოზაშვილი
მანანა ტონია
ედუარდ უგულავა
ნინო უძილაური
ლევან ფანჩვიძე
ლიკა ფარცვანია
ნონა ფიფია
ლალი ფრუიძე
ნინო ქადაგიძე
ბელა ქებურია
ჭაბუკი ქოიავა
ნინო ქოქოსაძე
გენრიეტა ქუთათელაძე
ჯუბა ღებელი
ვახტანგ ღლონტი
სოფიო ღლონტი
დალი ყარაულაშვილი
ლიკა ყიფშიძე
ავთანდილ ყურაშვილი
თამარ შაიშმელაშვილი
ბელა შალვაშვილი
მანანა შალიკაშვილი
დავით შემოქმედელი
თემო შენგელია
ქეთევან შენგელია
ირმა შიოლაშვილი
ჯემალ შონია
მარი ჩაკვეტაძე
თემურ ჩალაბაშვილი
ბელა ჩეკურიშვილი
გიორგი ჩერქეზია
რაულ ჩილაჩავა
მაგდა ჩხარტიშვილი
მიმოზა ცანავა
ნანა ცინცაძე
სულხან წულუკიძე
თემურ ჭახნაკია
თინათინ ჭეჟია
იზოლდა ჭიპაშვილი
თეა ხასაია
ია ხასაია
მზია ხეთაგური
მაია ხოფერია
ვენიკო ხურციძე
ალექსანდრე ჯინჭარაძე
მარიზა ჯიქია
ციცი გურიელი
ნანა თორია
ლევან ლორია
ნარა მარშანია
ნინო ქადაგიძე
ნანა ქარდავა
ნანა შალამბერიძე
თინათინ ჭეჟია
ნანა ჯეჯეია

მთელი კრებულის თავიდან ბოლომდე გაცნობის ფუფუნება – მე არა მაქვს. მასში 137 ავტორია გაერთიანებული. სრულიად სხვადასხვა მხარისა, სრულიად სხვადასხვა ასაკისა, სხვადასხვა ესთეტიკურ პოზიციაზე მდგომი... მათ ერთი რამ აკავშირებთ – ტკივილიან-სიყვარულიანი მონატრება აფხაზეთისა. მძიმე მოგონებათა კვალი.

არაერთ მათგანს საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი ომის მთელი სისასტიკე, არაერთი მათგანი, დღეს რომ მგონი „იძულებით გადაადგილებულ პირად“ იწოდება და წლების მანძილზე ატარებდა დამღას ლტოლვილისა,

საკუთარი მძიმე ცხოვრებისეული თავგადასავლის შესახებ გვესაუბრება ლექსად, ზოგი – მეომრულ მწარე გამოცდილებას იხსენებს.

კრებულის გამოსვლის ამბავი რომ შევიტყვე, სარჩევში ნაცნობი სახელები მოვიძიე – ჩემი სათვალმჩენოდან – პირველი სიდიდის ვარსკვლავები და წიგნის ელექტრონულ ვერსიაში უპირველესად ისინი მოვიძიე... თორემ დარწმუნებული ვარ, შიგ კიდევ მრავალი და იქნებ უკეთესი კონსტელაციებიც იყოს, როგორც დიდი პოეტი იტყოდა, „გუნდი და გუნდი ვარსკვლავთა მოკაშკაშ-მოელვარეო“.

* * *

მივყვეთ ანბანთრიგზე!

ბუნებრივია, განსაკუთრებით მაინტერესებდა, თავად ამ კრებულის იდეის ავტორი ბელა ალანია როგორი ლექსით მოიწადინებდა მკითხველთა სამსჯავროზე წარდგენას. უფრო ნეიტრალურ რაღაცას ველოდი, აი, ისეთს, ავტორი ბალანსირებულად ყველა მხარეს რომ უკმევს და არ გამართლდა

ჩემი წინასწარი მოლოდინი. სულ ერთი ლექსი შეუტანია – თუმცა შედარებით ვრცელი, ნარატიული ვერლიბრი, იმ მწარე დღეთა გამოცდილებას რომ შეახსენებს საშინელებაგამოვლილ თანაგანმცდელს თუ უზიარებს გარეშე, ახალ მკითხველს, მასში იმგვარი დინამიური სახე-მეტაფორებია, წარმოსახვას კარგა ხანს რომ გაუჭირდება მათგან განთავისუფლება:

შენ მოგუბებულ ცრემლს იკავებ. მეც ძლიერ მიჭირს.
მოგონებები გვტანჯავენ და არ გვასვენებენ.
ჩვენს სახლში დღემდე, ამ წუთებშიც ცხოვრობენ სხვები.
ზუსტად ის სხვები, მთლად ბავშვებს რომ მოგვიკლეს დედა.

* * *

ბაღათერ არაბულს ორი ლექსი შეურჩევია კრებულისათვის.
პირველი – მილიტარული გამოცდილების გამოძახილია:

ზღვა პატრონტაშივით არტყია გაგრას,
გემები გვანან დასატენ ჰილზებს;
აფხაზეთიდან გავდივართ, მაგრამ
მალე დავბრუნდებით ისევ.

გარე ძალამ თავისი „მშვიდობისმყოფელი პოლიტიკის“ „წყალობით“ ძმები დაპირისპირებულ მხარეებად გვაქცია, ერთმანეთს შეგვაკლა. ჩვენ ერთმანეთს ვეომეთ, მაგრამ ომი ერთმანეთთან კი არა, ორივემ რუსეთთან წავაგეთ... თუმცა ვერც თავის დროზე და ვერც ასე გვიან ამისი გაცნობიერება ბევრს ვერაფერს გვიშველიდა.

ყველა უბედურებასთან ერთად, ომს აქვს თავისი ისტერია და ეს ისტერია შიგნიდან, მასში ჩართულ მხარეთა მიერ ვერ იმართვის, გარედან კი როგორ შეიძლება მისით სტრატეგიული მანიპულირება, ეს ხომ ვნახეთ!

მეორე ლექსში ასეთი სტრიქონებია:

ო, აფხაზეთო, მოუშუშარი ჭრილობა ხარ
საქართველოს ნატანჯ სხეულზე...
...დიდი რწმენაც ხარ –
შენი გულისთვის სიცოცხლე და თავგანწირვა
სიხარულს რომ გვანიჭებს ყველას...

ამის წამკითხავმა შუძლებელია, არ დაიჯერო, რომ საქართველო იარსებებს, ვიდრე ეს რწმენა ურყევად ექნება!

* * *

ეკა ბაქრაძის ლექსი აფხაზეთის ომში დაღუპულ თანატოლებს ეძღვნება. ძნელი დასანახი არაა, რომ იგი ხალხური ხმით ნატირლის ფორმობრივი ელემენტებითა და ინტონაციებითაა აგებული:

ზღვა ღელავს და ჰორიზონტი არ ჩანს,
ცას საავდროდ დაუმძიმდა ამინდი..
საქართველო მაინც უნდა გადარჩეს,
ქართველებო, ქუდზე კაცი გამოდით!
ძაძით დაითალხა ქართლის დედა, ბიჭებო,
სიკვდილი წახდენას ვერ გაგიბედავთ,
ზვარაკად ვინ გაგიმეტათ, ბიჭებო?
სამძიმარი გაგვიბევრდა.

ერთი უცნაურობა მინდა აქ აღვნიშნო. რაც ჩვენ ომები გადაგვიტანია საუკუნეთა მანძილზე და მილიტარული პოეზიის დიდი გამოცდილება კი ვერ შეგვიძენია. კი, როგორ არა, გვაქვს აქა-იქ ცალკეული გამონათებანი. მაგრამ სახეობანი ამ პოეზიისა ჩვენს თანამედროვეობაში დიდად ვერ განვითარდა. იქნებ მიზეზი ისიცაა, რომ დეზორიენტირებულნი ვართ, გარეშე, ჩვენზე ძლიერთა მუდმივი მზრუნველობის გამო მტერ-მოყვარე – ვერა და ვერ გაგვირჩევია, არ ვიცით, ვის რა ვუწოდოთ, როგორ მოვიხსენიოთ...

ამ საუკუნის დასაწყისში ახლობელმა სამხედრო ფიცის დადების რაღაც ცერემონიალზე მიგვიწვია და ჩვენი ჯარისკაცები მწყობრად მიაბიჯებდნენ სიმღერით –

„ჩემო ტკბილო მეეე-გობაა-როო,
შენი ნახვა მე-ნატ-რე-ბაა!“

ახლა იმედია, ასე აღარაა, რამე უკეთესს როგორ არ მოიგონებდნენ!..
მაგრამ ეს მსჯელობა უკვე სხვა თემისკენ უხვევს.

* * *

მრავალმა ჩვენგანმა აფხაზეთის ტრაგედიის მთელი სიმძაფრე მაინც გაშუალებულად გადავიტანეთ ან დღემდე ვერც გადაგვიტანია, მაგრამ ჩვენს შორის არიან პოეტები, რომელთა სულსაც ღრმა იარად დააჩნდა ომის გამოცდილება. მათ შორის გამორჩეულია მხატვარი და პოეტი მანონ ბულესკირია:

აქ... ბავშვობაში
მირბენია ორთითა ფიწლით
და ფეხშიშველა შევდგომივარ (გესმის?) ნარიანს!
ნაბილიკარი ჩვენ და კიდე... ჩიტებსაც იცვლის...
ხეები მაინც უსაშველოდ მარტო არიან!

* * *

ბათუ დანელია ლოცვას აღავლენს აფხაზეთისათვის. მისი ინტონაცია იმედიანად გაისმის:

უნდა გველოდო, აფხაზეთო, უნდა გველოდო,
როგორც არ უნდა გაიწელოს უსაშველო დრო,

ო, უჩვენობით გულმოკლულო, მაინც დიდგულო
სიზმარში შენ წინ დაჩოქილი ლოცვებს ვკითხულობ.

შემდგომ ყველა ქართველის გულისთქმას გამოხატავს:

სად გაგონილა ცა უმზეო, ზღვა – უხმელეთო
და აფხაზეთი – უქართველო – უნდა გველოდო!

მე ვიტყოდი, რომ ეს ლექსი „უნდა გველოდო აფხაზეთო“ კრებულის ნამდვილი მშვენებაა, თუმცა ბათუ დანელიას ამაზე უკეთეს ლექსებს რა დაულევს და ნუმც დალეოდეს!

* * *

ჯემალ ინჯიას უფრო ლირიკული და ყოფითი, ოპტიმისტური ჟღერადობა შეურჩევია. მის ლექსში, „თოვლის ბაბუა“ გადმოცემულია სანატრელი ამბავი, თუ შთამომავლები ერთად როგორ შექმნიან რაიმეს, საერთო სიხარულის მომტანს:

გულგასახეთქად უნიღბო და ნიღბიან მტერთა
ვნატრობ – ენგურთან (სადაცაა პუნქტი გამშვები),
რომ დაზამთრდება, აკეთებდნენ აფხაზთან ერთად
თოვლის ბაბუას აფხაზი და სვანი ბავშვები.

დაე, ეს იყოს არაოდენ სურვილი პოეტისა, არამედ მართლაც ბედნიერი „შერბენა“ მომავალში!

* * *

თუ შეიძლება, პოეტური ოსტატობა და მხატვრობა ერთმანეთს შეადაროს ადამიანმა, რობერტ მესხზე ალბათ უნდა ითქვას, რომ იგი, როგორც პოეტი მსუყე მონასმებსა და ტონებს ერიდება, თითქოს წმინდაწვერიანი ფუნჯით მუშაობს არა ტილოზე, არამედ ქაღალდზე, სადღაც, გრაფიკასა და აკვარელს შორის, გალანტურია. მისი ლექსი უფრო ნიუანსებზე იგება და სევდას მეტად სთავაზობს მკითხველს, ვიდრე ტრაგიზმს.

რას ვგულისხმობ, ვფიქრობ, თვალნათლივ გამოჩნდება მის ლექსში „ევკალიპტები“, რომელსაც მთლიანად გთავაზობთ:

ის, რაც წლების წინ გავასხვისე – ევკალიპტები –
დღეს ფოთოლ-ფოთოლ უნდა ვიყიდო
– რა ბრძანეთ? – უცებ მეკითხება აფთიაქარი
მე შორს ვარ (ფიქრით). ის კი აქ არის
და რჩევას მაძლევს: მოვხარშო ორთქლზე,
ჩაის კოვზით ვასვა პატარებს...
– გმადლობთ – ვპასუხობ –
– ამ ხმელ ფოთლებს ჯიბით ვატარებ.

გადაცვეთილი პატრიოტული თემის როგორი ორიგინალური და ფაქიზი დამუშავებაა, ვერც ჩაამატებ და ვერც მოაკლებ ვერაფერს.

* * *

იყო დრო, როცა ქართველ პოეტებს სახალხო მგოსნის სახელი ენიჭებოდათ და ეამაყებოდათ. ჩვენი პოეზია მას მერე მეტად და მეტად კამერული გახდა. გახდა ელიტარულიც, დაშორდა ქართველ ხალხ-მკითხველ-მსმენელს და სადღაც, მოშორებით, როგორც ერთი ჩემი საყვარელი და პატივსაცემი ქალბატონი იტყოდა, „ჩიტის ენაზე დაიწყო მეტყველება“. ეს სიტყვები თქვენს მონა-მორჩილზეც თანაბრად ვრცელდება.

თუ შეიძლება დღეს საქართველოში ვინმე სახალხო მგოსნად იწოდებოდეს, ეს პოეტი და მხატვარი თინათინ მღვდლიაშვილია. ყველა ჩვენგანმა მისი რამდენიმე ლექსი ნამდვილად ვიცით ისე, რომ არც ვიცით, მისი რომაა.

ხომ არ მეგულება მასზე პოპულარული პოეტი ჩვენში და აქ იქმნება სწორედ პარადოქსი – რაც მეტად პოპულარულია იგი ქართველ ხალხში, კრიტიკა თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი მით მეტად დუმან მისი ფენომენის შესახებ. ხანდახან მეჩვენება, რომ ამის მიზეზი ისაა, რომ დაგვეკარგა კრიტერიუმები ამ სახის პოეზიის შეფასებისა, არ ვიცით, როგორ მივუდგეთ, რა თანამედროვე მეთოდი მივუსადაგოთ ასეთ სტრიქონებს:

მაღლა ზეცაა ანაფერადი
და ვარსკვლავების ლურჯი გრაცია...
თქვენ გიყვართ მიწის დიდი თეატრის
ეგზოტიკური დეკორაცია!..

...არა, აქ რაღაც არ არის სწორი! ეს რა რითმაა – გრაცია/დეკორაცია, უკეთესები ხომ მრავლად ვიცით ყველამ!

რატომ, როგორ ზის ასე კარგად! ასე – თავის ადგილას!

არამართებულობის ეფექტია?

პათეტიკის ხასიათზე დამაყენა თინათინ მღვდლიაშვილის ლექსების გაცნობამ და გამიჩინა სურვილი, ვთქვა, რომ იგი თანამედროვე ქართული პოეზიის ფიროსმანია.

* * *

ერეკლე საღლიანის ლექსი „სიხარულით გადმოცემული მწუხარება“ ტრაგიკულობის გამო გულგრილს ვერ დატოვებს ვერც ერთ მკითხველს. მასში გადმოცემულია სვანთა და აფხაზთა ძმობის თავისთავად საინტერესო ამბავი, ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ გაატანა აკვნიანად აფხაზმა მამა შერვაშიძემ უშვილო სვანს საკუთარი შვილი.

გაორებული განცდა დამიტოვა ამ ლექსმა, არ ვიცი, ძველი თვალთახედვით ეს ვაჟკაცური ტრადიცია, რომელიც აუცილებლად მიიპყრობს უცხოურენოვანი, ეგზოტიკისმაძიებელი მკითხველის ყურადღებას, რამდენად მესმის, როგორც დედას? წარმოვიდგენ, ქალს რომ საკუთარი ნაშიერი მკერდიდან მოგგლიჯონ და სხვას აჩუქონ, მამას, კაცებს თითქოს სათვალავში ერთი დააკლდებათ, დედას კი – შვილი?

არ ვიცი, შეიძლება, შორი პარალელიცაა, მაგრამ გამახსენდა რომ სულ მაკვირვებდა ბიბლიის ერთი ამბავი – იობის მოთმინება, რომელიც მერე გოეთეს „ფაუსტს“ დაედო საფუძვლად.

მამა ღმერთი, რომელიც ყველაფერს დააკარგვინებს იობს, შვილებსაც დაუხოცავს, როცა დარწმუნდება მის მორწმუნეობაში, უკან უბრუნებს გაცილებით მეტ ქონებას და ახალ შვილებსაც აძლევს. თითქოს-და მთავარი – რაოდენობაა. აბა, დედის გულს ჰკითხეთ!

ეს ლექსი მამის მონოლოგია და იგი აპოლოგიურ პასუხს იძლევა კითხვაზე:

რატომ?

„მე ჩემს შვილს სტუმარს იმიტომ ვატან,
ძმამ ძმაზე რომ არ აღმართოს ხელი“
...სადღაც, სვანეთის მივარდნილ მთებში
დე, იხმაუროს აფხაზის სისხლმა!

* * *

თამარ შაიშმელაშვილის ლექსს კრებულში უცებ იცნობს მკითხველი, თავისებურად არქაიზებული, კარგი ქართულმეტყველებით. კრებულში მისი რამდენიმე ლექსია. მე ამას ვირჩევდი:

ვერ ვნახე ჩემი აფხაზეთი, მოქვი, ილორი,
როლს არ იცვლიან მანქურთები, მზერით მონგოლის
(თებერვლის პიეტა)

ესეც შთამბეჭდავია:

არ დაკრიფოთ ყაყაჩოები აფხაზეთში,
არ გაუხსნათ ჭრილობა გულის...

* * *

თემურ ჩალაბაშვილის ტრაგიკულად ფერწერული ლექსი „აფხაზეთიდან გამოხიზნული მრავალი ბავშვი გზაში გაიყინა“ ჩემი ფიქრით, ალუზიას შეიცავს ქრისტეზე.

ქრისტეს წითელი სისხლით განვიბანებით ქრისტიანნი და უმწიკვლოდ თეთრნი ვხდებით, ესაა ქრისტიანული მისტერია. ოღონდ თ. ჩალაბაშვილის ლექსში ეს მისტერია საბედისწეროდ, „გადატრიალებულა“ და მწარე რეალობად ქცეულა:

სისხლში მობანავე საქართველოს
ჯავრი ჯარასავით მატრიალებს.
ავაჰმე, დამეწვა გულისპირი,
სიკვდილი დაბუღრაობს სატიალე...
... ...
ვაიმე, თეთრი თოვლი წითელია...

* * *

წარმოუდგენელია, მკითხველი გულგრილად გაეცნოს რაულ ჩილაჩავას ორ ლექს-რეკვიემს – ერთს – მიძღვნილს ჟიული შარტავასადმი და მეორეს – ასევე გმირულად დაღუპული სოხუმის მერის – გურამ გაბესკირიასადმი.

სახელი, როგორც ბედისწერა თუ პოეტური მიგნება? – რა შეიძლება უწოდო სიტყვა ჟიულის მეგრულ ეტიმოლოგიას, რომელსაც რაულ ჩილაჩავა გვთავაზობს!

„ჟი ული(მეგრ) – ცად წავალ!“:
მაგრამ როდესაც ჟამმა დაჰკრა, შეკაზმე ცხენი
და საკუთარი ბედიც უცებ გამოიცანი.

მაღალი პოეზიის ნიმუშია გურამ გაბესკირიასადმი მიძღვნილი, სულისშემძრავი ლექსიც:

უსულო იყო, რომ დაეცა ქალაქის თავი და ამ დაცემას უფრო მკვდრეთით აღდგომა ჰქვია.

ქართველი მკითხველები და მათ შორის მეც, რახანია რაულ ჩილაჩავას – ამ სრულიად უნიკალური პოეტისა და მოღვაწის გულისთვალით ვგრძნობთ და ვხედავთ და არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ უკრაინის განსაცდელს.

* * *

დასასრულ, მინდა წავიოცნებო, რომ თუ მთლიანად ეს დიდი კრებული არა, მისი ნაწილი მაინც ითარგმნოს აფხაზურად...

ამჯერად მე ძირითადად ჩემი პოეტური და მკითხველური შთაბეჭდილება გაგიზიარეთ, რადგან როდესაც ამ ტიპის თემატურ ანთოლოგიას ეცნობი, უადგილო ხდება ლექსმცოდნეობითი განჩხრეკა-შეფასება.

აქ მთავარია აფხაზეთისადმი გამოვლენილი ის დიდი სიყვარული და მონატრება, რომელმაც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მყოფი პოეტური სულის ადამიანები ასე დააკავშირა.

მე ვიტყოდი, რომ ეს კრებული არის ქართული, დიდი თუ მცირე პოეტური ვარსკვლავებით მოჭედილი ცა აფხაზეთის თავზე.

დაე, ყველა ერთად მოვსწრებოდეთ ჩვენი ქვეყნის განთიადს!

მაღლაფ ჩოხარაძე

თავმდაბლობითა და გულწრფელობით გამორჩეული პოეზი

წერილის სათაური არცთუ დიდი ხნის წინანდელი ერთი საგაზეთო პუბლიკაციიდან ავიღე. „შეხვედრა თავმდაბლობით, გულწრფელობით გამორჩეულ პოეტთან“ – ასე ჰქვია წერილს *(მ. ძიძიშვილი, გაზ. „აჭარა“, №73, 4-5.11.2021 წ.)*, რომელშიც ბათუმის ხელოვნების ცენტრში ჯემალ სურმანიძის სალონური შეხვედრის („სტუმრად ვახტანგ ღლონტთან“) ამბავია მოთხრობილი. ამ საოცრად თბილი შეხვედრის, პოეტისა და მისი მკითხველების ემოციათა შესახებ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ უპირველესად, იმას ვიტყვი, რომ სისადავე და გულწრფელობა ყველაზე თვალსაჩინო ნიშანია ჯემალ სურმანიძის პოეზიისა.

შესაბამისად, უბრალოება, სპეტაკი, ბუნებრივი და არა ნაყალბევი განცდა, სათქმელის მკაფიოდ გამოკვეთილი შინაარსი, აზრის სიზუსტე, მისი ლექსის თვისებაა. პოეტი ცდილობს, თავისი სულის ნაწილი, ფიქრი და ოცნება, ტკივილი და სიხარული ზედმეტი ორნამენტების გარეშე მიიტანოს მკითხველამდე და ამავდროულად, ახერხებს, შემოგვთავაზოს მიზანმიმართულად და ოსტატურად გააზრებული მხატვრულ-სახეობრივი სამყარო, რომელიც სავსებით შეესაბამება პოეტის მსოფლაღქმასა და ესთეტიკას.

ერთ-ერთ ინტერვიუში კითხვაზე, თუ რისთვის ღირდა ამქვეყნად მოსვლა, ჯემალ სურმანიძე პასუხობს:

– „ისე უნდა იცხოვრო, ღირდეს გარდაცვალება“, – ხაზგასმული მაქვს ერთგან. ამქვეყნად მოსვლა ღირს იმიტომაც, რომ სამშობლოს, ოჯახის და ზნეობის ღირებულებები გასულდგმულებს, შენი ქმნილებებით „გულის ქოხში“ იფარებ ადამიანებს... „აქ სახელით ცხოვრებაა იმქვეყნადაც მთავარი“, – ვამბობ ერთ-ერთ ლექსში, ანუ ამქვეყნიური და იმქვეყნიური სამყაროსთვის უმთავრესი ერთი და იგივე ფასეულობაა“ *(ნ. აბულაძე, გაზ. „აჭარა“, №14, 9-10 02. 2023 წ.)*.

ადამიანურ ღირებულებათა ერთგულება ვისთვის ცხოვრების ბუნებრივი წესია და ვისთვის კიდევ – პოზა. ეპოქის ღირსებას კი ის ადამიანები ქმნიდნენ წინათაც და ქმნიან ახლაც, რომლებიც მხოლოდ საკუთარი თავისთვის არ ცხოვრობენ, ვისი ცხოვრების წესიც სიკეთეა და მოყვასის სიყვარული. ეს სიკეთე აშკარად ჩანს ჯემალ სურმანიძის პოეზიაში და ჩანს ზოგჯერ ისეთ დეტალებშიც, ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ყურადღების მიღმა რომ რჩება ხოლმე:

ვერ გამიგია,
რას უშავებენ
სატანური სულის
კაცუნებს
ჭიანჭველები?
(„ჭიანჭველა“)

ამგვარ კითხვებს პასუხები არ სჭირდება. აქ კითხვა სათქმელის გამოხატვის ფორმაა მხოლოდ და დასმულია იმ ადამიანის მიერ, რომელიც, როგორც ხალხში იტყვიან, ჭიანჭველას ფეხს რომ არ დაადგამს. შესაბამისად, რაღა გასაკვირია, რომ პოეტი ცხოვრებას აკვირდება, ბეჯითად წონის ავსა და კარგს, პატიოსანი კაცის ფიქრით ფიქრობს, ღირსებით ნაცად გზას მიჰყვება, იმ გზას, რომელზეც მრავალს გაუვლია წინათ და გაივლის მომავალშიც...

ამ გზაზე დგომა არ არის ადვილი, იმიტომ, რომ „მოსძალებია მამულს ჩვენსას შვილი უძღები“... კეთილშობილის ნიღბით ავი ზრახვების დამალვა შეიძლება, მაგრამ არა დიდი ხნით და, მითუმეტეს, არა სამუდამოდ... „ხოლო არარაჲ არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, და დამალული, რომელი არა საცნაურ იყოს“ გვასწავლის ბიბლია და, მითუმეტეს, ცხადია, რომ ბოროტს სიკეთით ვერ შენიღბავ უსასრულოდ, ხოლო ლექსის ადრესატი შეიძლება იყოს ნებისმიერი ნიღბოსანი:

აი, რა
არის შენი
სიცოცხლე,
მაგ თვალებიდან
გვიცქერს იუდა,
დაგვიწყებია, რომ
დიდ სიყვარულს
გულის სითბო
და სინაზე
უნდა.
(„ნაცნობის პორტრეტი“)

ამ შემთხვევაშიც გამოსავალი ანუ ადამიანურობის გასაღები, ისევ და ისევ სიკეთის გზაა – უნდა იწვოდე მოყვასისთვის – „გულში სხივი გენთოს კელაპტრის“ და სხვისი სატკივარიც ისე გტკიოდეს, როგორც საკუთარი:

როგორც შეძლებ, უნდა იყო
სხვის სატკივრით მავალი,
აქ სახელით ცხოვრებაა
იმქვეყნადაც მთავარი.

სწორედ ამ გარემოში რჩება ადგილი ჭეშმარიტად ადამიანური ურთიერთობებისთვის, – იმისთვის, რომ გულწრფელად გწამდეს ჭეშმარიტი სიყვარულისა; იმისთვის, რომ გულწრფელად გწამდეს ძმობის და მეგობრობისა:

ახლა გულით
თქვენი ნახვა
მსურდა,
ალალ სურვილს
რა ძალა აქვს,
ვიცი,
გადაფასდა ყველაფერი
გარდა
ძმობისათვის მიცემული
ფიცის.
(„მეგობრებს“)

„გადაფასების“ თანამდევია სწორედ უმადურთა, ორპირთა, სულმდაბალთა, სატანის მსახურთა... მომრავლება. ნიჰილიზმის მოძალება მხოლოდ ოცდამეერთე საუკუნის სენი როდია და არც მეფისტოფელის ხსენებაა უადგილო („იდგა ჟამი მშფოთვარი და დრო მეფისტოფელის“ („სიზმრის აპოკალიფსი“))...

ფასეულობათა უარყოფის ქაოტური პროცესი ყველა ეპოქაში თავისებური, რამდენადმე მაინც, განხვავებული დეტალებით გამოირჩევა, მაგრამ, როცა ერთმანეთში აირევა, ერთმანეთს შეეზილება ჭეშმარიტება და სიცრუე, სამართლიანობა და უსამართლობა, კანონიერება და უკანონობა... მაშინ იმ დეტალების კლასიფიკაცია უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანია. ასეთ ვითარებაშიც, დადებითსა და უარყოფით ღირებულებებს ყველასთვის როდი აქვს ერთნაირი ფასი... და იქნებ ისიც ვთქვათ, რომ დიდების ღირსია

ყველა, ვისთვისაც ადამიანი მაინც რჩება ღვთის ხატად და სახედ.

„ადამიანი ადამიანისთვის უნდა იყოს ნუგეშისა და თანადგომის გამომხატველი, რასაც ვერ ვიტყვით ჩვენს რეალობაზე. ყოფით დამძიმებული გულების მოფრთხილება უნდა ვისწავლოთ. ერთი ციდა ქვეყანა გვაქვს, ისედაც ერთი ხელის გაწვდენა წუთისოფლად“... – ამბობს ზემოხსენებულ ინტერვიუში ჯემალ სურმანიძე. ამ ფიქრის ნაწილია სწორედ მისი ცხოვრების ფილოსოფია, რომელიც ჩანს ქვემოთ მოყვანილ სტრიქონებშიც:

მაინც ვინდომე,
სატკივრით
სხვისთვის გამეთბო
კერა
(უპოვარისთვის
სამოსელს
თერძივით ვჭრი
და ვკერავ)!

და აქვე, მცირედ ჩანართად, სულ ორიოდე სიტყვით, ბავშვებისთვის დაწერილ ლექსებსაც ვახსენებ. თუნდაც იმიტომ, რომ ეს ლექსები ბუნებრივი ნაწილია პოეტის შემოქმედებისა, უპირველესად, სწორედ იმ სითბოს გამო, რომლის შესახებაც არაერთხელ ითქვა უკვე.

ჯემალ სურმანიძის პოეზიის ერთ-ერთი მასაზრდოებელი – ბუნებაა. აქ ნაკლებია ურბანისტული პეიზაჟები, ხოლო ბუნების სურათი ზოგჯერ შეიძლება ხატოვანი დეკორაციაც იყოს – ლექსის სამშვენისი. შეიძლება, პოეტი აღფრთოვანდეს ბუნების სურათით და ამ სურათის დახატვა სცადოს – მხოლოდ სურათის, ქვეტექსტების გარეშე... მაგრამ ეს მხოლოდ ზოგჯერ. მიმართება ბუნებასთან იშვიათად თუ შემოიფარგლება მხოლოდ აღწერით. როგორც წესი, საანალიზო ტექსტებში ბუნება სულის მოძრაობის თანმხვედრია და იგი ცხოვრებისეულ მოვლენათა პოეტისეული აღქმის, აღქმულის გამოხატვის რთულ პროცესშია ჩართული.

ბუნება აქ ლაღი თუ დამღლელი (უმეტესწილად) ყოველდღიურობის, ადამიანური გრძნობებისა და განცდების, სიყვარულისა თუ სიძულვილის, ნდობისა თუ ღალატის, იმედებისა თუ იმედგაცრუებების... ანუ, საზოგადოდ, ჩვენი რეალობის ნაწილია, სამშობლოს ავის თუ კარგის გამომხატველი და თანამონაწილეა და შესაბამისად, მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია პოეტური ტექსტების მხატვრულ-სახეობრივ სისტემაში.

მომწყინდა წვიმის
ფარდა დაშვებული
სულში რომ
აღვიძებს
სევდის ყვავილნარებს.
გავცქერი სარკმლიდან
ხეებს
გაშიშვლებულთ,
მიწას – დაღარულს
და ქედებს –
ნაიარევს.
(„საგანთიადო“)

– წერს პოეტი. აქ თითქოს სულით ნაგრძნობი ადამიანური განცდა ბუნების, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ სურათშია ჩაწნული და ემოციაც, გნებავთ, „სევდის ყვავილნარები“, ბუნებრივად გადადის პოეტიდან მკითხველზე.

და რაკიღა წვიმის თემას ბათუმში განსაკუთრებული ხიბლი დაჰყვება, გავიხსენოთ ტროპების სხვა დიაპაზონიც ჯემალ სურმანიძის პოეზიაში და კიდევ ერთხელ ვთქვათ, რომ პოეტის მიმართება ბუნებასთან იშვიათად თუ შემოიფარგლება მხოლოდ აღწერით და აქ ბევრია ტექსტსმიღმა საკითხავებიც:

გაწვიმდა და
ჩვენს ნალიას
ჩამოუვლის, ალბათ...
არემარე გამომშრალი
თვალწინ
უცებ დალბა.
გაწვიმდა და
ჩემი სახლი
გაშლილ ქოლგას

მოჰგავს,
მე კი – იმ
მგზავრს,
უეცრად, რომ
შეეფარა ქოლგას...

აქ შეიძლებოდა უფრო ფართოდ გაგვეშალა წვიმის მოტივი ან კიდევ – მარინისტული პეიზაჟები თუ სოფელ-ხეობათა სურათები. ერთხელაც გავიმეორებ, რომ ბუნებასთან პოეტის დამოკიდებულება განსაკუთრებულია. ბუნება მისთვის სევდის აღმძვრელიცაა და, ამავე დროს, არის ერთგვარი ნუგეშიც და ჰარმონიის ძიების გზაც... ისევე, როგორც ქვემოთ წარმოდგენილ სურათში:

მოდიოდა ზღვის
წიალით მწუხრი,
ბინდს უბეში
ჩაემალა მიწა,
დღე – შემკრთალი
თეთრი შველის
ნუკრი, მდინარის
პირს სევდიანი
მიწვა...
ნება-ნება
ჩამოეშვა ღამე...

ჯემალ სურმანიძის პოეზიის ერთი რკალია „ხსენების სარკმელი“ – მიძღვნის ტექსტები, – ზოგი ნაუცბათევი, ექსპრომტად თქმული, ზოგიც – ღრმად განცდილი და აწონილ-დაწონილი. ეს ფიქრია, მოყვასთა ნაცხოვრების გამო. ყოფნის და არყოფნის გამო... სიხარულიცაა აქ, სიკეთით სავსე დღეების გახსენებაც, მაგრამ ტკივილი სჭარბობს. ტკივილთაგან, ყველაზე რთულად გამოსათქმელს, ფრთხილად მოვნიშნავ მხოლოდ და ვიტყვი, რომ სწორედ ამ ტკივილის ნაწილია ნატვრა: „მოხუცზე ადრე იმქვეყნად არ გაემგზავროს არავინ“...

ჯემალ სურმანიძის ლექსები მკითხველმა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან გაიცნო. ეს ფასეულობათა და ფორმაციათა მასშტაბური, ყოვლისმომცველი ცვლილებების დროა და ბუნებრივია, ამიერიდან, მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულებშიც და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისშიც, მწერლობაც განსაკუთრებული სიმძაფრით აირეკლავდა სოციოკულტურულ მოვლენებს, რომლებიც განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო ძველი თუ ახალი თაობის, ტრადიციული გზის ერთგული თუ ნოვატორი, ახალი გამომსახველობითი ფორმების მაძიებელი მწერლებისთვის.

სწორედ ახალმა რეალობამ მოიტანა ის, რომ საბჭოთა კავშირს, რომელსაც თაობები აღიქვამდნენ ძლევამოსილ იმპერიად, საფუძველი მოერყა. თანდათან ამ ქვეყნის ძლევამოსილების მითიც და „ძმური კავშირის“ ბუტაფორიაც მიინავლა, ჩამოიშალა. მალე დადგა პოსტსაბჭოთა ეპოქაც – დამოუკიდებლობის, თავისუფლების ხანა, რომელიც, სამწუხაროდ, ყოველთვის როდი გამოირჩეოდა ახალი ქვეყნის შენებისთვის თავდაუზოგავი გარჯით, რომელიც სავსე იყო პარადოქსებით, ყოვლისწამლეკავი ქარტეხილებით.

ისტორიულ კონტექსტს ამჯერად მხოლოდ იმიტომ ვეხები, რომ ეპოქის მაჯისცემა მძაფრად აისახება მხატვრულ ლიტერატურაში, და შესაბამისად, პოეზიაშიც. როგორც წესი, აქ მწარე სიმართლე სჭარბობს ხოლმე. ხან – მიშვებული, ხან კიდევ – მიზანმიმართულად ზღვარდადებული ემოცია... მთელისა (ტექსტის) და ნაწილების, ლექსის ფრაგმენტების მიმართება ზოგჯერ თითქოს საკუთარი თვალით ნანახსა და წარმოსახულს შორის დადებული ზღვარია, თითქოს ტექსტია ტექსტში – ნაოცნებარის და რეალობის დაპირისპირება...

არაერთ ლექსში გამოკრთის ან იგულისხმება ისტორიული შინაარსი ან კონტექსტი, ოღონდ პათეტიკის გარეშე... ტაო და კლარჯეთი, სამცხე და აჭარა, ტბეთი და ხინო, ხიხანი და ძენწმანი, მარადიდი და გონიო, ხორუმი და განდაგანა... მკითხველისთვის ნაცნობი სახელებია, და, შესაბამისად, გასაგებია აზრობრივ-ემოციური საფუძვლებიც მხატვრული ხატებისა. თემატურ რკალებს ძირისძირამდე ვერ ჩავყვებით, მაგრამ

შევეცდებით, ამჯერად უფრო თანამედროვე რეალობას შევეხოთ, მითუმეტეს, რომ შინაურ თუ გარეშე მტრებს, ძველ თუ ახალ ჭრილობებს, მიწა-წყლის მითვისების მცდელობათა პოსტსაბჭოთა ისტორიას... პოეტი არაერთგზის ეხება:

ისევ განსაცდელი და
ისევ ეშმას ხარხარი, –
ამოშანთვა სურთ
ჩვენში
როგორც ოშკის, პარხალის,
მიტაცებულ ზღვისპირის,
ლიახვს – თევზის
ფართხალის,
გარეჯის და ბიჭვინთის,
სოხუმის და ცხინვალის...

– წერს იგი ერთ-ერთ ლექსში და ფაქტია, რომ ჯემალ სურმანიძის პოეზიაში აისახა თანამედროვეობის პრობლემები. პუბლიცისტურ პათოსზე აქცენტირება სულაც არ არის აუცილებელი, მაგრამ ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა „სატკივარი თავს არა ჰმალავს“ არც დავით გურამიშვილის, „სამშობლოსთვის მარტვილის“, დატირებაა შემთხვევითი („დავით გურამიშვილი“). ამ პოეზიაში ქართლის ჭირს თვალსაჩინო ადგილი უკავია... პოეტი შეძრულია იმით, რომ სტუმრად მოსულიც გაბატონებას ცდილობს და „გედავება მშობელ მიწას“; რომ დარღვეულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და ოკუპანტის განდევნის ძალა არ შეგვწევს... ნუგეშად ისღა რჩება, რომ მრავალმა იბრძოლა გმირულად და იმ მებრძოლ გმირთა სადიდებელიც ერთიანობისთვის სამომავლო ბრძოლების საფუძველთაგანია:

ვადიდოთ მარად,
ვინც არის
ღირსი,
ვინც სამაჩაბლოს
და აფხაზეთს
უზვარაკა
სიცოცხლე მისი...“

დიახაც „თამარ მეფის ნაშენია საქართველოს გალავანი“, მაგრამ ხშირად, ამ გალავანს ისევ ქართველი უთხრიდა და უთხრის ძირს. ეპოქიდან ეპოქას მისდევს დაუსრულებლად საამაყოსთან ერთად – საძრახისიც და, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი! პოეტის სული აღბეჭდავს წარსულის ჩრდილებსაც და, უფრო მეტად, ჩვენი რეალობისას:

დღეს კი
გაუტანლობით და
ძმათა შორის
ქიშპის გამო
მოგვეძალა მომხდური
და ჩვენი მიწის
მითვლას ლამობს!

ეს მოტივი მეორდება ზოგჯერ და ლექსიდან ლექსში გადადის, რაც მწვავე პრობლემაზე ხაზგასმაა უპირველესად:

დღეს მომხდური
სახლში გვიზის
(გაგრძელება
ყოფილ ძიძის)
ჩვენ კი ისევ
ერთურთს ვკორტნით,
რომ გავმართოთ
ლხინი,
ერთმანეთის დამარცხება
ვადღეგრძელოთ ღვინით...

გადარჩენის, სახელმწიფოს შენების, განვითარების ძალა, პოეტის რწმენით, ხალხშია, ამასთან, ხალხის ნაწილია ისიც, ვინც უდიდეს პასუხისმგებლობას იღებს თავზე და ქვეყნის მართვის სადავეებისკენ მიილტვის. პოეტის გულისტკივილიც ისევ და ისევ, ჩვენი რეალობის ანარეკლია:

სახელმწიფოს დიდების
მაშინ ვიყავთ მზომელი,
ერთი გზით რომ ვიდოდა
ხელმწიფე და მშრომელი...

ვერ ვიტყვი, რომ ამგვარ ტექსტებში ოპტიმიზმიც თანაბრად ჩანს-მეთქი... მაგრამ, რაც არის, ხავსსჩაჭიდებულ იმედზე მეტია:

შეურყევლად
დავდგომოდეთ
გოროზ მთებს და
ნარნარ ველებს,
მოვსწრებოდეთ
ქართველები
ბეჭზე გაგორებულ
დევებს!

და კიდევ... იქნებ, მცირედით ავცდეთ კიდეც მსჯელობის ლოგიკას, მაგრამ იმედის ნაპერწკალი მგონია ესეც: ცხოვრების ორომტრიალი რომ ჩაითრევს კაცს და მუდმივად, დაუსრულებლად თავბრუდამხვევ რიტმს სთავაზობს, რუტინას, რომელიც არა მხოლოდ ითრევს, არამედ ახრჩობს კიდეც... გაქცევა ძნელია, სხვანაირი ძალა უნდა რიტმის შეცვლას! თუმცა, სადღაც, გულის სიღრმეში, ჯიუტად ფეთქავს იმედი, რომ ოდესმე კი არა, მალე, ძალიან მალე მიუბრუნდება სასურველს, ძველებურს, მშობლიურს, სადაც ყველაფერი ნაღდია და ძვირფასია:

ო, რა მალე
მიილია ხანი,
დანაპირებს ვერ
ვასრულებ კვლავ
და, რატომღაც,
თავს ვიმშვიდებ
ისევ,
ბაბუასთან წავალ-
მეთქი ხვალ.
(„ბაბუა“).

და აქვე, კიდევ ერთი სურათი, ცხადია, არა – ანალოგიური, მაგრამ თანამდევი ასოციაციით აღბეჭდილი, მეხსიერების სიღრმეში ჩარჩენილი შორეული, მაგრამ საოცრად ძვირფასი შთაბეჭდილება:

– გახსოვს?
ერთ მერხზე
ვისხედით როცა, –
მიყვება სიყრმის
ძმობილი ჩემი.
ისევ მაცილებს
სკოლამდე დედა,
ისევ ტბას სერავს
ქაღალდის გემი.
(„მოგონება“)

პოეზია სულის სარკეაო, ამბობენ, ამ მეტაფორის მრავალგვარი ინტერპრეტაცია შეიძლება, მაგრამ ამ შემთხვევაში, როცა ერთ კონკრეტულ პოეტზე ვსაუბრობთ, სწორედ ამ პოეტის კიდევ რამდენიმე სტრიქონს მოვიყვან. ერთ-ერთ ლექსში ჯემალ სურმანიძე საოცნებო რეალობას ასე წარმოიდგენს:

ბოროტება თითქოს
ქვეყნად სულ არ იყო
და სიკეთეს ღვთაებრივი
ძალა ჰქონდა...

ამ საოცნებო რეალობაზე ბევრის თქმა შეიძლება კიდევ, მაგრამ წერილს აქ დავასრულებ და იმასღა ვიტყვი, რომ პოეტის სამი კრებული („ხეების მისტერია“ – 1994 წ.; მიწის ვედრება“ – 2015 წ.; „ღრუბელი ისე ახლოა“ – 2021 წ.) ავტორის სიკეთით სავსე სულის სარკეა უთუოდ.

ჟურნალი 5

2023

მალხაზ ფაღავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა
2023
malkhaz.pagava@gmail.com